645
2002

ეროვნული ბიბლიოთეკა

№ 9-10



2002

# საქართველოს ქალი

ჟურნალი ქალებისა და ოჯახისათვის

მთავარი რედაქტორი

ნარგიზა მგელაძე

სარედაქციო კოლეგია:

- ნანული შევარდნაძე
- მარიკა ბარათაშვილი
- ნაზი თარგამაძე
- ლია კაკაბაძე
- ცინარა ტერელაძე (მხატვარი რედაქტორი)
- ირმა ჩოფიკაშვილი
- ნინო ჯავახიშვილი

ნანული ბუკია
ტექნიკური რედაქტორი

გარეკანის პირველ გვერდზე – „სიცოცხლე გრძელდება“ (ნარგიზა მგელაძის შვილიშვილები);

მეოთხე გვერდზე – ტიხრული მინანქარი „მირქმა“

დამფუძნებლები – ჟურნალ „საქართველოს ქალის“ ჟურნალისტები

რეგისტრაციის №06/4 897

ჟურნალი გამოდის 1923 წლიდან

რედაქციისაგან

შეუკვეთავ მასალებზე ჰონორარი არ გაიცემა

„Sakartvelos Kali“

Georgian Woman. A Magazine for Women



# „წუთისოფელი და მარადიულობა“...

პავლე მოციქული წერს: „რაც თვალს არ უნახავს, ყურს არ სმენია, კაცს გულში არ გაუვლია, ღმერთმა ის მოუმზადა თავის მოყვარულებს'' ცათა სასუფეველშიო. პავლე – ნათლისღებამდე სავლე, რომის მოქალაქე და იმპერიის ინტერესების განუხრელი დამცველი, ქრისტიანების სასტიკი მტერი იყო, მაგრამ დამასკოს გზაზე მოვლენილი უდიდესი სასწაულის მერე – როცა უფლის თვალშეუდგამი ნათელი იხილა, ისე გარდაიქმნა, ისე განიწმიდა სინანულით, რომ ღმერთმა ღირსი გახადა, სიცოცხლეშივე მესამე ცამდე ამაღლებულიყო. აი, სწორედ ზეციური სავანეების ხილვის შემდეგ ბრძანა მოციქულმა ზემოთ მოყვანილი დიადი სიტყვები.

წმიდა პავლეს მიწიერი ცხოვრება კიდევ ერთი ნათელი დადასტურებაა ღმერთის უკიდეგანო სიყვარულისა ცოდვილთა მიმართ. მთავარია, ადამიანმა თვითონ მოისურვოს განწმენდა, მოინანიოს ღვთის წინაშე და აღარ გაიმეოროს ცოდვები...

სერაფიმ საროველმა, რომელსაც სიცოცხლეშივე თორმეტჯერ გამოეცხადა ღვთის მშობელი, სთხოვა იესო ქრისტეს – რომ ბრძანებ: მამაჩემის სავანეებში ბევრი ადგილი მაქვს თქვენთვის გამზადებულიო, გამხადე ღირსი იმ სავანეების ხილვისაო. ისმინა უფალმა წმინდანის ვედრება და აჩვენა სამოთხეც და ჯოჯოხეთიც; – წმ. მამა სულით იყო წასული იმ ქვეყნად და როცა დაბრუნდა, სახე ღვთიური მადლით ჰქონდა გაბრწყინებული – კარგა ხანს ხმა არ ამოუღია, მერე კი, ღრმად ჩაფიქრებულმა თქვა: მსგავსი ნეტარება, რაც მართალ ადამიანებს მოელით ცაში, დედამიწაზე არანაირად არ განიცდებაო და დაამატა: იმაზე მეტი სატანჯველი, რაც ცოდვილთა სულებს მოელით ჯოჯოხეთში, დედამიწაზე არ არსებობსო.

წმიდა მართლმადიდებელი ეკლესია ლოცულობს მიცვალებულთა სულებისათვის, მაგრამ ლოცვის მადლი მიუვა იმას, ვინც მორწმუნე იყო და ცდილობდა სიკეთის ქმნას, თუმცა სათანადო საქმეები არ ჰქონდა. ურწმუნოებს და უკეთურებს კი, ვინც სიცოცხლეში არ მოინანია, ვერანაირი ლოცვა ვერ შეეწევა. წმ. მამათა განმარტებით, როგორც უვარგის თესლს ვერ გაალვივებს მზე და წყალი, ასევე მოუნანიებელ ადამიანს ვერავის ლოცვა ვერ უშველის. ზოგიერთს ჰგონია, ცხონებისათვის მარტო ღმერთის აღიარებაა საკმარისი, მაგრამ ღმერთი ეშმაკსაც სწამს, – მთავარი გულია, გული და გულიდან ამომავალი სიტყვა და საქმენი. დღეს კი ადამიანები ადვილად ტკენენ ერთმანეთს გულს და არ იციან, თითოეულ სიტყვაზე ღვთის წინაშე რომ აგებენ პასუხს.

წმიდა იაკობ მოციქული გვასწავლის: „რწმენა მკვდარ არს უსაქმური.'' და იმასაც გვეუბნება, რომ „ვინც სიკეთის ქმნა იცის და არ იქმს, ეს ცოდვად ეთვლება მას.''

ღვთის წინაშე ჩვენი ყოველი სიტყვა და საქმე აღინუსხება, რაზედაც პასუხისგება მოგვიწევს საყოველთაო განკითხვის ჟამს – უფლის მეორედ მოსვლისას /და, მამათა გადმოცემით, ეს დრო არ არის გვიან/, მანამდე კი ყოველი გარდაცვლილი ადამიანი გარდაცვალებიდან მეორმოცე დღეს გაივლის კერძო, პირად სამსჯავროს, რის შემდეგ მიუჩენენ დროებით სამყოფელს მეორედ მოსვლამდე, როცა ადამ და ევადან მოყოლებული, ყველა აღსდგება და განიკითხება ზოგი მარადიული ნეტარებისათვის, ზოგი კი...

წმიდა მამები წერენ: ადამიანმა რომ იცოდეს, რა არის მარადიული სატანჯველი, ანუ უნივთო ცეცხლი, ამქვეყნად ყველა განსაცდელს უდრტვინველად დაითმენდნენო.

როცა კაცს სული და ხორცი ეყრება, მასთან კეთილი ანგელოზებიც მიდიან და ბოროტებიც, მაგრამ ის წაიყვანს სულს, ვისიც სიცოცხლეშივე იყო პიროვნება – ვისაც თავისი ცხადი თუ გაუცნობიერებული საქმეებით ემსახურებოდა.

ეკლესიის სწავლებით, ძალიან კარგია, თუ მიცვალებულისათვის გარდაცვალების პირველ დღესვე პანაშვიდს გადავახდევინებთ – ეს მას სხეულთან განშორების მწუხარებას უმსუბუქებს. გარდაცვალებიდან ორი დღის განმავლობაში სული დედამიწაზეა, თავის სახლში, ახლობლებს შორის ტრიალებს, მესამე დღეს კი ანგელოზს მიჰყავს უფლის თაყვანისსაცემად და ღვთის ნებით, 6 დღის განმავლობაში შემოატარებენ სამოთხის სავანეებს. მართალ ადამიანთა სულები ხარობენ, რადგან იციან, რომ ამ ნეტარებაში დაივანებენ მარადიულად, ცოდვილები კი სამოთხეშივე მწუხარებენ, რადგან ხვდებიან, თუ რა დაკარგეს...

მეცხრე დღეს, უფლის მეორედ თაყვანისსაცემად მიჰყავს ანგელოზს სული, რის შემდეგაც ღვთის განგებით, 30 დღის განმავლობაში ჯოჯოხეთში ჩაჰყავთ და აჩვენებენ ყველა სატანჯველს. ამის შემდეგ, უკვე მეორმოცე დღეს მესამედ აიყვანენ სულს ღმერთთან და „სამართლიანი მსაჯული მისი საქმეების მიხედვით მიუჩენს დამსახურებულ ადგილს.''

გარდაცვალების პირველი დღიდანვე ეკლესიაში უნდა გადაეცეთ 40 დღიანი მოსახსენებელი, რათა მოძღვრის შუამდგომლობით ცოდვათა შენდობა მიიღოს მიცვალებულის სულმა. ჭირისუფლებმა კი განუწყვეტლივ უნდა იკითხონ ფსალმუნები 40 დღის განმავლობაში და გარდაცვლილის ოჯახში 40 დღის მანძილზე ჩაუქრობლად უნდა ენთოს კანდელი. ძალიან კარგია, თუ ორმოცამდე მოვახერხებთ მიცვალებულისათვის სპეციალური წირვის ჩატარებას.

რაც შეეხება იმქვეყნიურ ყოფას, სქესობრივი განსხვავება იქაც არსებობს, მაგრამ ქორწინება, რაც დედამიწაზე ადამიანთა გასამრავლებლადაა დაშვებული, იქ საჭირო აღარ არის. თუმცა, დამოკიდებულება ახლობლებს შორის – და-ძმური, მშობლიური, ცოლ-ქმრული, იქაც გრძელდება.

ნანა ბაგრატიონ-დავითაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა



## სამძიმარი

# ნარგიზა მგელაძის ოჯახს

უდიდესი გულისტკივილით შევიტყვე ქალბატონი ნარგიზას გარდაცვალების შესახებ.

ჩვენგან წავიდა თვალსაჩინო საზოგადო მოღვაწე, შესანიშნავი ჟურნალისტი და გამორჩეული ქართველი მანდილოსანი.

ვიზიარებ თქვენს მწუხარებას ამ მძიმე დანაკლისის გამო და გულწრფელ სამძიმარს გიცხადებთ.

ედუარდ შევარდნაძე

# სიყვარული კი ისეთი მსუბუქია...

გარდაიცვალა... განა სულ ახლახან არ იყო ეს ბოლო ხუთშაბათი, მისი ქობულეთში გამგზავრების წინა დღე, — თურმე, სამარადჟამო გამგზავრებისა...

— არ დამალალატოთ, გოგოებო, ერთ კვირაში ჩამოვალ, ყველა მასალა გამზადებული დამახვედრეთო...

ნაწილი მასალებისა თქვენს მაგიდაზე დევს, ნაწილი კვლავ მოსატანია...

მაინც რა იყო ის შვებულებისშემდგომი დღეები, ქალბატონო ნარგიზა — რედაქცია ურთიერთმიტევებისა და სიყვარულის ჰარმონიით სუნთქავდა, თქვენ კი უჩვეულოდ ბრწყინავდით — გულიდან წამოსული სინათლე სახეზე გადაგდიოდათ...

ახლა ერთმანეთს ვახსენებთ თქვენს მოძრაობებს, სიტყვებს, ღიმილს. ყველაფერმა ამან უკვე საკრალური მნიშვნელობა შეიძინა, გამყარდა და საალბომო ფოტოებად დალაგდა სამუდამოდ ჩვენს გულსა და მეხსიერებაში...

რამდენის მოფერება მოასწარით მაინც ამ დღეებში, არავინ დაგვიწყებიათ; საქმეებიც თქვენებური პუნქტუალობით მოაწესრიგეთ — აკი ვერ იტანდით საქმის მიფუჩეჩებას...

ერთ კვირაში დავბრუნდებიო...

თავზარდაცემულები ვართ და ეს არ არის სიტყვის მასალად ნათქვამი...

— როგორ შევეცადე დედასთვის მხოლოდ ძალიან აუცილებელი რამ ჩამეწყო სამგზავროდ, სიმძიმემ არ შეაწუხოს-მეთქი, — იტყვის თქვენი უმცროსი ქალიშვილი ნათია.

ქალბატონო ნარგიზა, თურმე იმქვეყნად მიემგზავრებოდით და... სამგზავროდ კი მხოლოდ სიყვარული წაიღეთ. ის კი ისეთი მსუბუქია, სულაც არ შეგაწუხებთ...

**ჟურნალ „საქართველოს ქალის“ თანამშრომლები**



● **რედაქციის თანამშრომლები და სტუმრები:**
*მარცხნიდან მარჯვნივ სხედან:* ოლია რუქვია, გივი ჭოჭუნაძე, ნაზი თარგამაძე, ცინარა ტყერულაძე, ნარგიზა მგელაძე, ლია კაკაბაძე.
*დგანან:* ნანული ბუკია, ირმა ჩოფიკაშვილი, მანანა იმყსაშვილი, მანანა ზარიძე, ნათია გვახალია, ნანა ღავითაშვილი, მარინე ნაკაიძე.

საქართველოს ეროვნული ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სინანული დაუწერელი წიგნების გამო

**ნარგიზა მგელაძე**



მესამე კურსზე, ჟურნალისტიკის განყოფილების სტუდენტთა ცხრილში, გაჩნდა ახალი საგანი – საზღვარგარეთის პრესა. ლექტორის გვარის გრაფაში – უფროსი მასწავლებელი ნ. ჩხეიძე.

ლექციაზე, რომლის დაწყებას ინტერესით ველოდით, მსუბუქი, ახალგაზრდული ნაბიჯით შემოვიდა ჩვენზე ათიოდე წლით უფროსი შავგვრემანი, გამხდარი კაცი, რომლის ასაკი შეიძლება ვერც გაგვესაზღვრათ, რომ არა ძალზე მეტყველი, ირონიულად მოწკურული თვალები და ჭაღარაგაურეველი, რბილად დაყრილი ხშირი ქოჩორი. სახე კი უფრო ხანმრავალი კაცისა ჰქონდა, დაძაბული ფიქრით აღბეჭდილი. ეს სახე იოლ ცხოვრებაზე არ მეტყველებდა და, როგორც შემდეგ გავიგეთ, იოლი ცხოვრებით არც უცხოვრია. მუდამ მშფოთვარე, შეუპოვარი, ჩხუბისაგან თავის არ ამრიდებელ, თავგადასავლებისა და ფათერაკების მაძიებელ, არაორდინალურად მოაზროვნე მის პატრონს.

– მე თქვენ უნდა გასწავლოთ საზღვარგარეთის პრესა, – გვითხრა მან და აუდიტორია ყურადღებით მოათვალიერა, თითქოს ამოწმებდა, შეიძლებოდა თუ არა ჩვენთან ისეთი საუბარი, რაც ამ ფრაზას მოჰყვა. – მაგრამ, გულახდილად რომ გითხრათ, მე სწორედ ისე ვიცი, რაზე წერს „სკინტეია" თუ „ჟემინჟიბაო", როგორც თქვენ, ანუ ბევრი არაფერი ვიცი, რადგან არც ერთი მათგანი ხელში არ მჭერია და, ცხადია, არ წამიკითხავს. არც იმაში ვარ დარწმუნებული, თქვენ რაიმე შეგმატოთ იმის ცოდნამ, რა სწერია ამ გაზეთებში.

ისევ გამჭოლი მზერა.

აუდიტორია რაღაც უჩვეულოს მოლოდინმა მოიცვა. ჩვენ ლექტორებისაგან ასეთ გულახდილობას, ნდობის ამგვარ გამოვლინებას მიჩვეული არ ვიყავით. გუმანით მივხვდით, რომ ის აუცილებელი ბარიერი, გარკვეული დისტანცია ლექტორსა და სტუდენტს შორის, რაც სხვებთან აუცილებელი იყო, აქ იშლებოდა და ჩვენს ურთიერთობაშიც რაღაც ახალი და ამდენად უკვე საინტერესო შემოდიოდა. თუკი ლექტორი ასე თავისუფლად, თამამად გამოთქვამდა აზრს (თანაც როგორს, მაშინდელი ჩვენი გაგებით) თითქმის მკრეხელურს, „არ წამიკითხავს, არ ვიცი", ჩვენ მით უფრო შეგვეძლებოდა ასევე შეუბორკავად, უკომპლექსოდ გამოგვეთქვა ჩვენი აზრი – „მძაფრი ახალგაზრდობის გამო" თამამი, დაუვარცხნელი.

ერთი სიტყვით, ვიგრძენით თავისუფლების სიო და განდობილობის სიამაყე. ეს კაცი ჩვენ გვენდო, თითქოს რაღაც სახიფათო შეთქმულების თანამონაწილედ გვაქცია და ამ ნდობის მოტყუება ჩვენგან უზნეობა იქნებოდა.

– თუ თანახმა იქნებით, მე გთავაზობთ ჩემს ლექციაზე დავიწყოთ ამ წიგნის კითხვა. იგი ადვილი გასაგები არ არის, მაგრამ უდიდეს ინტელექტუალურ სიამოვნებას მოგანიჭებთ და „სკინტეიაზე" მეტად გამოგადგებათ, რადგან აზროვნებას შეგაჩვევთ, – გვითხრა ლექტორმა და წიგნი გადაშალა.: ეს იყო ჰეგელის – „ლექციები ესთეტიკაში", – რუსულ ენაზე.

– გამოცდა რომ გვაქვს თქვენს საგანში, რას ჩავაბარებთ? – იკითხა რაიონიდან ჩამოსულმა სტუდენტმა, რომელმაც, ცოტა არ იყოს, შემკრთალმა გადახედა სოლიდური მოცულობის წიგნს.

– გამოცდაზე ვისაც რა ნიშანი უნდა, იმას დავუწერ, – დაგვამშვიდა ლექტორმა.

მთელი სემესტრის მანძილზე ნოდარ ჩხეიძე გვიკითხავდა და გვიხსნიდა ჰეგელის ესთეტიკას. გულწრფელი არ ვიქნები, რომ ვთქვა, ყველამ ყველაფერი ადვილად გავიგეთ და ჰეგელის ურთულესი ნაშრომი დავძლიეთ-მეთქი, მაგრამ ის, რაც გავიგეთ თვითონ ნოდარის კომენტარებითა და დიდი ძალისხმევით, წიაღსვლებითა და პარალელებით, ჩვენთვის სწორედ რომ გონების გახსნის, გონის წვრთნის, გონების თვალისახელის დასაწყისად იქცა. ისეთი სავალდებულო საგნების ფონზე, როგორიც იყო საბჭოთა პრესის თეორია და პრაქტიკა ან სასჯელივით მოსახდელი მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლები და სხვაც ამის მსგავსი, სადაც კაცს აზროვნება კი არა, ლენინის ციტატების, ბონჩ-ბრუევიჩის სტატიების სათაურების, პარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილების, ჟურნალების „ზვეზდასა" და „ლენინგრადის შესახებ" და უამრავი სხვა სისულელის დაზეპირება სჭირდებოდა, სტუდენტებთან ურთიერთობის ნოდარ ჩხეიძისეული სტილი თითქმის უპრეცედენტო იყო. უპირველესად, ლექტორმა აგვიკრძალა მისთვის „ბატონობით" მიგვემართა. ერთხანს ასეთი ფამილარობა გვეხამუშა, მაგრამ მალე მივეჩვიეთ და „ბატონი ნოდარი" ჩვენთვის თუმცა უფროს და პატივსაცემ, მაგრამ მაინც მეგობრად გადაიქცა. სულ მალე დავესწარით ნოდარის საკანდიდატო დისერტაციის დაცვას. რთული თემა იყო, ნახევრადფილოსოფიური. მერე თვითონ ხუმრობდა: ფილოსოფოსებს ჩემი ნამუშევარი მარტივად მოეჩვენათ, ფილოლოგებს – მეტისმეტად რთულადო. თვითონ ფილოსოფიის ფაკულტეტი ჰქონდა დამთავრებული.

ასე იყო თუ ისე, იმ ნაშრომშიც ჩანდა მისი, როგორც კრიტიკოსის ინტერესთა სფერო, მისი ესთეტიკური მრწამსი. ნოდარ ჩხეიძე ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი გახდა.

შემდეგ კურსზე დაგვენიშნა სპეცკურსი ნარკვევის ხელოვნებაში და ჩვენდა გასახარად, ამ კურსის წაყვანაც ნოდარ ჩხეიძეს დაევალა.

აქ რაიმე რეგლამენტი და შეზღუდვა სულ გამოირიცხა. ვწერდით, ვსწავლობდით, როგორ აგვეცილებინა თავიდან კლიშეებივით გაცვეთილი, დაშტამპული ფრაზები, რომლითაც „სავსე იყო ჰაერი". ვარჩევდით ერთმანეთის დაწერილ ნარკვევებს, კვლავ ვწერდით, ვკამათობდით, ხანდახან ცხარე კამათი ჩხუბშიც გადადიოდა. ნოდარი, ერთი შეხედვით, იშვიათად ერეოდა ჩვენს კამათში, მაგრამ უხილავი დირიჟორივით მაინც ის აძლევდა ტონს და მოხერხებულად წარმართავდა ამ ალიაქოთს სასურველი აზრისაკენ. მისგან სასხვათაშორისოდ ნათქვამი ფრაზა „შენგან ჟურნალისტი დადგება", ისე გვახარებდა, თითქოს პულიტცერის პრემია მოეცათ ჩვენთვის.

თითქმის ორმოცი წელი გავიდა იმ დღეებიდან და ახლაც თვალწინ მიდგას, როგორი სხივი ჩაუდგებოდა თვალებში, როცა საუბარი მის საყვარელ მწერლებს, ვთქვათ, გურამ რჩეულიშვილს ან ჰემინგუეის შეეხებოდა.

„თუ გახსოვთ, გურამის მოთხრობაში ერთი ბრწყინვალე დეტალია. მოხუცი ცოლ-ქმარი ტრამვაიში ზის. ტრამვაიმ ბორბლებში ჩავარდნილ ახალგაზრდა კაცს ფეხი გადასჭრა. მოხუცებმა ინსტინქტურად ფეხები აიკეცეს, თითქოს იმ საცოდავის ტკივილს თავისი სიმძიმე ააცილესო.

აი, დეტალი!"

ან სხვა დროს, როცა ჰემინგუეის სტილზე ლაპარაკობდა (ეს მწერალი მაშინ ის-ის იყო აღწევდა ჩვენში – რუსული თარგმანებით), გვითხრა: „ჰემინგუეი ასე ახასიათებს პერსონაჟს:

ეროვნული ბიბლიოთეკა

„У него не хватало передных зубов и он вес инел патриотическими чувствами – არც ერთი სხვა მწერალი ასე არ დაწერს. ეს არის სტილი!“

და ჩვენც ჩავკირკიტებდით ჰემინგუეის.

ნოდარი აღფრთოვანებით ლაპარაკობდა ანა კალანდაძეზე, მურმან ლებანიძეზე, ოთარ ჭილაძეზე და ჩვენ სიამოვნებით „ვყლაპავდით“ მათ ლექსებს. ნოდარი თავს უფლებას არ აძლევდა კრიტიკულად, მით უფრო აგდებით მოეხსენებინა სხვა ლექტორი. მაგრამ საკმარისი იყო, მას მავანზე და მავანზე ეთქვა – „ბატონი ესა და ეს“, მისი მაღვალაკური მზერით, მაღლა აწეული წარბებითა და თვით ტონით, ჩვენთვის გასაგები ხდებოდა, რა აზრის იყო იგი „ბატონ X-ზე“ ანუ არ იყო და არც უნდა ყოფილიყო მაღალი აზრისა. ცხადია, იყვნენ ისეთებიც, რომლებსაც იგი პატივს სცემდა, ღირსეული ადამიანები, ინტელექტუალები, არა აუცილებლად უმაღლესი სამეცნიერო ხარისხის მატარებელნი.

როგორც კრიტიკოსს, მას ფაქიზი და უტყუარი ალღო ჰქონდა.

მაშინ, როცა ჩვენ პირველ-მეორე კურსზე ვსწავლობდით, ჭაბუა ამირეჯიბს ერთი პაწია წიგნი ჰქონდა გამოქვეყნებული. ეს წიგნი და მისი რამდენიმე საჟურნალო პუბლიკაცია ჩვენთვის ნამდვილად არ იძლეოდა იმის საფუძველს, რომ მასში მომავალი დიდი მწერალი შეგვეცნო და ვიფიქრეთ, ნოდარი აჭარბებსო, როცა მან გვითხრა: დაიხსომეთ, ჭაბუა დიდი მწერალიაო: მაგრამ ერთი ლაფსუსი მწერლის შეფასებაში მასაც მოუვიდა და აი, რა:

ერთ ცივ, ქარიან დღეს სემინარზე ნოდარმა გამხდარ ნიკაპზე ხელი მოისვა, თითქოს ძვლებს ავარჯიშებდა და სხვათა შორის გვითხრა: ყბა ამოვარდნილი მაქვს და ასეთ ამინდში მტკივაო.

– სად ამოიგდეთ? – ჰკითხეს ბიჭებმა.

ერთი პოეტი გავაკრიტიკე და ნოკაუტით მწერალთა კავშირის კიბეებზე დამაგორა.

– მერე? – ინტერესით ვკითხეთ ჩვენ.

– მერე ყბა ამომივარდა, ახლა მე და ის პოეტი კარგი ძმაკაცები ვართ. შესანიშნავი პოეტია, მართალი იყო მაშინ.

შეეძლებოდა, რასაკვირველია, რამე, მაგრამ ამ შეცდომას ძალიან განიცდიდა და კაცურად ასწორებდა.

ერთ პრაქტიკულ მეცადინეობაზე ეტიუდების წერაში ვვარჯიშობდით. თემა მშობლებს ეხებოდა. ყველამ დავწერეთ ერთი გოგონას გარდა.

– შენ რატომ არ წერ? – ჰკითხა ნოდარმა.

გოგონამ თავი დახარა და არაფერი უპასუხა. ჩვენ გავისუსეთ და დავიძაბეთ, რადგან ვიცოდით, რომ იმ სტუდენტ გოგოს მამა ომში ჰყავდა დაღუპული, დედა ომის დროსავე გარდაეცვალა და თვითონ უდედმამო ბავშვთა სახლში გაიზარდა. იქ დაამთავრა სკოლა. წყნარი, ფერმკრთალი, უხმაურო, უაღრესად წესიერი, საყვარელი გოგო იყო. ნოდარმა ცხადია, ეს არ იცოდა, რადგან ჩვენ ქალიშვილის თავმოყვარეობას ვუფრთხილდებოდით და ამ თემაზე არასოდეს არავისთან ვლაპარაკობდით.

– მამა ხომ გყავს? – განაგრძო ნოდარმა.

– არა, – წყნარად უპასუხა სტუდენტმა.

– დედა?

– არა.

– აბა „პრიუტში“ გაიზარდე? – ცალყბად ჩაიცინა ლექტორმა. ჩამოვარდა მძიმე ავისმომასწავებელი სიჩუმე.

პაუზა ცოტა ხანს გაგრძელდა.

– დიახ! – თქვა ქალიშვილმა და თვალში ცრემლი ჩაუდგა.

ნოდარს შუბლი გაუთეთრდა, თითქოს ახლა მიხვდა, რა უტაქტობა ჩაიდინა. გაფითრებულს, ისედაც ფერმკრთალი სახე, ძველი საყდრის კედელივით გაუხდა, გაშეშდა. წახდა კაციო, რომ იტყვიან, ისე დაემართა. ჩვენ ხმას არ ვიღებდით. გოგონა ფეხზე იდგა.

ეს თავისთავად ნეიტრალური, თუმცა არასასიამოვნო სიტყვა, რატომღაც გულში სჭრიდა იქ გაზრდილ ბავშვებს, თითქოს სამარცხვინო, საჩოთირო, დამამცირებელი რამ უთხრეს, არასრულფასოვნებაზე მიუთითეს. თავის დროზე ეს ალბათ იგრძნეს და ამ სახლებს ბავშვთა სახლები დაარქვეს, ისე, რომ წინ „ობოლი“ ან „უდედმამოც“ არ დაურთეს და სწორადაც მოიქცნენ. იმ ბავშვებს კიდევ გულისტკივილი აკლდათ?

ნოდარმა ტუჩი მოიკვნიტა და ნელა, მძიმედ გასწია იმ სტუდენტის მერხისაკენ.

ჩვენ თავიც არ მიგვიბრუნებია, მხოლოდ თვალის კუთხით ვაყოლებდით მზერას მის მოძრაობას.

გოგონას თავზე ხელი ფრთხილად, ძალიან ფაქიზად გადაუსვა და სულ სხვა, გულიდან ამოსული ხმით: თითქოს ევედრებაო, წყნარად უთხრა: მაპატიე.

ობლობის სიმწარე მისთვისაც არ იყო უცხო და ამდენად ეს მონანიება ისეთი გულწრფელი გამოვიდა, რომ სულგრძელად ვაპატიეთ და უფრო ახლობელიც გახდა ჩვენთვის: სხვისი ჭირის გულთან უცნაურად ახლოს მიტანა იცოდა.

მახსოვს, ნოდარ დუმბაძეს შვილი რომ გარდაეცვალა, ნოდარ ჩხეიძის კრიჭაშეკრულ, ფერგაცლილ სახეს, მთელი დღეები რომ იქ, კედელზე მიყუდებული იდგა, ჭირისუფლის სახისგან ძნელად გაარჩევდი. ისე განიცდიდა მეგობრის თავსდატეხილ უბედურებას.

ფული, რასაკვირველია, არ ჰქონდა, მაგრამ თუ ცოტას მაინც მოიგდებდა ხელთ, ჩვენი თანაკურსელი, კიდევ უფრო უფულო ბიჭები ლუდის დასალევად მიჰყავდა ხოლმე.

გადავედით მეხუთე კურსზე და მოსკოვში „პრავდის“ რედაქციაში გაგვიშვეს, როგორც მაშინ ეძახდნენ „საწარმოო პრაქტიკაზე“, ანუ რედაქციისა და გამომცემლობისათვის თვალის გადასავლებად, თორემ „პრავდაში“ ან ვინ გიშვებდა და ან ჩვენ რა დაგვრჩენოდა იქ. ხელმძღვანელად ნოდარ ჩხეიძე დაგვინიშნეს.

ბევრი ჩვენგანი პირველად მიემგზავრებოდა მოსკოვში და ატყდა ერთი ამბავი, რა და რა უნდა გვენახა იქ. დიდი თეატრი – აუცილებლად, პუშკინის სახელობის სახვითი ხელოვნების მუზეუმი – აუცილებლად, ტრეტიაკოვკა – აუცილებლად, – ნოვოდევიჩის სასაფლაო, – ჩაურთო ნოდარმა, – მე ჩეხოვის საფლავი უნდა ვნახო, მართლაც, სანამ ჩვენ სტალინის ცოლის – ნადეჟდა ალილუევას და ზოია კოსმოდემიანსკაიას საფლავებს ვეძებდით, ნოდარმა მიაგნო უბრალო, თუჯის აჟურული ღობით შემოფარგლულ საფლავს და შიგ შევიდა. ჩემმა ამხანაგმა აპარატი ჩააჩხაკუნა და დაგვრჩა მშვენიერი კადრი – ნოდარ ჩხეიძე ჩეხოვის საფლავთან.

მოსკოვში ბიჭებს ფული მალე გაუთავდათ და ერთ დღეს აღმოჩნდა, რომ ყველას ერთად (ხელმძღვანელის ჩათვლით), ხუთი მანეთიღა ჰქონდა დარჩენილი და არამც თუ სადმე წასვლა-წამოსვლა, ფული საჭმელადაც არ ეყოფოდათ. არა უშავს,



ნოდარ მალაზონია, ნოდარ დუმბაძე და ნოდარ ჩხეიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

– გვითხრა ლექტორმა ცოტა არ იყოს შეშფოთებულებს, – მოვახერხებთ რამეს. თავისი გახეხილი, თხელი პიჯაკი მოიცვა და წავიდა.

– გავყიდე, – თქვა მხიარულად, – კუზნეცკის ხიდზე შევთავაზე გამვლელს, ეტყობა ეიაფა და აიღო. ორი დღის საჭმელი გვექნება.

მესამე დღეს თბილისში ვბრუნდებოდით და ბილეთები ადრევე გვქონდა ნაყიდი. საგზალზე გოგოებს უნდა ვეზრუნა, რადგან დაკვირვებული ვიყავით, ბიჭებს სტიპენდია და საერთოდ, ყოველგვარი ფული გოგოებზე გაცილებით ადრე ეხარჯებოდათ და მერე ნახევრადმშივრები ელოდნენ შემდეგ სტიპენდიას. გზა და გზა ვაგზლებში ვყიდულობდით უპრეტენზიო საჭმელს – ცხელ, მოხარშულ კარტოფილს, მჟავე კიტრს, შავ პურს, კომბოსტოს ღვეზელებს, ერთმანეთს ლუკმას ვუყოფდით და ასე მხიარულად დავბრუნდით თბილისში, ახლა უკვე ნამდვილ მეგობრებად ქცეულნი.

მერე, როცა ახალგაზრდული გაზეთის რედაქციაში დავიწყე მუშაობა, ხანდახან ქუჩაში ვხვდებოდი თავის, სხვებისგან გამორჩეულ ულტრამარინისფერ კაშნესა და ასფალტისფერ პალტოში გამოწყობილს, ხან კიდევ სტუდენტები მოჰყავდა რედაქციაში პრაქტიკაზე. ძმურად მოვიკითხავდით ერთმანეთს, რადგან მისივე თქმით, ჩვენ ძმაკაცები ვიყავით.

– მსოფლიოში რომელი ქალი მოგწონს ყველაზე მეტად? – „ძმაკაცის" უფლებით ვკითხე ერთხელ.

– ლუჩია ბოსე და ჩემი ცოლი, – გულწრფელად მიპასუხა ნოდარმა, რომელსაც უსაზღვროდ უყვარდა თავისი, მართლაც მშვენიერი ცოლი.

... ნოდარის სიკვდილი რომ გავიგე, ვერაფრით დავიჯერე, რადგან დარწმუნებული ვიყავი, იგი ას წლამდე იცოცხლებდა და თუ მაინც სიკვდილი ეწერა, სადმე მწვერვალზე ასვლისას ან ისეთ გმირულ სიტუაციაში დაიღუპებოდა, როგორც მისი საყვარელი მწერალი გურამ რჩეულიშვილი დაიღუპა, რომლისაც მას, როგორც ამბობდა, თეთრი შურით შურდა.

წყეული ბედის ირონიით, ნოდარ ჩხეიძე თავისი სახლის წინ ავტობუსმა გაიტანა. მაშინ იგი ორმოცისაც არ იყო.

ნოდარ ჩხეიძის უდროოდ დაღუპვით ქართულ სალიტერატურო კრიტიკას ერთი სრულიად გამორჩეული ხმა და კოლორიტი დააკლდა. ამ ნიჭიერმა ლიტერატორმა სიცოცხლეში მხოლოდ ორიოდე წიგნის გამოცემა მოასწრო.

იგი სამოცდაათის მხოლოდ გაისად გახდებოდა.

ულმობელი დრო მიდის და ბევრი რამ მიაქვს, მაგრამ საბედნიეროდ, ყველაფერი – არა.

რჩება ხსოვნა და სინანული მისი დაუწერელი წიგნებისა და წერილების გამო.

## მარიკა ბარათაშვილი

# რარიგ მენანები!

ეგებ, სიკვდილ-სიცოცხლის ზღვართან მდგარს, უეცრად გაგკენწლა მწვავე ფიქრმა, რომ თურმე ყოველივე ამაოა ამ ქვეყნად.

...ახლა ჩვენგან შორსა ხარ, ფოტოდან კი შენი ღიმილდაფენილი სახე შემომცქერის – სიცოცხლის ტრფიალით, ოცნებით, რწმენით, სიყვარულით გაცისკროვნებული.

...მაშინ, ეტყობა, წუთისოფლის სიმუხთლეზე არც ფიქრობდი – გიყვარდა, გწამდა, გწამდა, გიყვარდა შენი საქმე, ოჯახი – ქმარ-შვილი, ნათესავ-მეგობრები და ერთობლივ მშობელი ხალხი და დიდი ოცნებებით, გეგმებით, იმედებით გასცქეროდი სამომავლო გზებს, უშურველად ხარჯავდი შენი გულისა და გონების ძალებს...

ბევრიც მოასწარი, ბევრი გააკეთე, როგორც სამაგალითო შვილების აღმზრდელმა დედამ, ჩინებულმა ჟურნალისტმა, მწერალმა, საზოგადო მოღვაწემ და მოიმკე კიდეც ხალხის სიყვარული და პატივისცემა.

მცირე როდია შენი დანატოვარი – ჟურნალ-გაზეთების ფურცლებზე გაფანტული, წიგნად აკინძული თუ ხალხის გულში შემორჩენილი!

„რა პატარაა ეს გული, თითქოს<br>და რა უზომო სივრცეებს ითხოვს!"

და ეგ შენი პატარა გულიც, მუდამ მშფოთვარე, მაძიებელი, მუხლჩაუხრელ შრომასა და ჩვენი მღელვარე ცხოვრების ორომტრიალში დაღლილა კიდეც...

არ ვიცი, ჩემო ნარგიზა, როგორია ის საუფლო, საითაც ადრე თუ გვიან ვისტუმრებთ, უდიდესი ტკივილებით ვისტუმრებთ უძვირფასეს ადამიანებს, მაგრამ ამაო ხომ არ ყოფილა მათი აქ ყოფნა და გვწამს, რომ ისინი ჩვენთან არიან, იმ დიდი და მცირე ნამკალით, რომელიც ხალხის სიყვარულით გულანთებულებს, მათდა სასიკეთოდ და სამარადჟამოდ დაუტოვებიათ.

ვფურცლავ „ახალგაზრდა კომუნისტის", „თბილისის", „საქართველოს ქალის" და სხვა ჟურნალ-გაზეთების გვერდებს, თუ წიგნებად აკინძულ მოთხრობებს: „სიტყვას ითხოვს სიყვარული", „ახსნა" „მოთხრობები", „შორია ბერლინამდე", „უცნობი ბიჭის დღიური", „ათასი მოწმე" და სხვა – უდავო ნიჭის ასხმულებს და მინდა, გჯეროდეს, რომ ამ ქვეყნად ამაო არაფერია და არც წუთისოფლის მხოლოდ სტუმრები ვართ კარს რომ გავიხურავთ და არყოფნაში ჩავიკარგებით.

თაობა – თაობას სცვლის,<br>ოცნებები – ოცნებებს,<br>იმედები – იმედებს...

...ფოტოდან შენი ღიმილდაფენილი სახე შემომცქერის, შენი სულიც თითქოს ჩვენთანაა, უხილავად აქვე დაფარფატებს, მაგრამ მხოლოდ უხილავად და გული მტკივა, უზომოდ მტკივა, რომ შენ მაინც სადღაც სხვაგან მეგულები, უცხო სამეუფოში და მენანები, რარიგ მენანები!!!

---

## ზინაიდა კვაჭაძე

# მე შენ ყოველთვის მემახსოვრები...



შენს გარდაცვალებამდე ორი დღით ადრე, როგორც ყოველთვის, გულთბილი შეხვედრა გვქონდა. ჭაბუა ამირეჯიბის ახალგამოსული წიგნი გაჩუქე. წარწერა არ გამიკეთებია. თვითონ შემომთავაზე ავტოკალამი წარწერის გასაკეთებლად. „ჩემს საყვარელ ნარგიზას დიდი პატივისცემით, ზინაიდა" – წავაწერე. შეგატყვე, გესიამოვნა. წიგნი აიღე და მითხარი, შვებულებიდან რომ დავბრუნდები, მაშინ წავიკითხავო. რა ვიცოდი, ეს ჩვენი უკანასკნელი, გამომშვიდობების შეხვედრა იყო.

... იგი მე მართლაც ძალიან მიყვარდა... ეს ალბათ იმასთანაც იყო დაკავშირებული, რომ წლების მანძილზე ჩემს მეუღლესთან ერთად მოღვაწეობდა გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტში". ხშირად იგონებდა მას. ჩემი ორი შვილი იმ რედაქციაში გავზარდე –იტყოდა და ბევრ კარგს გაიხსენებდა.

ნარგიზა ძალიან კეთილი ადამიანი იყო. ცდილობდა ყველას დახმარებოდა და ბევრი მადლიერიც ჰყავდა... მე არაფერს ვამბობ მის მაღალ პროფესიონალიზმზე, როგორც ჟურნალისტზე. იგი ხომ საყოველთაოდ იყო ცნობილი. ძალიან უყვარდა, როცა ახალგამოსულ ჟურნალ „საქართველოს ქალზე" კარგს ეტყოდი. მართლაც, და ჟურნალში მისი თაოსნობით ბევრი სიახლე დაინერგა. ეროვნულობით, სამშობლოსადმი სიყვარულით იყო გაჯერებული ყოველი წერილი. ამას კი ჟურნალის თანამშრომელთა დიდი გამოცდილებით და მონდომებით აღწევდა. ქალთა კოლექტივში მუშაობა ადვილი არ არის, მაგრამ იგი მომთხოვნელობას, დათმობას, პატივისცემას და გულკეთილობას უთავსებდა.

ქალბატონი ნარგიზა გვეხმარებოდა ქალთა საბჭოს მუშაობაში. მისი ცხოვრებისეული გამოცდილებით თუ ინტელექტით ყოველთვის მხარში გვედგა. არ იყო პრობლემა, რომლის განხილვასა თუ გადაწყვეტაში მას თავისი აზრიანი და სასარგებლო, ჭკვიანური რჩევა არ მოეცა.

ჩვენთვის იგი ყოველთვის გვემახსოვრება, ასევე ყველას, ვინც მას იცნობდა, ემახსოვრება, როგორც საუკეთესო მეგობარი, კეთილისმსურველი და ჭირში თანამდგომი ადამიანი.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ლია გოდერძიშვილი

# გული, წიგნივით გადაშლილი



წლები რომ გვემატება, ახალ მეგობრებს ძნელადღა ვიძენთ. ნარგიზა მგელაძე ამ მხრივაც გამორჩეული იყო – მთელი ცხოვრება იძენდა მეგობრებს და მერე აღარასოდეს ჰკარგავდა მათ. სიკვდილი აქ არაფერ შუაშია. მე სიკვდილი იმის ღირსად არ მიმაჩნია, მეგობრობას (და სიყვარულს) ფერფლი წაეყაროს. ამბობენ, გონიერი კაცი იგივე წიგნიაო. სწორედ ასეთი „წიგნია" მისი სამეგობროსთვის ნარგიზა – თანაგრძნობისთვის, თანადგომისთვის, სულიერი გამძლეობისთვის გადაშლილი, გონებამახვილი, ენამოსწრებული, გულის სიმებზე მორგებული.

სხვამ სხვა თქვას, მე მეგობრობაზე ვიტყვი.

სიკვდილი ვერ მაიძულებს, მე ის წარსულში მოვიხსენიო. ხშირად ვიჭერ თავს, რომ ისევ ისე, ძველებურად, აწმყოში ვფიქრობ მასზე, აწმყოში ვესაუბრები. დრო მართლა კი ვერ ერევა ყველაფერს...

...დედა ადრე გარდაეცვალა და დედის მეგობარი თავად იმეგობრა. მერე კი, როცა ის სათნო ქალბატონი გარდაიცვალა, მის ერთადერთ ქალიშვილს საკუთარი სისხლი და ხორცივით უპატრონა, იზრუნა. წლების შემდეგ კი, როცა ის ახალგაზრდა ქალიც, მოურჩენელი სენის გამო, გარდაიცვალა, ისე გულწრფელად იგლოვა, როგორც საკუთარი ოჯახის წევრს იგლოვებს ადამიანი.

...სტუდენტობის ამხანაგი გვყავდა, ყაზბეგიდან. ადრე გარდაიცვალა. როგორღაც გავიგე, ცოლიც მძიმედ ავად გამხდარა, თბილისის საავადმყოფოში დაუწვენიათო. ერთადერთი შვილი ჰყავდათ, ხვიჩა, პირველ კურსზე იყო; ის ადგა თავზე ავადმყოფ დედას, ორ-სამ დღეში ერთხელ მაინც დამირეკავდა. წავიდეთ, ვნახოთ, იქნებ რა უჭირს ბავშვს. გამოჰკითხავდა წვრილად ყველაფერს, ჩაინიშნავდა, მიეფერებოდა, გაეხუმრებოდა დედაშვილს, რამე სამხიარულოს გაიხსენებდა და ავადმყოფს ისეთ ხასიათზე დატოვებდა, თითქოს უკვდავების წამალი ასვაო. იმაზე აღარაფერს ვამბობ, სად დარეკავდა, ვის აუხსნიდა ოჯახის ასავალ-დასავალს, ვინძლო ყურადღება არ მოაკლოთ... ხვიჩა რომ დედითაც დაობლდა, ერთი ყველაზე ახლობელი ოჯახი მისთვის „ნარგიზა მამიდას" (ასე ეძახდა ბიჭი) ოჯახი გახდა: დამეგობრდნენ თეა, ნათია და ხვიჩაც. ხვიჩამ ოჯახი არ მოშალაო, ხვიჩამ – ასეო, ხვიჩამ – ისეო, გაიგებდნენ წლების მერე; გაიხარებდნენ და გამახარებდნენ.

...ის წლებია, ქვეყანაში სრული ქაოსი და განუკითხაობაა, ასევე, საავადმყოფოში. ერთ ჩვენს საერთო მეგობარს წყლული გაუსკდა. სასწრაფოდ წაიყვანეს საავადმყოფოში. ქალის სიცოცხლე ბეწვზე ჰკიდია, გადის ერთი ღამე, დღე. ოპერაციას აყოვნებენ... „საოპერაციო ფულს" წინასწარ მოითხოვენ თურმე. გაიგო, კინაღამ თავზე დაამხო საავადმყოფო, ბუნებრივია –არა ჩხუბით და აყალმაყალით, თქვა თავისი სახელი და გვარი და ორიოდე სიტყვა – ნარგიზა მგელაძის გონების, ღირსების და „ენის" საკადრისი, იცოცხლეთ, შეფუცხუნდნენ, ავადმყოფი გადარჩა, მეგობარმა მეგობარი გადაარჩინა.

...ბოლო ათწლეულის დიდ გაჭირვებაში მისი ოჯახიც არ იყო დალხინებული, მაგრამ მის ახლობლებსა და მეგობარს ეს არ უგრძვნია. იგი უკანასკნელ ლუკმას უყოფდა მათ – მსუბუქად, იუმორით, სიხარულით.

მე არ ვამბობ, რომ ვინმე სხვა იგივეს არ მოიმოქმედებს თავისი მეგობრებისთვის, უფრო სხვა რამის თქმა მინდა: ის, თავის სამეგობროში, თანამდებობრივადაც და სახელოვნებითაც აღმატებული, ყველაზე თავგანწირვით იმას უვლიდა და ეფერებოდა, ვინც მიუსაფარი იყო, ვინც ცხოვრებამ თუ ბედმა დაჩაგრა, ვისაც მართლა სჭირდებოდა ვიღაცის „მხარი" (სხვათა შორის, მორალსა და ზნეობაზე მისი პუბლიცისტური წერილების უმეტესობაც ასეთი ადამიანების დაცვის პროფესიული თავგანწირვით არის ნიშანდებული).

საიდან მოდიოდა, ეს ყველაფერი?

წუთით „გვერდით გადავდოთ" ნიჭიერება, გონიერება, სიტყვაკაზმულობა, იუმორის უბადლო ნიჭი –ეს, თავისთავად, ყველასთვის „ხელის გულზეა".

მე ასე ვიტყვი: ეს ყველაფერი მოდიოდა მისი დიდი, პატიოსანი გულიდან, გუ-ლი-დან, უამისოდ ვერც მისი უნიჭიერესი კალამი მიაღწევდა მკითხველამდე, ვერც ამ ათიოდე წლის წინათ, ერთ-ერთი საგამოცდო ტურის დროს, აბიტურიენტების უმეტესობა დაწერდა, იმიტომ მინდა ჟურნალისტობა, ნარგიზა მგელაძეს ვგავდეო და ვერც მისი მეგობრები იტყოდნენ დღესაც (უკვე რამდენისგან მოვისმინე): „ფიქრს ვიჭერ, რომ ვულაპარაკებ, როგორც ცოცხალს: ვუამბობ ამბავს, კურიოზს და ის გულიანად იცინის, გადამდები სიცილით. მარტო მას რომ შეეძლო".

...ის დიდი გული (გაჩერებულიც კი) ჩემი მეგობარია.

მაშ, რა შუაშია აქ სიკვდილი, გინდაც გარდაცვალება...

ნანა დარჩია-ბოლქვაძე

# ხმით ნატირლები

მე შენ გამოსათხოვარი სიტყვა ვერ გითხარი, ჩემო ნანუ. მე შენ ხმით უნდა დამეტირებინე (ვერც ეს შევძელი) მთელი ქვეყნის გასაგონად, რომ შენ ნარგიზა მგელაძე – აღარა ხარ! ჩვენ კი როგორ უნდა ვიყოთ უშენოდ, ჩემო ლამაზო, ჭკვიანო, ერთგულო მეგობარო?! რა თავზარდამცემი პარასკევი გათენდა თუ დაღამდა? არა, შენ ვერ მოინატრებდი სიკვდილს, რადგან ერთი წუთითაც არ შეგეძლო თეასა და ნათიას, რატისა და ლათაკოს, შენი ღირსეული მეუღლის ლერისა და თემურის, ლიასა და თამრიკოს, ერთი სიტყვით უსაქართველოდ ცხოვრება. მაგრამ მოსახდენი მოხდა! ვაითუ, დაიჯერე შენი საყვარელი პოეტის სიტყვები: „მომენატრება სიცოცხლე – მოვკალ". ვერა, ჩემო კარგო, შენ იქნებ მოხვიდე კიდეც, მაგრამ ჩვენ რომ ვერ დაგინახავთ?! რა ძნელია დაიჯერო, რომ სამუდამოდ წახვედი ასე უცბად, ასე ვერაგულად... სიტყვებს თავს ვერ ვუყრი, ჩემო უნივერსიტეტო და ჩემო ლამაზო სტუდენტობავ, ჩემო თბილისო და ჩემო საგარეჯოვ, ჩემო ქუთაისო და ჩემო ბათუმო... რამდენი რამ მაქვს სათქმელი... მადლობელი ვარ იმისათვის, რომ არსებობდი, მადლობელი ვარ იმისათვის, რომ შენს წიგნებთან ერთად ორი უმშვენიერესი ქალიშვილი დაუტოვე საქართველოს, მადლობელი ვარ, რომ ასეთი ღირსეული და დიდი ოჯახის მფარველი ანგელოზი იყავი და იქნები, მადლობელი ვარ სიყვარულისათვის, სიხარულისათვის, ბედნიერი დღეებისათვის, მაგრამ რა ვუყო ამ გაუსაძლის ტკივილს, სიცარიელეს, რასაც ვერრა დრო ვერ გაანელებს, სხვა ვერავინ შეავსებს... ასე ულმობელია სიკვდილი! და მაინც სანუგეშოდ შენს ოჯახსა და მეგობრებს ნეტარი ავგუსტინეს სიტყვებს შევახსენებ, იქნებ ბრძენი ადამიანის სიტყვებმა ოდნავ მაინც შეგვიმსუბუქოს ტანჯვა, რაც შენი ნაადრევი წასვლით მოგვაყენე. – „სიკვდილი არა არის რა, მე მხოლოდ გაღმა მხარეს გავედი. მე ისევ მე ვარ, შენ ისევ შენ ხარ, რაც ვიყავით ერთმანეთისთვის, ისევ ვართ საუკუნოდ, ისევ ისე მომმართე, როგორც ყოველთვის მოგიმართავს, ისევ ისე მესაუბრე, როგორც ყოველთვის გვისაუბრია, ნუ დამელაპარაკები სხვა კილოთი, ნუ მიიღებ სამგლოვიარო და მწუხარე იერს, გაიცინე, რაზეც გეცინებოდა, მლოცე, გაიღიმე, იფიქრე ჩემზე, ჩემთან ერთად ილოცე, ჩემი სახელი შინ ისევ ისე წარმოითქვას, როგორც ყოველთვის წარმოითქმებოდა, ყოველგვარი ზეაწეულობის, ყოველგვარი ნაღველის გარეშე. სიცოცხლე იმას ნიშნავს, რასაც მუდამ ნიშნავდა, იგი ისევ ის არის, რაც მუდამ იყო; ძაფი არ გაწყდარა... ნუ ტირი, თუ მართლა გიყვარვარ!" სხვა რაღა გითხრა, ვიცი, ვერც მშვიდი იქნება შენი მარადიული ძილი და ვერც მსუბუქი იქნება მიწა, გულზე რომ დაგეყარა, მშვიდობით... გეთხოვები ჩემი და შენი საყვარელი ზაურ ბოლქვაძის ლექსის სტრიქონებით:

„ო, მაპატიე, ცოცხალი რომ ვარ,
შენი სიკვდილის რომ მსურს დარღვევა,
დრო მოვა, მე შენს
მეზობლად მოვალ
და შენი ბედი შემეხარბება!

ეროვნული ბიბლიოთეკა

არმაზ სანებლიძე

# განუმეორებელი

ერთად მოვდიოდით, უნივერსიტეტიდან, ჟურნალისტიკის განყოფილების სტუდენტობიდან.

შემდეგ გვერდ-გვერდ ვმუშაობდით. ჯერ ახალგაზრდულ გაზეთში, ბოლოს კვლავ ერთ შენობაში — ის ჟურნალ „საქართველოს ქალის" მთავარი რედაქტორი იყო, მე — გაზეთის.

უნიკალური ბედის ჟურნალისტი იყო, გამორჩეული ბიოგრაფიის. ნარგიზა მგელაძე იყო პირველი და დარჩა ერთადერთი ლაურეატი საქართველოს ახალგაზრდული ორგანიზაციის პრემიისა წიგნისათვის „დიდება თვითონ გიპოვნის".

დიდებამ მართლაც იპოვნა, სახელი მართლაც მოიპოვა. იგი 60-აინელთა იმ კოჰორტის ღირსეული წევრი იყო, რომელმაც პირველმა გაარღვია საბჭოთა კალკირებული შტამპების მოჯადოებული წრე და ახალ ქართულ ჟურნალისტიკას ჩაუყარა საფუძველი წინა თაობის ღირსეულ წარმომადგენლებთან ერთად...

შემოდგომის იმ დღესაც შემოფრიალდა ვერცხლისფერთმიანი ქალბატონი ჩვენს რედაქციაში, არაჩვეულებრივად მზიანი, ნათელი სახით:

— აი, ძამიკო, ჩვენი ჟურნალის ახალი ნომერი და ეს კიდევ ჩემი შვილის ნათარგმნი მარკესი.

არნახულად ბედნიერი იყო შვილის წარმატებით და იმით, რომ ააწყო საყვარელი საქმე — კიდევ ერთი მშვენიერი ნომერი გამოსცა თავისი ჟურნალის.

თურმე ეს ჩვენი ბოლო შეხვედრა იყო: ორ დღეში იგი სამუდამოდ დაგვემშვიდობა.

სულ მოქმედებდა, მოძრაობდა, მიმოდიოდა, და გზაზე დამდგარმა დალია სული, დიდ გზაზედამდგარმა, არ დავიწყების გზაზე...

მარიკა კვალიაშვილი

# მომენატრები!

ჩემო ნარგიზა, ძალიან მიჭირს შენი წარსულში მოხსენიება.

შენ ხომ ყველა გაჭირვებულის, ავადმყოფის, უსამართლობით გულგატეხილი ადამიანების გვერდით იდექი ყოველთვის. შეუძახებდი, დაამშვიდებდი და ცხოვრებისკენ მოაბრუნებდი.

ყველა გიყვარდა, ყველა გეცოდებოდა, ყველას ეხმარებოდი და აკი სიყვარულში, ერთგულებაში დაიხარჯე და დაიფერფლე კიდეც ბოლომდე.

ყოველი შენი ნააზრევი, სხვისი ჭკუის სასწავლებელი ხდებოდა.

კალამი იყო შენი ფარი და მახვილი, სიტყვა კი ფოლადზე ძლიერი, რამაც დამსახურებული სიყვარული და აღიარება მოგიტანა შენს სათაყვანებელ საქართველოში.

როგორი სუსტი ყოფილა შენი თბილი, ალერსიანი, ქვეყნისა თუ მოყვასის სიყვარულით სავსე დიდი გული.

რამდენ სიხარულს გვანიჭებდი შენი არსებობით. ყველაფერში და ყველგან ხომ სულ ერთად ვიყავით და ერთად ვინაწილებდით სიხარულსა თუ ტკივილს, თუმცა შენს გვერდით ტკივილის დაძლევასაც ადვილად ვახერხებდით მაშინ, როდესაც შენ თურმე ყველაზე დიდ ტკივილს ჭირთათმენით უძლებდი და ამაზე სიტყვაც არ წამოგცდენია არასოდეს, აქაც ისევ ჩვენ გვიფრთხილდებოდი, შენს ირგვლივ მყოფ ადამიანებს და ენაწყლიანობით, მოქარგული სიტყვით იგერიებდი მომდგარ საფრთხეს.

მოხდენილი ღიმილით აგვიბამდი მხარს და სამომავლო გეგმებს, რომლებიც ბევრ საინტერესოს ითვალისწინებდა, ერთად ვადგენდით.

სიკვდილზე ფიქრიც არ შეგვეძლო და თურმე ნუ იტყვი, ზურგს უკან გყოლია ჩასაფრებული, თუმც სიკვდილსაც არ შეეპუე, აჯობე შენი ბოლო სიტყვებით „ახლა უკეთ ვარ"-ო. სწორედ ამ უკანასკნელი სიტყვებით დაამარცხე სიკვდილი, რომელსაც თვალებში ჩახედე და არ შეუშინდი და ჩვენც იგივე სიტყვები იმედად დაგვიტოვე.

სად მივდიოდით და საით წაგვიხვედი. მიგვატოვე გაოგნებულები, სასოწარკვეთილები და მოულოდნელობით თავზარდაცემულები.

სიკვდილმა ალბათ სამოთხის კარი შეგიხსნა და ღმერთისკენ მიმავალ გზას გაგიყენა, რადგანაც ღმერთისა და კაცის წინაშე პირნათელი იყავი ყოველთვის.

ტყუილად არ გიცხოვრია ამ ქვეყნად. სწორედ ღმერთისაგან ბოძებული ნიჭი და უნარი, რაც გამოიხატება სიყვარულში, ერთგულებაში, კაცთმოყვარეობაში, მადლის კეთებაში, ადამიანთა გვერდით დგომასა და კეთილშობილებაში. სწორედაც ასეთი იყო შენი ცხოვრების წესი. ასეთად დარჩები ჩვენს გულებში და, როდესაც ადამიანი სიკვდილის შემდეგ გვიტოვებს ყველაზე დიდ სიმდიდრეს, სიყვარულსა და მონატრებას, ამას არდავიწყება და უკვდავება ჰქვია.

იძინე ტკბილად, ჩემო ნარგიზა. შენს სულს კი ღმერთმა დაუმკვიდროს წმინდა სასუფეველი.

ვილოცებ შენთვის. მომენატრები.

იოსებ ჭუმბურიძე

## დღეს ჩვენ ვეთხოვებით...

# სიტყვა, რომელიც ქალბატონ ნარგიზა მგელაძესთან გამოთხოვებისას, სამგლოვიარო მიტინგზე უნდა მეთქვა



ნარგიზა მგელაძე და იოსებ ჭუმბურიძე

*მიტინგი კი, სამწუხაროდ, არ შედგა, იმის მიუხედავად, რომ, საამისოდ, მწერალთა სასახლესაც არავინ დაიშურებდა, ჟურნალისტთა სახლს ხომ — მით უმეტეს. ოჯახმა მოისურვა, რომ ის მარადისობის გზას საკუთარი ბინიდან დასდგომოდა. ამ სურვილს, ცხადია, წინ ვერავინ აღუდგებოდა, თუმცა, ესეც არის: ნარგიზა მგელაძის რანგის მოღვაწენი მხოლოდ საკუთარ ოჯახებს არ ეკუთვნიან.*

ქალბატონებო და ბატონებო!

ქალბატონი ნარგიზა მგელაძისთვის სიცოცხლეშიც არ დამიკლია გულწრფელი ეპითეტები, მაგრამ, ახლა, პირველად უნდა ვთქვა ის, რასაც, ჩემი ღრმა რწმენით, განსვენებული ნამდვილად იმსახურებს:

დღეს ჩვენ ვეთხოვებით ქართული ჟურნალისტიკის დედოფალს!

არა მგონია, ეს ვინმეს გადაჭარბებულად მოეჩვენოს. და თუ ასეთები მაინც აღმოჩნდებიან, მაშინ გაიხსენონ, სხვას ვის ხვდა წილად მისნაირი პოპულარობა, თანაც როდის? — მართლაც, რუტინულ დროში, თანაც კალმით და არა, ვთქვათ, ტელეეკრანზე ყოველდღიური გამოჩენით.

მთელი საქართველოს მასშტაბით, ნარგიზა მგელაძის სახელგანთქმულობა ყველაზე ცნობილ კინოვარსკვლავთა პოპულარობას უტოლდებოდა.

მახსოვს, ერთხელ, კახეთში ვახლდი და იქაურები ერთმანეთს ეძახდნენ, მოდით, ცოცხალი ნარგიზა მგელაძე ნახეთო.

ასეთი პოპულარობა შემთხვევით არ მოდის. ეს მხოლოდ გამორჩეულად ნიჭიერთა ხვედრია.

და, მაინც, საყოველთაო აღიარებას მარტო ნიჭი არ ყოფნის. ერთ-ერთ შეხვედრაზე, ქალბატონ ნარგიზას ჰკითხეს, ნიჭის გარდა, სხვა რა არის, ჟურნალისტისთვის, ყველაზე აუცილებელიო.

აბსოლუტური პატიოსნებაო! — უპასუხა მან.

ნიჭიერება და პატიოსნება! — აი, რა გამოარჩევდა ქალბატონ ნარგიზა მგელაძეს.

შემთხვევით არ აქვს მის ერთ-ერთ წიგნს სათაური, რომელიც ყოველთვის თეთრი შურით მშურდა: „ვის ვართმევთ ხელს?"

თუ ღრმა შინაარსის დამტევ ამ სათაურს პირდაპირ და მარტივად არ გავიგებთ, მაშინ შეგვიძლია, თამამად ვთქვათ: ნარგიზა მგელაძეს არასოდეს ჩამოურთმევია ხელი ულირსისთვის, არასოდეს შესულა „ტაძრად, უწმინდური სადაც შევიდა".

...გარდაცვალებამდე რამდენიმე დღით ადრე, დამირეკა და თავისი ქალიშვილის, თეა გვასალიას, წიგნის გამოსვლა მახარა. თანაც რა წიგნის! — 900 გვერდიანის, რომელშიც მარკესის ნაწარმოებთა თარგმანებია თავმოყრილი.

ესეც მითხრა, თეა არ არის ინიციატივიანი, მე ვიბრძოლე ამ წიგნისთვის, რომლის გამოცემაც მეუღლემ დაუფინანსა, ვიფიქრე, სხვას ვერაფერს ვუტოვებ და ეს მაინც დარჩეს-მეთქი.

დიახ, ნიჭიერები და პატიოსნები, სამწუხაროდ, შვილებს ბევრს ვერაფერს უტოვებენ, რა თქმა უნდა, პრაგმატული გაგებით, სინამდვილეში კი, ქალბატონმა ნარგიზამ თავის საფიცარ შვილებს დაუტოვა სულ სხვა, აუწონავი სიმდიდრე, რომლითაც მუდამ იამაყებენ.

ნარგიზა მგელაძეს კინოვარსკვლავის გარეგნობა არ ჰქონია, მაგრამ მას ქალური სინაზე და ხიბლი ყოველთვის გამოარჩევდა: არა მხოლოდ სილამაზეა ნიჭი, არამედ (და უფრო მეტად) ნიჭიერება არის სილამაზე. და მე დღეს, ამ მშვენიერი მანდილოსნისთვის ისევე მენანება მიწის ბელტები, როგორც გიორგი ლეონიძეს — ნინო ჭავჭავაძისთვის.

წარმატების სიხარულთან ერთად, მას არც ფიზიკური თუ სულიერი ტკივილები დაჰკლებია. ამის მიუხედავად, მუდამ დაუზოგავად იწვოდა და იხარჯებოდა, ჟურნალისტიკაში — შემოქმედებითად, დიდებულ ოჯახში — ფიზიკურად. დაუღალავმა შრომამ დაღალა და გაცვითა მისი მხურვალე გული.

რადგან ყველანი სიკვდილის შვილები ვართ, მარადიულ სამყოფელში მშვიდი ძილის უფლებაც დიდი ბედნიერებაა.

ქალბატონო ნარგიზა, თქვენ, უდავოდ, ბედნიერი ხართ!

იძინეთ მშვიდად, დაღლილო ქალბატონო. თქვენ ამის უფლება ნამდვილად გაქვთ მოპოვებული.

# ქალბატონო ნარგიზა!

ბესიკ კეკელიძე

ჩვიდმეტ სექტემბერს „საქართველოს ქალის" რედაქციაში მოთხრობა მომქონდა. როდესაც ლიფტი გამოვიძახე, თვალი კედელზე გაკრული განცხადებისკენ გამექცა. გავკოგნდი. თეთრი ფურცელი თქვენს მარადიულობაში გადასვლას იუწყებოდა. თვალებს არ დავუჯერე. ისევ გადავიკითხე და ვიგრძენი, როგორ გამიჩნდა გულში სიცარიელე. დიახ, სიცარიელე, რომელსაც მეგობრის სხვა განზომილებაში გადასვლა ჰქვია.

თქვენ ჩემი უფროსი მეგობარი იყავით, არასოდეს იშურებდით რჩევას, ყოველთვის ვგრძნობდი მოცემული შენიშვნის მართებულობას. როდესაც ჩემი წიგნის „ლიმონის" რედაქტორობა შემოგთავაზეთ, სიამოვნებით დამთანხმდით და მთელი სერიოზულობით მოკიდეთ ხელი.

ქალბატონო ნარგიზა, დიდი მადლობა უფალს, რომ თქვენნაირი კეთილშობილი ადამიანი შემახვედრა, რომელიც ჩემს ცნობიერებაში დარჩება როგორც ქართველი ქალის ჭეშმარიტი სახე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ეს ქალბატონი უძლიერესი

**ჩვენი გაზეთის დღევანდელ სტუმარს, ჟურნალისტ ნარგიზა მგელაძეს კარგად იცნობს ფართო საზოგადოება. მით უფრო, სტუმარი არ ეთქმის მას ჩვენთვის – გაზეთ „თბილისის“ თანამშრომლებისთვის: ქ-ნი ნარგიზა მგელაძე წლების მანძილზე მოღვაწეობდა ამ გაზეთში და, არაერთი მაშინდელი სტუმრისთვის, თავად იყო გულთბილი და კეთილგანწყობილი მასპინძელი. უკვე ორმოც წელზე მეტია, იგი აქტუალური, მწვავე პრობლემური პუბლიკაციებით ემსახურება საყვარელ საქმეს. ამდენად, მასთან საუბარი, ალბათ, ინტერესმოკლებული არ იქნება როგორც მკითხველებისთვის, ასევე ქ-ნი ნარგიზას კოლეგათა ფართო წრისათვის.**



**– ქალბატონო ნარგიზა, თქვენ რთულ ეპოქაში მოგიხდათ მოღვაწეობა: იყო სოციალიზმი და კომუნიზმის მშენებარე ხარაჩოები. შემდეგ იყო გარდაქმნა და მავნე გადმონაშთებთან ბრძოლა. ახლა დამოუკიდებელი საქართველოა, უამრავი სირთულით, სატკივარითა და პრობლემებით. საინტერესოა თქვენი ცხოვრების რომელ პერიოდს გაიხსენებდით სიამოვნებით?**

– ყველა დროს თავისი ხიბლი აქვს, ყველა თავისებურად საინტერესო და გაუმეორებელია, მაგრამ ყველაზე დიდი სიამოვნებით ჩემი ახალგაზრდობის წლებს გავიხსენებ: პირველ ჟურნალისტურ ნაბიჯებს, „ახალგაზრდა კომუნისტში“ მუშაობას ჩემს პირველ ლექტორთან, ბატონ გოგი გელაშვილთან, ვისგანაც ბევრი სიკეთე მახსოვს. „ახკომში“, მაშინ, შესანიშნავი კოლექტივი იყო: თამაზ ბიბილური, ნანა ღვინეფაძე, ეთერ სახვაძე, სხვები... თბილად, გულითადად მიმიღეს. საერთოდ, უნდა ვთქვა, რომ ამ მხრივ ბედის ნებიერი ვიყავი ყოველთვის. სადაც მივდიოდი, ყველგან კარგი ადამიანები მხვდებოდნენ. მათგან გულისხმიერებისა და ყურადღების მეტი არაფერი მახსოვს. ასევე იყო გაზეთ „თბილისში“ მუშაობის პერიოდშიც.

**– თქვენი პროფესიული არჩევანი რამ განაპირობა?**

– რაც თავი მახსოვს, სულ ჟურნალისტობა მინდოდა. პირველად რომ ვნახე ჩემი პატარა წერილი „ნორჩ ლენინელში“, გული სიხარულით ამევსო და მაშინ უფრო მტკიცედ გადავწყვიტე... კარგად ვსწავლობდი, მედალოსანი ვიყავი. დედას უნდოდა, ექიმი გამოვსულიყავი. მე კი ისე გავიზარდე, დედის სიტყვას არ გადავსულვარ. ამიტომ საბუთები სამედიცინო ინსტიტუტში შევიტანე. მაგრამ ჩემი პირველი სიყვარული – ჟურნალისტობა არ მასვენებდა! ჩემი ძმა მაშინ უნივერსიტეტში სწავლობდა. ვთხოვე, წამიყვანე, უნივერსიტეტი დამათვალიერებინე-მეთქი... იქ მისულმა, შევიტყვე რომ, თურმე, ჟურნალისტებს კონსულტაცია ჰქონდათ – ესეც ბედია... მეც შევედი მათთან ერთად, თემა დავწერე, მეორე დღეს ჩემი ნაშრომი პროფესორმა ტარიელ კვანჭილაშვილმა შეაქო... ეს ღვთის ნებად მივიჩნიე და სასწრაფოდ, დედას ვუდეპეშე. ჩამოვიდა. ვუთხარი ჩემი ამბავი. რომ ნახა, ასე მონდომებული ვიყავი და თანაც ვიცრემლებოდი, შევეცოდე და დამეთანხმა... ასე გავხდი ჟურნალისტიკის ფაკულტეტის სტუდენტი!

**– ნიჭის გარდა, ჟურნალისტს კიდევ ბევრი რამ სჭირდება, თქვენ, გამოცდილი პროფესიონალი, რა თვისებებს გამოყოფთ ჟურნალისტისთვის, როგორც აუცილებელს?**

– ჩვენი პროფესიის ადამიანებს აქვთ უძლიერესი იარაღი – სიტყვა, რომლის სწორად გამოყენებაზე, ხშირად, ბევრი რამ არის დამოკიდებული. „რაც გულს გარეთ იწერება, ის გულს გარეთ ივითხება“ – ასეთი იყო და უნდა იყოს ჩვენი ძირითადი პრინციპი. კომუნისტების დროს ჟურნალისტობა ჯანმრთელობისათვის განსაკუთრებით მავნე პროფესიათა ათეულში იყო შეტანილი: ჟურნალისტი რთული, დაძაბული ყოველდღიურობის მქონე ადამიანია. პატიოსნება, საქმისადმი სიყვარული ნებისმიერი პროფესიისათვის აუცილებელი პირობაა. მაგრამ ჟურნალისტს თუ ადამიანებისადმი კეთილგანწყობა, სხვისი დახმარების, თანადგომის სურვილი არ ამოძრავებს, პროფესიულად ვერ ივარგებს. ცხადია, აქ თავისთავად იგულისხმება ნიჭი! მაგრამ ამასთან ერთად აუცილებელია, საზოგადოებრივი საქმისადმი აქტიური დამოკიდებულება, ტაქტიანობა, ენერგიულობა, რესპოდენტისადმი პატივისცემა. არ უნდა ეძებდეს იაფფასიან სენსაციებს, უნდა ჰქონდეს ღირსების გრძნობა, არ უნდა შელახოს სხვისი ღირსება, უნდა ეყრდნობოდეს ეროვნულ იდეოლოგიას, ანუ იმას, რასაც დიდი ილია გვასწავლიდა და გვასწავლის!

**– თქვენი მოღვაწეობის მნიშვნელოვანი პერიოდი აქტიურ კომუნისტურ რეჟიმს დაემთხვა, მაშინ ნაკლები იყო შემოქმედებითი თავისუფლება. ბევრი რამ იკრძალებოდა – უწინარესად, ჟურნალისტურ თემატიკას ვგულისხმობ... როგორ შეაფასებდით იმ დროს?**

– მაშინდელი იდეოლოგია ჩარჩოებში აქცევდა ყველას და ყველაფერს, მით უფრო – ჟურნალისტს. მაგრამ უნდა ითქვას, რომ კრიტიკა, მაშინ, საკმაოდ მწვავე იყო. თანაც, ამ კრიტიკაზე აუცილებელი იყო რეაგირება! ვინ იცის, რამდენი დადგენილება მოჰყოლია კრიტიკულ წერილებს. ან, პირადად მე, რამდენჯერ გამიჩენია თავსატეხი „ძლიერთათვის ამა ქვეყნისა“! მაშინ, ჟურნალისტისათვის აუცილებელი იყო პოზიცია, მისი გამოკვეთა, არც ლანძღვა-გინება შეიძლებოდა, არც ამდენი უსაფუძვლო ბრალდების წამოყენება.

ჟურნალისტის სიტყვას ფასი მეტი ჰქონდა, პროფესიას – მეტი პატივისცემა და ავტორიტეტი! ხალხს სჯეროდა მისი, ენდობოდა, უზიარებდა თავის საწუხარს და იმედი ჰქონდა, რომ ჟურნალისტი დაეხმარებოდა.

ახლა სამწუხაროდ, ამის იმედი ნაკლებად აქვს მკითხველს! ის ყოველდღე კითხულობს ან უყურებს, როგორ ლანძღავენ ერთმანეთს პოლიტიკოსები ან ოლიგარქები, ჟურნალისტი კი ზის როგორც მოწმე, ანდა როგორც უბრალო სტენოგრაფისტი, მათს აზრს აღნუსხავს, ეს არის და ეს... უფრო და უფრო ხშირდება ფაქტები იმის შესახებ, რომ ჟურნალისტი „იყიდეს“, შეკვეთით დააწერინეს და ბევრი ფული გადაუხადეს სხვათა ლანძღვაში ან კომპრომატების მოძიებაში. ასეთი ჟურნალისტი მდიდარია და პოპულარული, მე კი ასეთ პოპულარობას სათაკილოს და იაფფასიანს ვუწოდებდი. სიტყვის თავისუფლება „წერე და ივითხეს“ არ უნდა ნიშნავდეს!

**– მაგრამ შეკვეთა ხომ იმ დროში, ბევრი იყო „ზემოდან?“**

– დიახ, იყო, ბევრჯერ გადაგვიხდია ხარკი მაშინდელი სახელმწიფო იდეოლოგიისთვის, მაგრამ სიამაყით შემიძლია ვთქვა, რომ ბევრ ადამიანს დავხმარებივარ ჩემი პროფესიით. ახლაც მახსოვს, როგორ ვაიძულე ერთი ბობოლა, ფულიანი კაცი, კეთილი ენება და მკურნალობის ფული გადაეხადა ავადმყოფი გოგონასთვის, რომელიც მისი უპასუხისმგებლობის წყალობით სარეცელს მიეჯაჭვა! მაშინ ეს დიდი ამბავი იყო და დიდი რეზონანსიც ჰქონდა. მიხაროდა, რომ გაიმარჯვა სიმართლემ და მე, სუსტმა ქალმა, ვაჯობე ჯიბესქელ კაცს, რომელსაც ცა ქუდად არ მიაჩნდა და დედამიწა ქალამნად.

ასეთი გამარჯვებები კიდევ უფრო მიმყარებდა რწმენას საკუთარი თავისა და პროფესიისადმი. შეკვეთები ახსენეთ და მომაგონდა ჩემი წერილი – „მძიმე სუფრა“ რომელიც წრეგადასულ ქელეხებს შეეხებოდა, და აღწერდა იმ დროისათვის ტიპიურ, 700-კაციან ქელეხს, სადაც ერთმანეთს ბევრი ვერ იცნობდა! როდესაც წერილი დაიბეჭდა, იმ ქელეხის ორგანიზატორებმა საკუთარი თავი ამოიცნეს და მესტუმრნენ კიდეც!

ბევრჯერ მომხვედრია, „ზემოდან“ ჩემი კრიტიკული წერილების გამო, მაგრამ უკან არ დამიხევია, რადგან მართალი ვიყავი და ვერავინ მეტყოდა, გიყიდეს და დაგაწერინესო. ალბათ, სწორედ იმის გამო, რომ სიტყვის თავისუფლება ნაკლები იყო, ნათქვამ სიმართლეს დიდი ძალა ჰქონდა და მას ანგარიშს უწევდნენ, როგორც „ზევით“, ასევე „ქვევით“... ახლა კი გული მტკივა, როდესაც ამდენი სიმართლე იწერება და... ქარავანი კი მიდის...

**– ორმოცი წლის მანძილზე, ბევრი საინტერესო კოლორიტული რესპოდენტი გეყოლებოდათ. ვინმეს ხომ არ გაიხსენებდით?**

– მახსოვს, ერთი სოხუმელი კაცი, რომელმაც II მსოფლიო ომის დროს, ბერლინში, საგარეო საქმეთა სამინისტროს შენობის თავზე, პირველმა ააფრიალა ჩვენი დროშა! ეს იყო რაიხსტაგამდე. ეს კაცი გიორგი გოგიშვილი იყო, მეტად საინტერესო რესპოდენტი. მას „ახალგაზრდა კომუნისტიდან“ სოხუმში მივლინების დროს შევხვდი. გიჩვენებთ ფოტოსაც, რომელიც ამ შეხვედრას ასახავს. ეს 1965 წელს იყო... შეხვედრას სოხუმელი ჟურნალისტი პავლე ჯაფარიძეც ესწრებოდა... მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა... სოხუმი დავკარგეთ... ამ ულამაზეს ქალაქთან ბევრი რამ მაკავშირებდა. იქ ჩემი ცხოვრების ნაწილი დარჩა!..

**– თქვენი იუმორი საყოველთაოდ ცნობილია. „თბილისში“ ახლაც ვიხსენებთ, თქვენს მახვილგონივრულ გამონათქვამებს. ალბათ, კურიოზიც ბევრი გექნებოდათ?**

– მთელი ცხოვრება ვწერდი. ვეხებოდი ბევრნაირ თემას... მაგრამ ჩემი ძირითადი თემა მაინც ზნეობა, მორალი, ოჯახი, პიროვნული პასუხისმგებლობა იყო! თუმცა ცხადია, ვერც „სავალდებულო“ თემებსავუვლიდი გვერდს. ჰოდა, ერთხელ, ლენინის მუზეუმში გამგზავნეს, „ახალგაზრდა კომუნისტიდან“. წერილი უნდა დამეწერა ბელადზე. ბევრი მატარა „იმელში“ მხცოვანმა ჟურნალისტმა ანტონ კუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

# იარაღის მფლობელია

ლენჯერიძემ. მაგრამ იქ ლენინის პალტოზე უფრო საყურადღებო ვერაფერი ვნახე... ისიც გავიგე. თურმე. ეს პალტო რომ შეეკერათ. საჭირო გახდა ძველი დაზგის აღდგენა და ისეთი მაუდის მოქსოვა. რისგან შეკერილი პალტოც მაშინ ჰქონდა ბელადს...

წერილზე კარგა ხანს ვიმტვრიე თავი. ბოლოს. რაღაც მაინც დავწერე. ხოლო სათაურზე კი. „შთაგონება მეწვია" და ლენინის მუზეუმს არც მეტი. არც ნაკლები. „სახლი სათნოებისა" დავარქვი. ეს სათაური რედაქტორმა გელაშვილმა ერთი ხელის მოსმით გადახაზა! ალბათ. მიიჩნია. რომ მეტისმეტი იყო და. მართალიც გახლდათ. საერთოდ. სათაურის შერჩევა ძალზე რთულია. ეს ყველამ იცის. ვისაც კი ჟურნალისტიკასთან შეხება ჰქონია. მაშინ კი. ახალბედამ. ჩანს მეტი ვერაფერი მოვიფიქრე!

**– ჟურნალისტური მოღვაწეობის გარდა, წერთ მოთხრობებს, დიდებისთვის და პატარებისთვის. 15 წიგნის ავტორი ხართ... მაინც, რომელია თქვენთვის მთავარი – მწერლობა თუ ჟურნალისტიკა?**

– უპირველესი ჟურნალისტიკაა! სწორედ. აქედან მივედი მწერლობაში. რადგან ბევრი ისეთი სათქმელი დაგვიგროვდა. რასაც საგაზეთო პუბლიცისტიკა ვერ დაიტევდა. თანაც. როგორც გითხარით. ბევრ რამეზე წერა მაშინ არც შეიძლებოდა. ამიტომ. ასეთი სათქმელისთვის. მოთხრობები ვარჩიე... მწერალთა კავშირის წევრიც ვარ. მაგრამ მაინც ჩემი პროფესია ჟურნალისტიკაა. სად არ მიმუშავია. ლიტმუშაკიც ვყოფილვარ. რედაქტორის მოადგილეც. რედაქტორიც. მაგრამ პრაქტიკული ჟურნალისტიკისთვის არასოდეს მიღალატია!

**– თქვენ არაერთი ჯილდოს მფლობელი ბრძანდებით... რომელია მათგან, თქვენთვის, ყველაზე ფასეული?**

– თუ ძალიან ძველმოდურად არ ჩამითვლით. გეტყვით. რომ ყველაზე მეტად კომკავშირის პრემიის მიღება გამეხარდა. რადგან პირველი ჟურნალისტი ვიყავი. ვინც ეს ჯილდო დაიმსახურა. ისე კი. ჟურნალისტისთვის ყველაზე დიდი აღიარება ხალხის სიყვარულია: თუ გიცნობენ. შენს სიტყვას აფასებენ და პატივს გცემენ. ეს არის მთავარი! მე ახლაც მომდის წერილები მკითხველებისაგან – ხან ჟურნალ „საქართველოს ქალში". რომელსაც ახლა ვრედაქტორობ. ხანაც – შინ და ეს მარწმუნებს. რომ ვიღაცას ვახსოვარ. ვჭირდები. სჭირდება ჩემი სიტყვა და. ამ ძნელბედობის ჟამსაც. მეხმიანება. მენდობა. აზრს მიზიარებს.

**– მახსოვს, თქვენი ნაამბობი, თუ როგორ გადაარჩინა თქვენმა ყურადღებამ ერთი ავადმყოფი ქალბატონი...**

– ეს. მართლაც საოცარი ამბავია. ჩვენთან. წლების მანძილზე. მუშაობდა ერთი ხანშიშესული ქალბატონი. მერე. პენსიაზე გავიდა... უკურნებელი სენი ჰქონდა. ერთხელ. მასზე ფიქრი ამეკვიატა და... დავურეკე. ჩემდა გასაოცრად. მითხრა. ახლა. როცა შენ დარეკე. ფანჯრიდან გადავარდნას ვაპირებდი. რადგან მოურჩენელი სენი მაქვს. ყველას ვაწუხებ. არავის ვჭირდებიო. შენმა ზარმა და მოკითხვამ დამარწმუნა. რომ ვიღაცას კიდევ ვხსომებივარო! ისე აღელდი. მახსოვს. რამდენ ხანს ვარწმუნებდი. გვახსოვხართ და გვიყვარხართ-მეთქი... ადამიანებს ზოგჯერ მცირე ყურადღებაც ჰყოფნით... ჩვენ კი ხშირად. ვივიწყებთ ამას. არ გვახსოვს ერთმანეთი. თბილ სიტყვას ვერ ვიმეტებთ. გულს ვტკენთ. მერე კი უკვე გვიან არის...

**– თქვენ დიდი ოჯახის დიასახლისიც ხართ: ცოტა რამ ამაზეც გვითხარით...**

– ჩემი მეუღლე. ლერი გვასალია. ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორია. შვილები გვყავს – თეა და ნათია. თეა – ესპანურის სპეციალისტია. ჟურნალისტი. ახლა გამოვა მისი მესამე წიგნი – მარკესის ნაწარმოებთა თარგმანები. რედაქტორი მე ვარ. ეს ძალიან მახარებს. თეას ძალიან უყვარს მარკესი და ცდილობს. ღრმად ჩაწვდეს მის სამყაროს. ესპანეთში სწავლის დროს მარკესოლოგი ასწავლიდა ამ დიდი მწერლის შემოქმედებას... ნათია იუსტიციის საბჭოს პრესმდივანია. მყავს ორი შვილიშვილი: რატი და დათა. ახლა მათთვის ვწერ საბავშვო ლექსებს და მოთხრობებს. კარგი შვილები დედისათვის დიდი სიამაყეა. ბედნიერებაა.

**– განვლილ წლებს რომ გადახედავთ, რა გიხარიათ, რაზე გწყდებათ ხოლმე გული?**

– მიხარია. რომ ფუჭად არ მიცხოვრია. რომ კარგი შვილები მყავს. რომ ჩემი ნაღვაწი ახსოვთ და აფასებენ! გული კი იმაზე მწყდება. რომ დედა ადრე გარდამეცვალა და. ამით ბევრი ტკივილი გადავიტანე!

**– პრობლემა, რომელიც განსაკუთრებით გაღელვებთ...**

– როგორც ჟურნალისტს. განსაკუთრებით მაღელვებს ჩემ პროფესიაში მომრავლებული უხამსობა. გულგრილობა გაუტანლობა. ურთიერთდაპირისპირება. უტაქტო ლანძღვა-გინება. ერთმანეთის არდაზოგვა. ანგარება. ბოროტი სიხარული სხვათა ცოდვებისა თუ დანაშაულის გამო. იაფფასიანი სკანდალები და სენსაციები. რაც ობიექტურობის სახელით მოინათლა. გარიგებანი... თუმცა. მჯერა. რომ გავა. დრო. ეს სიბინძურე დაიწმინდება და დარჩება უცვლელი ფასეულობანი: პატიოსნება. სინდისი. სიმართლე. სიყვარული. რაც ბევრს შეგვაძლებინებს. ჩვენი ქვეყნის ტკივილებს უწამლებს. დაკარგულ ტერიტორიებს დაგვიბრუნებს. შელახულ ავტორიტეტს აღგვიდგენს და. რაც მთავარია. ჩვენს დაცემულ ზნეობას საკადრის სიმაღლეზე აიყვანს. ერთი სიტყვით. ბუნებით ოპტიმისტი ვარ და იმედი მაქვს. გვეშველება!

**– ქალბატონო ნარგიზა, თქვენს ნათქვამში ბევრია საცნაური, გასათვალისწინებელი. მაგრამ საქმისათვის სჯობს თქვენი გამოცდილების მქონე პროფესიონალს, უფრო კონკრეტული ადრესატის მისამართით ეთქვა ორიოდე სიტყვა, რას ურჩევდით დამწყებ ჟურნალისტებს?**

– პირველივე წერილის გამოქვეყნების შემდეგ. ნუ გეგონებათ. რომ უკვე დასრულებული პროფესიონალი ხართ და არავის რჩევას არ საჭიროებთ! მუშაობისას. კეთილი სიტყვა არ უნდა დაგენანოთ. მოყვასისათვის ზრუნვა და დახმარება თქვენი ცხოვრების წესად უნდა იქცეს. პატიოსანი ჟურნალისტის სახელი თქვენთვის ყველაზე ფასეული უნდა იყოს. ბევრი უნდა იკითხოთ. იფიქროთ და გადაჭრით. ნაკლებად განსაჯოთ სხვათა დანაშაული! გახსოვდეთ. მხილება და განსჯა ღმერთის ნებაა. ადამიანის ვალი კი მიტევება. თანადგომა და სიყვარულია! კეთილგანწყობა და ადამიანისადმი პატივისცემა უნდა იყოს თქვენი თანამგზავრი. არასოდეს შეხედოთ გულგრილად ადამიანის ბედს და. რაც მთავარია. ნუ დააყენებთ საკუთარ კეთილდღეობას სამშობლოზე მაღლა!

ესაუბრა ირინე კუკავა



● მეუღლესთან ლერი გვასალიასთან ერთად



● შვილიშვილები რატი და დათა



● ქალიშვილები თეა და ნათია მეუღლეებთან – რეზო ბეჟანიძესა და ბესარიონ ტყეშელაშვილთან ერთად

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოვიდა ცნობილი პოეტის ვაჟა ოთარაშვილის ლექსების მშვენიერი წიგნი „ხეკორძულელის აღსარება".

წიგნის სახელწოდებად პოეტს ერთ-ერთი ლექსის სათაური შეურჩევია, რომელიც ავტორის მრწამსისა და შემოქმედების ერთგვარი კრედოა.



ვაჟა ოთარაშვილი




## ხეკორძულელის აღსარება

„არ უნდა ჩანდე ოსტატზე მეტი,
ბრძენი იყავ და ჩაგთვლიან შლეგად..."
მე უფლის ნებით ჩუქურთმას ვკვეთდი,
ხეკორძულას წყალს მასმევდა დედა...
"მოეკვეთება ყველას მარჯვენა,
მეფეზე მეტად ვინც იარნივებს!"
მაცხოვრის ჯვარის გადასარჩენად,
ფარისევლთა ვძლიე ქარ-წვიმებს...
მადლობა, ღმერთო, ჩემი მარჯვენა
ღირსი გახადე ტაძრის კედლისა...
ივერთა რწმენის გადასარჩენად,
ხუროთმოძღვრობა რომ დამეკისრა...
დაე, მომკვეთონ მეორე მკლავიც,
ოღონდ ერთობა იყოს ქართველთა...
ვერც წინამურთან ვეღარ მომკლავენ
თუ საქართველოს სული გამთელდა...

## გენური მოზაიკა

ქართველი ჰყავდა, მრისხანე შაჰს,
თურმე, ბებია...
სიკვდილის შიში,
ო, როგორი გადამდებია...
ბუმბერაზ მუხებს
რატომ უჭირთ ერთად დადგომა?
ხომ გაამთელა
ივერიელთ რწმენა დიდგორმა...
სახარებაში ქართულ ენას
ჰქვია ლაზარე...
ო, სააკაძევ, თურქეთშიაც
გლოვობ ბაზალეთს...
მზერით ცქხავდა მცრისა ისარს
ღვთისგან აცდენილს...
მიუცკვებდა მოსყიდულ მკვლელს
გრიგოლ ხანძთელი...
ჟამმა, მსახვრალმა,
სულხან-საბა სად არ აცხოვრა...

ვინა თქვა, თითქოს ულალატა ქრისტე მაცხოვარს?
იესოს ძარღვი – წმინდა ვაზი,
ქართლში ჩარგა ვინ?
ამოზიდულა ვაჟას მხრებზე
მზემდე ჩარგალი...
ილია ცოცხლობს...
წინამურთან ცქვიას იშვილებს
და მხოლოდ ოლღა
დაუქვრივდათ გურამიშვილებს...
„შავო მერცხალო", ცოდვა-მადლით
სავსე სოსელო...
გორიჯვარისკენ მიმავალო
საყდრის მლოცველო...
ო, უძლეველო წინამბრძოლო
ქართველ ერისა –
წმინდა გიორგივ!
გაბრწყინებავ საკვირველისა!

## შვილს

ანბანს გინათებს ლურჯი ია და
ოცდაცამეტი თაფლის სანთელი...
ეს დედა ენა ზეცის მადლია,
სიტკბო-სიმწარის აღმოსათქმელი...
გასწავლის მარტომ, როგორ იომო,
როცა გაარჩევ კეთილს და ბოროტს...
თუკი იცხოვრებ ქვეყნად იოლად,
სიმართლისათვის აღარა ომობ...
უნდა იბრძოლო სამშობლოს მტერთან,
არ შეუშინდე მოჯარულ დარდებს,
რადგან სიცოცხლეს ბევრი ეცვირთა,
მისა რომ მინას მინად ჩაბარდეს...

წარსული ჩვენი გალავანია,
პაპის პაპების ძვლებით ნაგები
და მომავალში შენც გავალია,
დაიცვა გმირთა სარკოფაგები...
შეგეშინდება ზოგჯერ დაცემის,
ხანაც სიმაღლის შეგაკრთობს შიში...
წმინდა ხარ, როგორც ხორბლის მარცვალი,
ივერიელთა ერთგული ჯიშის...
და როცა ბოლო ასოს ისწავლი,
როცა შეიგრძნობ სულის სიმძიმეს,
დაიმახსოვრე კარგად ის წამი,
მერე კი მშვიდად ვეღარ იძინებ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

***

ჩვენ ყველაფერი ერთბაშად გვინდა,
ვერ ურიგდება გული მოლოდინს...
რიჟრაჟზე ვნატრობთ, მოვიდეს ბინდი,
ხან კი გვგონია მთვარე ბოროტი...
ზოგჯერ საყვარელ ქალს მივატოვებთ,
არ გვახსენდება მერე წარსული...
ამ ქვეყანაზე ყველა ატომი,
მოლეკულების ტანგოს ასრულებს...
მწვერვალზე ასვლა გახდა ადვილი,
თუმცა უფსკრულმაც დააღო ხახა...
ვახშმად საუზმე, სამხრად სადილი,
რაც გუშინ იყო, დღეს ველარ ნახავ...
ჟამი ისეთი სისწრაფით მიჰქრის,
რომ ველარ ითვლის უკვე საათი...
ხან ვესალმებით ერთმანეთს ფიქრშიც,
რადგან არ გვრჩება დრო მასლაათის...
ალბათ ამიტომ ერთბაშად გვინდა,
სახელი, სითბო, ქალები, ფული...
რიჟრაჟზეც თვალებს ეკვრება ბინდი,
როცა დაღლილი ჩერდება გული...

***

უნდა დავშორდეთ... და თანაც ისე,
რომ შენთვის იყოს უფრო ადვილი...
უნდა ჩამთვალო ჯერ ზიზღის ღირსად,
მე კი ვიარო დარდიმანდივით...
რომ არასოდეს არ გამიხსენო,
შენს თვალში უნდა დავრჩე გლახაკად...
და მელანდება, ჩამოისვენე
ჩემს კლავზე როგორც ფიფქით ნახატმა...

## უცრემლოდ დანატირი

„ყველა კვნესის და პურს თხოულობს საჭმელში
ცვლიან ძვირფას ნივთებს – სული მოითქვან.
მიყურე, ღმერთო, როგორი დავეცი და გავუფასურდი".

იერემიას გოდება 11.

იშანთება საქართველოს გენი,
იყიდება საქართველოს ტვინი,
დათვლილია საქართველოს დღენი?
რადა ვდუმვარ?! (თუ უცრემლოდ ვტირი),
გვშინოდეს ბრმა ტყვიათა ჯერის,
ბრმა სიტყვები გულს რა მწარედ კოდავს
აზიდულან გერგეთი და გერი,
ჩვენი რწმენის საჯილდაო ლოდად
მტარვალს უნდა, რომ გავჩეხო ვაზი,
მშობლიური მოვსპო პური, ღვინო
ვხედავ მეფეს – მხრებზე ეშმა აზის,
სურს საკუთარ ნეხვში ჩაგვეძინოს
თუ ივიწყებ მამა-პაპის საფლავს,
თვითმკვლელობის გზას ადგახარ უკვე
და მტრის ხელით, თავს დადგმული დაფნა,
ჰგავს ძაღლურად გადმოგდებულ ლუკმებს
გაპარტახდა ქვეყანა და ვმღერით,
(ომში მღერას სხვა დაჰყვება დვრინი),
იბილწება საქართველოს გენი,
ნადგურდება საქართველოს ტვინი...

*  *  *

...„მე ყოველთვის ვგრძნობ, რომ დედაჩემის სული, როდესაც მიჭირს, ყოველთვის ჩემთან არის. მისი სიტყვები მესმის".

ეს ციტატა ვაჟა ოთარაშვილის დედისადმი „გაგზავნილ" წერილიდან არის მოხმობილი. წერილიდან, რომელმაც შემძრა, დამაღონა, დამაფიქრა და ტკივილთან ერთად, გარდაცვლილ დედისადმი შვილის ესოდენ ღრმა რწმენამ, იმედმა და სიყვარულმა სიამოვნებაც მომგვარა.

...„ვიცი, ამ წერილს შენთან ერთად სხვა დედებიც წაიკითხავენ და შენ თუ არა, სხვები მაინც გამომიგზავნიან პასუხს". წერს დასასრულს.

– მე გიპასუხებ-მეთქი, მაშინვე გავიფიქრე... მერე, როცა ლექსების კითხვისას მისი „უცრემლოდ დანატირი" წავიკითხე, ნამით გავირინდე, კიდევ წავიკითხე ლექსი და თვალზეცრემლმომდგარს დედისადმი წერილის პასუხის ნაცვლად, ლექსი „დუმილიც გვემაა" დამეწერა.

## დუმილიც გვემაა

/ვაჟა ოთარაშვილს/

ლექსს უცრემლოდ დანატირს
ვკითხულობ და ვტირი,
ველარ მიხსნის დანა პირს,
ველარა ვარ ტინი.
მეც ხომ მტკივა ქართველთა
დაშანთული გენი,
დუმილმა მეც დამთენთა,
დავიღალე გვემით.
შენმა ლექსმა შემძრა და
ამატკივა თხემი,
ნუთუ დათვლილია
საქართველოს დღენი?
ცრემლზე უფრო ცრემლია
ლექსით გვემა შენი,
მაგრამ პარტახ ქვეყანას
განა ცრემლი შველის?
ლექსს „უცრემლოდ დანატირს"
ვითავისებ მე და...
თუ გსურს, ისე ჩათვალე,
რომ გპასუხობს დედა.

ნაზი თარგამაძე

# სახელმწიფო მუზეუმის გადამრჩენელი



ჩვენი სტუმარია დიდი ისტორიკოსისა და ენათმეცნიერის, საქართველოს რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის, საქართველოს ენის, ისტორიის, მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტისა და ისტორიისა და ენათმეცნიერების ინსტიტუტების დირექტორის სიმონ ჯანაშიას ქალიშვილი ქალბატონი რუსუდანი.

სიმონ ჯანაშია ხანმოკლე ცხოვრების მანძილზე ფართო მეცნიერულ და საზოგადოებრივ საქმიანობას ეწეოდა, გახლდათ მიავალი ჯილდოს მფლობელი. მისი სახელობისაა საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი, ქუჩები თბილისში, სოხუმსა და ოზურგეთში, დაწესებულია სიმონ ჯანაშიას სახელობის პრემია.

**– ქ-ნო რუსუდან, ახლახან 55 წელი შესრულდა სიმონ ჯანაშიას გარდაცვალებიდან. ვისაუბროთ მასზე, როგორც მეცნიერზე, საზოგადო მოღვაწეზე, თქვენ, როგორც მის კოლეგასა და შვილს, გაქვთ ამის უფლება.**

– ჩვენი ოჯახი სამეგრელოდან აფხაზეთში იყო გადასახლებული. სოხუმში დიდი საგვარეულო სახლი გვქონდა. ამ სახლთანაა დაკავშირებული ჩემი საუკეთესო წლები, ბავშვობა, ყმაწვილქალობა.

ჩვენი გვარის კაცები სუსტი გულისანი იყვნენ და ორმოცდაათ წელსაც ვერ მიაღწიეს. პაპა, მამა, ძმაც ადრე გარდაიცვალნენ. პაპაჩემი ნიკო ხელმიწვდომით განათლებული, ქართული წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების დამაარსებელი. ქართულ ენას ასწავლიდა მაკვანეთში, ძველ სენაკში, სოხუმში. ასევე იყო მამაჩემიც. მისი ძალისხმევითა და მარიამ ანჩაბაძე- დადიანის ხელშეწყობით გაიხსნა პირველი ქართული სკოლა სოხუმში. პაპასთან მეგობრობდა ჩვენი ოჯახის ხშირი სტუმარი ნიკო მარი: მისი ნაჩუქარი ვერცხლის ნივთები დღესაც კი გვაქვს. ბატონი ნიკოს მაშინდელი წერილები ზუსტად ესადაგება დღევანდელობას. ისეთი სიზუსტით აქვს აღწერილი შავრაზმელების დამოკიდებულება ქართველებისადმი. რუსმა როგორც კი შემოდგა ფეხი კავკასიაში, მაშინ დაირღვა სიმშვიდე და ყველაფერი აირია.

მამა 1900 წელს იყო დაბადებული. ივანე ჯავახიშვილის რჩევით დაამთავრა ისტორიის ფაკულტეტი. როცა სახელმწიფო უნივერსიტეტი გაიხსნა, 18 წლის გახლდათ. დაამთავრა მეორე – ენათმეცნიერების ფაკულტეტიც. მის სამეცნიერო მოღვაწეობაში ეს ორი დარგი ავსებდა ერთმანეთს. მამასთან სწავლობდნენ და მეგობრობდნენ კონსტანტინე გამსახურდია, კარლამ თიფურია, ვახტანგ კოტეტიშვილი. 47 წლის ასაკში გარდაიცვალა, მაგრამ ბევრი რამ მოასწრო. არმაზში, ბაგინეთში, ბოლნისში არქეოლოგიურ გათხრებს ხელმძღვანელობდა...

როცა გარდაიცვალა, ათი წლის ვიყავი, ლაშა ჩემზე ექვსი წლით უფროსი იყო. მეცნიერულ მოღვაწეობაზე ნაკლები როდი იყო მამას საზოგადოებრივი საქმიანობა.

...მაშინდელმა მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ზურაბ [illegible]რიამ მე და დედას გვითხრა, რომ არა სიმონი, ჩვენი ისტორიის სახელმწიფო მუზეუმი, რომელიც ამჟამად მის სახელს ატარებს, არ გვექნებოდა, მთლად განადგურდებოდაო.

ომის დროს ამიერკავკასიის სარდლობას მიუღია გადაწყვეტილება, მუზეუმი სამხედრო ჰოსპიტლად გადაეკეთებინათ. მამას რომ შეუტყვია, დაურეკავს ხალხი, თავადაც მათ შორის ჩამდგარა და უთქვამს: დავიფაროთ ჯიხი, კეტი, ხმალი, ხანჯალი, ნებისმიერი ნივთი, რაც ხელთ მოგვხვდება და არავინ შემოვუშვათო. ასეთმა თავდადებამ შედეგი გამოიღო, მუზეუმს არავინ შეხებია.

1943 წელს მამას რედაქტორობით პირველად დაისტამბა საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელო, ავტორები ივანე ჯავახიშვილი და ნიკო ბერძენიშვილი იყვნენ.

ომის წლებში კანდიდ ჩარკვიანისა და ვალერიან ბაქრაძის თანხმობით ქეთევან მაღალაშვილს მამამ შეუკვეთა თამარ მეფის ცნობილი პორტრეტი, რომელიც ხელოვნების მუზეუმის მუდმივ ექსპოზიციაშია დაცული, მაშინ თვითნებურად ვერავინ ვერაფერს შექმნიდა, ვერც დასტამბავდა.

... ბევრი გამოჩენილი გერმანელი იხსნა გადასახლებისგან, მათ შორის: რენე შმერლინგი, პროფესორი გეხტმანი, ბიუსი; იყო ჩვენი მეცნიერებათა აკადემიის პირველი ვიცე-პრეზიდენტი და მისი ერთ-ერთი დამფუძნებელი, წლების მანძილზე ხელმძღვანელობდა ენისა და ისტორიის ინსტიტუტს. ფლობდა რამდენიმე ენას: რუსულს, გერმანულს, ფრანგულს, ძველ ბერძნულს, არაბულს, სპარსულს, აფხაზურს, მეგრულს. ზაფხულობით მამა რომ ექსპედიციაში მიდიოდა, დასასვენებლად ჩვენც მივყვებოდით. ერთხელაც ვერ მოვასწარით თბილისში დაბრუნება და პირველკლასელი ორი თვე არმაზში ვსწავლობდი.



● სიმონ ჯანაშია, ლაშა და მართა მაჩაბელი

**– დედა?**

– დედაჩემი მართა მაჩაბელი ქსნის ერისთავთა შთამომავალი იყო. წმინდა ნინოს სასწავლებელი ჰქონდა დამთავრებული, მუსიკას ასწავლიდა ბავშვებს. დედას ბევრი თაყვანისმცემელი ჰყოლია. მისი დეიდა იყო ანასტასია ერისთავ-ხოშტარია. ვანო მაჩაბელს ენათესავებოდნენ. მამას მეჯვარედ სიყრმის მეგობარი კონსტანტინე გამსახურდია აურჩევია. საქორწილოდ ბებოს ერთი ქათამი შეუწვავს. ბატონი კონსტანტინე კი ყვავილებით და სანოვაგით ხელდამშვენებული მოსულა. სად იყო მაშინ ასეთი წრეგადასული ქეიფები. მშობლები ამ დღეს დიდი სიამოვნებით იგონებდნენ. ჩემი ნათლია არნოლდ ჩიქობავა იყო. მამასთან მეგობრობდნენ: პავლე ინგოროყვა, შალვა ნუცუბიძე, კონსტანტინე გამსახურდია, ანდრია აფაქიძე, იონა ტუსკია, შოთა მესხია, მაშინდელი ყველა ცნობილი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე.

რაც მამა გარდაიცვალა, არ ყოფილა ისეთი წელი, 15 ნოემბერს, მისი გარდაცვალების დღეს ჩვენი სახელოვანი მეცნიერები მთაწმინდაზე, მამის საფლავზე არ შეკრებილიყვნენ. მათ შორის დღემდე განსაკუთრებული ერთგულებით ქალბატონი მარიამ ლორთქიფანიძე გამოირჩევა.

... ოჯახში მშობლების სიტყვა კანონი იყო. რაშიც დიდი წვლილი მიუძღოდა გურულ ბებიას, მამაჩემის დედას ელენე მუჯირს. ის იყო ოჯახის ნამდვილი ბურჯი, მოამაგე. არასოდეს გვეუბნებოდნენ, წაიკითხე წიგნი, გვესწავლა გაკვეთილები, როგორ მოვქცეულიყავით სტუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა



**აბასთუმანი 1924 წელი ს. ჯანაშია, ნ. თიკანაძე, ე. ბერიშვილი, ე. ჩერქეზიშვილი, ზ. დონაძე, კ. გამსახურდია**

მართან. როგორ დაგვეჭირა თავი საზოგადოებაში, მშობლები გვაძლევდნენ ამის მაგალითს.

მამა ცუდი მხედველობის გამო ელექტრონის შუქზე ვერ მუშაობდა. ამიტომ ღამე სტუმრებისათვის, ოჯახისათვის იყო განკუთვნილი. სტუმართმოყვარე ოჯახი გვქონდა. სულ ვილაცა ცხოვრობდა რამდენიმე წლით ჩვენთან. ჩამოდიოდნენ აფხაზეთიდან, სამეგრელოდან, გურიიდან. ბებიას როდის ეძინა ნეტავ? ჩვენი მომსახურებით იყო დაკავებული. არასოდეს დაუწუწუნია - დავიღალე, არაფერი გვაქვსო. თუმცა ზედმეტი ფუფუნებით არ ვყოფილვართ განებივრებულები.

**– ქ-ნო რუსუდან, თქვენი ძმა ლაშა ასევე ახალგაზრდა გარდაიცვალა...**

– მამის კვალს გაჰყვა. ისტორიკოსი გახლდათ. 50 წელი შეუსრულდა და გულმა უმტყუნა. დიდ პასუხისმგებლობას გრძნობდა. სულ აწუხებდა, მამის შვილობით არავის გამოერჩია. უღალატო მეგობრობა შეეძლო, მისი კლასელები არიან გურამ ბარნოვი, თეიმურაზ საყვარელიძე, თამაზ ჭილაძე, შოთა ჭანიშვილი, გურამ ლორთქიფანიძე. ნუგზარს ისე არ შეჭამდა, არ ეკითხა, ხომ არავის უნდაო. ზედმიწევნით მოწესრიგებული იყო. როცა ძალიან ცხელოდა, დედა ეტყოდა, ცოტა შილიფად ჩაიცვიო, მაგრამ სახლშიც კი საკინძეშეხსნილი არავის გვინახავს, რომელ „შორტებზეა" ლაპარაკი. ახლანდელი ზოგიერთი ახალგაზრდა ქუჩაში ისეთი აუტანელი ჟარგონით ლაპარაკობს, რომ შესწრებოდა, ნამდვილად ვერ მოითმენდა.

... ლაშამაც რამდენიმე ენა იცოდა: ინგლისური, ფრანგული, ძველი ხომხური, ორი ზაფხული ერევანში გაატარა.

ნინო და კალისტრატე სალიებთან მეგობრობდა. მათი ბიბლიოთეკა ჩამოიტანა პარიზიდან და ხელნაწერთა ინსტიტუტს გადასცა. შესანიშნავი ოჯახი დატოვა. მეუღლე თინა კაპანაძე - ფიზიოლოგი, შვილები - თამარი და სიმონი - მეცნიერები. ჩვენი ოჯახის არცერთ წევრს საზღვარგარეთ სამუშაოდ დარჩენაზე არ უფიქრია: იყვნენ, ისწავლეს, დაბრუნდნენ.

**– რას გვეტყოდით იმ დიდ ოჯახზე, რომელსაც სიმონ ჯანაშიას ოჯახი ჰქვია?**

– წეღანაც გითხარით, ყველა ახლობელმა, ნათესავმა თითქმის ჩვენს ოჯახში მიიღო განათლება. სამი თაობა ჰარმონიულად, შეწყობილად ვცხოვრობდით ერთ ჭერქვეშ. არავითარი გაუგებრობა, უსიამოვნება. 39 წელი ჩვენი დამხმარე რუსი ლიდა ოჯახის სრულუფლებიანი წევრი იყო. ბებომ გაამზითვა და გაათხოვა მანგლისში.

ძირითადი ოჯახი, სადაც ჩემი ძმისშვილები და რძალი ცხოვრობენ, თარხნიშვილზეა. მამის დაჟინებული მოთხოვნით ამ ქუჩას მოსკოვში მოღვაწე ცნობილი ფიზიოლოგის ივანე თარხნიშვილის სახელი ერქვა. მისი კი გვერდით ქუჩას მიაკუთვნეს.

**– ქ-ნო რუსუდან, სად საქმიანობთ?**

– როცა დავბადებულვარ, ბებიაჩემის საპატივცემულოდ ელენე უნდა დაერქმიათ, მაგრამ რადგან ლაშა გვყავს, უპრიანია, რუსუდანიც იყოსო, - უთქვამს მამას.

– დღეს შეიძლება ვინმეს გაეღიმოს მე და ქლიკა ალექსიძე სტალინური სტიპენდიანტები ვიყავით.

ვმუშაობ არნოლდ ჩიქობავას სახელობის ინსტიტუტში უფროს მეცნიერ თანამშრომლად კავკასიურ ენებში. უნივერსიტეტის ამავე კათედრაზე ვკითხულობ ლექციებს. მისახედია მამას არქივი. ბევრ საინტერესო, გამოუქვეყნებელ მასალას მივაკვლიე, მათ შორის ეპისტოლარულ ჟანრშიც. რამდენიმე გამოვაქვეყნე კიდეც.

**– როგორ ფიქრობთ, ძნელია ასეთი სახელოვანი მამის შვილობა?**

– სულ წინ მხვდება მამის კეთილი საქმეები. მე და ლაშას ისეთ გარემოში მოგვიწია ცხოვრება და მოღვაწეობა. ნიშნებს კი არ გვწყალობდნენ, პირიქით სულ მეტს მოელოდნენ ჩვენგან. ამას ლაშა ღრმად განიცდიდა. ყველაფერში მოწინავე იყო. ჩვენს წინ კარი მუდამ იღებოდა. ეს ძნელიც იყო და საამაყოც. დედა და ბებო შთაგვაგონებდნენ - თითქოს მამა გუშინ წავიდა. ერთი წუთითაც არ გვტოვებდა მისი აჩრდილი. ჯოჯოხეთია მოსაგონებლად ის წლები. ვახტანგ ბერიძე ერთგან წერდა მამაზე - „ჩვენს თავს თითქოს ცა ჩამოიქცა, ვინ დაგვიცავს აწი, ვინ იბრძოლებს ჩვენთვის?" ცუდი იყო 1947 წელი...

**– ყველაზე მტკივნეულად რა დაგამახსოვრდათ ბავშვობიდან?**

– მამის გარდაცვალება და ბებოს დაკარგვის შიში. ორკლასდამთავრებულმა, მაგრამ ზედმიწევნით განათლებულმა ბებომ ზეპირად იცოდა „ვეფხისტყაოსანი", „დავითიანი"...

**– ოჯახში ლექსებს ვინმე ხომ არ წერდით?**

– მე არა. ლაშა კარგად ხატავდა, ლექსებსაც წერდა და ექვსი წლიდან კითხულობდა. დადიოდა კრივზე, კარგად ცურავდა. ლექსებს მამაც წერდა, გამორჩეული დეკლამატორი იყო. თარგმნიდა რუსულიდან, გერმანულიდან.

**– ქ-ნო რუსუდან, თქვენი შეფასებით დღევანდელი გადასახედიდან როგორი მამაშვილი იქნებოდით, იქნებ უპასუხოთ ჟურნალის რუბრიკას - მამები და ქალიშვილები?**

– არ დამავიწყდება, ათი წლის ვიყავი, როცა მამა გარდაიცვალა. მახსოვს არაჩვეულებრივი ნაზი, ალერსიანი მამა. 36 წლის იყო, როცა გავჩნდი. მაოცებდა დედის და მამის ურთიერთობა, ბებიასადმი მისი ყურადღება, კაცთმოყვარეობა. არ მახსოვს რაიმეზე გაბრაზებული. ნაწყენი ყოფილიყო. თუმცა... დაწყევლილი ნოემბრის დღე. ლექსს ვერ ვსწავლობ სტალინზე, მამა იმ ერთხელ აღშფოთდა, რას ჰგავს ეს, რას ასწავლიან ამ ბავშვებსო, თავი ვერ შეიკავა.

... პალტო დამიმოკლდა, ბებომ გადამიკეთა. მაინც არ მომწონს და ნაღვლიანი ვზივარ. მამა მომეფერა, ეს პალტო კი არა, ჟაკეტი ყოფილაო, ასე გამომიკეთა ხასიათი. ოჯახში დაცული იყო უფროს-უმცროსობა. არ არსებობდა ვინმე შემოსულიყო და მამა არ მიგებებოდა. განსაკუთრებით პატივს სცემდა დედაჩემის ნათესავებს.

**– რა მიგაჩნიათ ოჯახური ბედნიერების აუცილებელ პირობად?**

– ოჯახის წევრთა თანხმობა, ურთიერთგაგება და პატივისცემა. ჩემი მეუღლე გეოლოგპალეონტოლოგია - ირაკლი თაქთაქიშვილი. ერთი შვილი გვყავს დავითი. გული პაპასავით მასაც სულ არქეოლოგიური გათხრებისაკენ მიუწევს. ზაფხულობით დმანისის გათხრებზეა. ბედნიერი ვარ, ჩემი რძალი გამორჩეული ტრადიციული ოჯახიდანაა. ქუჩაში რომ ზოგიერთ გოგონას ვხედავ, ვფიქრობ, ნუთუ დედა ან მეზობელი არა ჰყავთ, ასეთი ჩაცმულები როგორ გამოდიან გარეთ მეთქი. გვყავს შვილიშვილები მართა და მიშა.

**– რაზე გტკივათ გული?**

– ეხლა კულტურა და მეცნიერება მოდაში აღარაა. ჩვენი სახელოვანი მეცნიერები ოდითგანვე არავის უდებდნენ ყადრს. გავიხსენოთ ფიზიოლოგ ივანე ბერიტაშვილის, მათემატიკოს ნიკოლოზ მუსხელიშვილის, ფსიქოლოგ დიმიტრი უზნაძის, ბოტანიკოს ნიკო მუსხელიშვილის სკოლები.

ჩემი აზრით, მთავარია რა პოლიტიკური მდგომარეობაც არ უნდა იყოს, საზოგადოებრივი ინტერესი არ უნდა ჩაიკლას ადამიანმა.

* * *

***როცა სიმონ ჯანაშია /უმცროსი/ მაგისტრატურის გასავლელად ჰარვარდის უნივერსიტეტში გახლდათ, შესასვლელში ფეხი შეუდგამს თუ არა, ასეთი წარწერა შეუნიშნავს „სიკეთე ცოდნის გარეშე უსუსურია, ცოდნა კი სიკეთის გარეშე საშიში". დიდი სიმონ ჯანაშიას შთამომავალნი ფრანგების ჭეშმარიტად ამ ბრძნული გამონათქვამის ზუსტი გაგებით ცხოვრობენ და მოღვაწეობენ.***

ნანული ბუკია



**30-იანი წლები, შ. დადიანი, როდიონ ქორქია, ბესარიონ გოგოლაშვილი, (კოლხიდის მუზეუმის დირექტორი) ს. ჯანაშია**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ელენე ლომსაძე კიბოს დამარცხებაზე ოცნებობს



● კიმონო ძალიან მოუხდა

ის ერთადერთი ქართველია, ვინც ტოკიოში სწავლა დაასრულა და ქიმიაში სამეცნიერო მუშაობას არნახული, მსოფლიოში ჯერაც მიუღწეველი მიზნისათვის აგრძელებს – მიიღონ პრეპარატი, რომელიც კიბოს დაამარცხებს.

დაუჯერებელია, მაგრამ ფაქტია: 21 წლის ელენე ლომსაძე, რომელიც დედ-მამის ყოველდღიური მზრუნველობით ცხოვრობდა და მათ გარეშე თბილისიდან ფეხი არ გაუდგამს, არღვევს მსოფლიო საზღვარს და შორეულ ტოკიოში, სადაც ქართველი სტუდენტი თუ მეცნიერი ძალზე უცხო ხილია, უკანასკნელი მიღწევების სამეცნიერო აპარატურით სარგებლობს, ყველანაირ უახლეს სამეცნიერო ინფორმაციას იღებს, არაჩვეულებრივი იაპონელი ხელმძღვანელი ჰყავს და მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებიდან ჩამოსულ თანაკურსელებთან მეგობრობს. ირწმუნა: დიდ ქიმიას სწორედ იქ შეიძლება ეზიარო, სადაც ადამიანებმა წუთის ფასი იციან, სიარულის მაგიერ დარბიან და 12-14 საათს მუშაობენ. მათ უყვართ ბრინჯი და თევზეული, მაგრამ ჭამისთვის მხოლოდ წუთებს იმეტებენ, ჩვეულებრივად ქუჩაში საუზმობენ ან ვახშმობენ, ყიდულობენ სპეციალურ ყუთებში ჩაწყობილ საჭმელს და ჩხირებს თვალშეუსწრებლად ამოძრავებენ.

...„ტოკიოში მაისში ყოველდღე წვიმს. ცისქვეშეთს წვიმისგან ნაირფერი ქოლგები იცავს. ქოლგის ქვეშ ყველა ქალი ლამაზია და თუ ქალიშვილი 20 წლის ხდება, წვიმაც რომ იყოს, ქუჩაში კიმონოთი გამოდის. მაშინ ყველა ხვდება, რომ მისი დღეობაა და ღიმილით ულოცავენ. ეს ტრადიციაა.

ტოკიოში მაისში წვიმს, თბილისში – ვარდები ყვავის. მას თბილისი ენატრება და არც ენატრება. მონატრებისთვის წუთი არ რჩება. საფიქრალი მხოლოდ ის საგნებია, რასაც ასწავლიან და კვირის ბოლოს უნდა ჩააბაროს. იაპონური ენის სახელმძღვანელო ბალიშის ქვეშ უდევს და ენის შემსწავლელ კურსებზე დადის.

ერთხელ შინ მიმავალს აჩერებენ.

– საიდან ჩამოხვედი? – ალერსიანად ეკითხება იაპონელი ქალბატონი, რომელიც ძაღლს ასეირნებს.

და ისიც უხსნის, რომ ცხოვრობს საქართველოში. „ვიცი, ვიცი, ბევრი ქართველი გასტროლიორი მინახავს"...

ელენე ყვება თბილისზე, ფიზიკოს დედ-მამაზე, მათ მეცნიერულ მუშაობაზე, მამის იაპონიაში მივლინებაზე, თბილისის უნივერსიტეტის ქიმიის ფაკულტეტზე, იქაურ ლექტორებზე. იაპონელი მანდილოსანი ახლოს ცხოვრობს და თავისთან ეპატიჟება. სუფრას შლის, ჩაი და ტკბილეული გამოაქვს. „ჩვენი ნამცხვარი განსაკუთრებულია. როცა მაღაზიაში შეიძენ, გამყიდველი ყოველთვის გაგაფრთხილებს, რამდენ დღეში უნდა მიირთვა. ეს ადამიანებზე ზრუნვაა".

შუაღამე გადასულია. ახლა მასპინძელი საუბრობს თავისთავზე. ეკონომისტად იმუშავა მთელი ცხოვრება, სიმდიდრეც დააგროვა. ახლა 3 ათასი დოლარი აქვს პენსია. ორი ქალიშვილის დედაა, მათი ფოტოები გამოაქვს. ერთი პარიზში სწავლობს, მეორე – ლონდონში. თავისი პენსიით მათ მონახულებასაც ახერხებს, როცა კი მოენატრება.

„იქნებ დაიღალეთ? გაგაცილებთ. თუმც ჩვენთან გამთენიაზეც რომ გახვიდეთ ქუჩაში, საშიში არაფერია. შეამჩნიეთ ალბათ, პოლიციელები საერთოდ არ ჩანან".

ტელეფონები გაცვალეს, კოცნით დაემშვიდობნენ და... იმ დღიდან დაიწყო მათი დედაშვილობა – ყოველდღიური რეკვა, დარიგება, ერთმანეთთან სტუმრობა, ექსკურსიები ტოკიოში, ნაგოიაში, იაკოჰამაში, ფუკუშიმაში, კიოტოში, ცუკუმაში, ოკაიდოში, სასტუმროებში დაბინავება (რა თქმა უნდა, ყველაფერი დედობილის ხარჯით), საჩუქრები (ქოლგა, კიმონო, ფაიფური, სამკაულები)...

არა, დედობილი კი არა, ნამდვილი დედაა. ალბათ, ნამდვილი დედა კმაყოფილი დარჩებოდა, რომ ენახა, როგორ უვლიდა მის შვილს ავადმყოფობისას –სიცხეს უზომავდა, წამლებს ასმევდა, საჭმელს უმზადებდა.

მის ცხოვრებას ტოკიოში მარტო ყოფნა არ ერქვა. დედობილი მიჩიკო სანი ღმერთმა გამოუგზავნა. ორი წელი ისე გაატარა, რომ თბილისი კიდეც ენატრებოდა და არც ენატრებოდა – ისე იყო შრომაში ჩართული. იაპონური კარგად შეისწავლა, იქაური ჩვევები შეითვისა, თითქოს გარეგნობითაც მათ დაემსგავსა.

ჰყავდა კიდევ ერთი მეგობარი გოგონა უმო, რომელთანაც სულიერ სიმშვიდეს გრძნობდა, სამშობლოსთან განშორებას ატანინებდა, სადაც არ უნდა წასულიყო, მის გვერდით იდგა. სწორედ ადამიანთა თანადგომის წყალობით უძლებდა თო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თხმეტსაათიან შრომას და ღამისთევასაც. ამ დატვირთვას ყველაზე მეტად მისი ხელმძღვანელი, პროფესორი მასაპიკო იუოლა უმსუბუქებდა, გადაღლილობას რომ შეამჩნევდა, სასწრაფოდ შინ ისტუმრებდა, ხშირად ლაბორატორიაში მისთვის ნამცხვრები შემოჰქონდა, ბეჯითობისთვის ემადლიერებოდა და პატივისცემით ეპყრობოდა.

სულის მოთქმა მხოლოდ შაბათ-კვირას შეეძლო, (თუმც ზოგჯერ შაბათობითაც მუშაობდა), ამ დროს თანაკურსელებთან ატარებდა, ყვებოდნენ თავიანთ ქვეყანაზე, ოჯახზე, პატიჟებდნენ ერთმანეთს ბინაში, ამზადებდნენ ნაციონალურ კერძებს (ელენეს მომზადებული ხინკალი ყველას მოსწონდა), იხსენებდნენ, როგორ გაიმარჯვეს კონკურსში.

ელენემაც მკაცრი კონკურსი გაიარა. არ ეგონა, თუ გაუმართლებდა. იაპონიის მთავრობისგან სტიპენდია და ყველანაირი ხარჯების დაფარვა დაიმსახურა. ერთადერთი ადგილი ქართველი ქიმიკოს სტუდენტისათვის მას ერგო.

ახალ გარემოში გარკვევამ ელენესაც ახალი ჩვევები გამოუმუშავა. მისთვის ახლა უფრო ადრე თენდებოდა და გვიან ღამდებოდა. დრომ ისეთი მნიშვნელობა შეიძინა, რომ საექსპერიმენტო დანადგარს დილამდე ვერ შორდებოდა. „სტუდენტ-მკვლევარს", როგორც იქ უწოდეს, სალექციო მასალის მომზადება და მოხსენებით გამოსვლა ყოველ კვირა უხდებოდა. მას ხელმძღვანელის გარდა სხვა პედაგოგები და სტუდენტებიც უსმენდნენ. (ეს ჩვენებურ ჩათვლას უდრის). ყოველთვიური საფაკულტეტო მოხსენებების კითხვა ჩვენს გამოცდას ჰგავს, ხოლო ნახევარი და ერთწლიური მოხსენებების წაკითხვა ჩვენებურ სახელმწიფო გამოცდას უტოლდება.

პროფესორი მასაპიკო იუოლა გვერდიდან არ შორდებოდა, უფასებდა მონდომებას, შრომის სიყვარულს. ემადლიერებოდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ორგანული ქიმიისა და ბუნებრივ ნაერთთა ქიმიის კათედრას, კათედრის გამგეს, პროფესორ შოთა სამსონიას, პროფესორ იოსებ ჩიკვაიძეს, ქალბატონებს ლიანა ბარამიძეს, ნაირა ნარიმანიძეს, რომლებმაც თავიანთ პრობლემურ ლაბორატორიაში იაპონელებს ისეთი „სტუდენტი-მკვლევარი" მოუმზადეს, რომელსაც უკვე შეეძლო რთული პრობლემები გადაეწყვიტა. ეს გახლდათ ინდოლის ტიპის სხვადასხვა ნაერთების, არინდოლების და მათი წარმოებულების სინთეზი ფიშერის, ვილს-მეიერის და აზომეთილებულების რეაქციების გამოყენებით. ამ ნაერთების კვლევა და შედეგი განმსაზღვრელ როლს თამაშობს მრავალ ბიოლოგიურ პროცესში: აუცილებელია ცხოველური და მცენარეული ორგანიზმების სიცოცხლისათვის და უბადლოა მედიცინაში კიბოს პრეპარატის დასამზადებლად... პროფესორ მასაპიკო იუოლას სჯეროდა, ელენე ლომსაძე ტოკიოს მეტროპოლიტას უნივერსიტეტის სასწავლო-სამეცნიერო ცენტრში კვლევას წარმატებით შეძლებდა, სადაც თითოეულ სტუდენტზე იაპონიის მთავრობა 100 000 აშშ დოლარს ხარჯავს, სადაც ისეთი ექსპერიმენტული დანადგარები, სასწავლო-სამეცნიერო ხელსაწყო-იარაღები, კომპიუტერული აღჭურვილობა და ავტომატიზაციის მრავალფეროვნებაა, როგორიც არსად. აქ ხომ ძირითადად კვლევის ჩატარება 660 მგპ-ზე ხდება, რაც თბილისის უნივერსიტეტისათვის ჯერჯერობით მიუწვდომელია.

თუ არა 14-16 საათიანი თავაუღებელი მუშაობა, ელენე ვერ შეისწავლიდა ბიოლოგიურად აქტიური ნატურალური ალკალოიდების და ფტორის შემცველი ნაერთების და ჰეტეროციკლების სინთეზს. ინტერესი ამ ნაერთთა სინთეზის კვლევისადმი გაუძლიერა მათმა უნიკალურმა სტრუქტურამ, ბიოლოგიურმა აქტიურობამ და იმ ძირითადმა მიმართულებამ, რაც კიბოს საწინააღმდეგო პრეპარატის დასამზადებლად არის საჭირო.

აღნიშნული პრობლემების გადასაწყვეტად მან მასათა და „ბირთვულ მაგნიტური რეზონანსის" სპექტრი გადაიღო, თბილისში ჩამოიტანა და უნივერსიტეტის ორგანული ქიმიისა და ბუნებრივ ნაერთთა ქიმიის კათედრაზე განსახილველად წარადგინა სამაგისტრო შრომის დასაცავად. აღნიშნული ნაშრომის წინასადიპლომო აპრობაცია ტოკიოში მეტროპოლიტენ უნივერსიტეტში გაიარა. სექტემბერში თბილისის უნივერსიტეტში იგი წარმატებით დაიცავა და მალე ტოკიოში ნაშრომის ნოსტრიფიცირებაც მოხდება.

კმაყოფილი არიან თბილისელი და ტოკიოელი პროფესორები მიღებულ შედეგებზე მომზადებული იმ ორი ნაშრომითაც, რომელთაგან ერთი ტოკიოს უნივერსიტეტის ყოველწლიურ რეგულარულ ბიულეტენში გამოქვეყნდება, ხოლო მეორე თეზისების სახით საერთაშორისო კონფერენციაზე განიხილება.

...იაპონელებს ვერაფრით გააკვირვებ, მაგრამ ქართული გენის ძლიერება მაინც უკვირთ. ამას ხშირად აღნიშნავენ... განსაკუთრებით მოხიბლული არიან ქართველ ხელოვანთა ვირტუოზულობით. ნინო ანანიაშვილმა, ირმა ნიორაძემ, რუსთავის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლმა იაპონელები „დაიპყრეს". მათ კონცერტებზე ელენე ლომსაძე დედობილმა წაიყვანა და ტრიუმფის თვითმხილველი გახადა. დედობილი მოწყენილია უმისოდ და თბილისში ჩამოდის, ყველაფრის საქმის კურსშია, ხშირად ურეკავს და შვილობილს ტოკიოში დაბრუნებაზე ესაუბრება, ურჩევს არ დაკარგოს შანსი, როცა იქაური უნივერსიტეტი ელენეს ოთხწლიან სამეცნიერო მუშაობას თავაზობს.

წინ დიდი პერსპექტივებია.

ლია კაკაბაძე



● *კონცერტის შემდეგ კულისებში:* ანზორ ერქომაიშვილი, ფრიდონ სულაბერიძე, ია მაქაცარია, ლალი ლადიძე, ეთენა ჭანუკვაძე



● ელენე ირმა ნიორაძესთან და დედობილთან ერთად

ეროვნული ბიბლიოთეკა

# „მშვიდობიანი სიმღერა დების...”



მარიკა საყვარელიძე



ცისანა საყვარელიძე

Დღევანდელ პოლიტიზირებულ სინამდვილეში მკითხველებს მინდა მოვუთხრო ამბავი ერთი თბილისური ოჯახისა, რომლის წევრებს არც დიდი თანამდებობა ჰქონიათ, არც დიდი ქონება, მაგრამ მოახერხეს ეცხოვრათ ისე, რომ მათთან ურთიერთობა, მათთან სტუმრობა და მეგობრობა გამორჩეულობის ბეჭედს ასვამდა ადამინს.

ძველი პლეხანოვის პროსპექტზე, დღევანდელ დავით აღმაშენებლის გამზირზე, ცნობილი თევზის მაღაზიის გვერდით, №92-ის გრძელ ვიწრო ეზოში მარჯვნივ, მეორე სართულზე იყო პატარა მყუდრო ბინა, საიდანაც გამუდმებით სიმღერისა და ლხინის ხმა გამოისმოდა. ზოგი ტკბებოდა იმ სიმღერით, ზოგს ალბათ უკვირდა – რა იშოვეს იმდენი, რომ ყოველდღე ქეიფობენო... არადა, ომის შემდგომ გაჭირვებულ წლებზე მოგახსენებთ. სიმღერის ხმა, ყოველ საღამოს რომ ისმოდა, თამარ მიქელაძის და დათიკო საყვარელიძის ოჯახიდან გამოდიოდა. ყველამ როდი იცოდა, რომ სუფრა ამ დროს უმეტესწილად მწირი იყო, მაგრამ სიყვარული ერთმანეთისადმი და განსაკუთრებით სიმღერის სიყვარული აერთიანებდა სუფრასთან მსხდომთ.

საყვარელიძეების ოჯახში მე ჩემს მეგობრებთან ერთად მომისმენია ჩიტოლია ჩხეიძისათვის. მომისმენია თავად დები მიქელაძეებისათვის, რომლებიც შესანიშნავად მღეროდნენ და რეპერტუარში შემონახული ჰქონდათ ბევრი სიმღერა, რომლებიც სხვებს აღარ ახსოვდათ. და მოგვისმენია, რაც მთავარია, ყრმობიდანვე ცისანა, მარიკა და ივიკო საყვარელიძეების და ნანი ბრეგვაძის განუმეორებელი გალობა. ამ თაობის პროფესიონალი მომღერალი მხოლოდ ნანი გახდა (პროფესიონალია აგრეთვე მათი დეიდა ქეთო, ქეთუნია მიქელაძე), მაგრამ მე დაბეჯითებით შემიძლია ვთქვა, რომ ცისანას, მარიკას ან ივიკოს პროფესიად სიმღერა რომ აერჩიათ, ისინიც დიდ სიმაღლეებს მიაღწევდნენ. თუმცა მათი სიმღერა, მათი პოპულარობა ყველა რანგის პროფესიონალს შეშურდებოდა. მღეროდა ყველა, მაგრამ განსაცვიფრებლად უკრავდა გიტარაზე ცისანა, და როგორც ნანი ბრეგვაძისგან მომისმენია, მას ჰქონდა იშვიათი პარტნიორული ნიჭი, ამიტომ, მასთან ყოველი მომღერალი არაჩვეულებრივად ლაღად გრძნობდა თავს და მღეროდა ისე, როგორც არასდროს. შესანიშნავი ხმა ჰქონდა მარიკას – ძლიერი, მაღალი. 50-იანი წლების უნივერსიტეტის სტუდენტებს ახსოვთ ალბათ მისი წარმოუდგენელი სილამაზის წკრიალა ხმა. სცენაზე მხოლოდ ერთიორჯერ იმღერა ისიც დიდი თხოვნით, უნივერსიტეტის სტუდენტთა ოლიმპიადაზე. ორივე და თვლიდა, რომ არ იყვნენ პროფესიონალები და მღეროდნენ მხოლოდ ვიწრო წრეში, სუფრასთან, მეგობრებთან, მაგრამ ეს წრე თანდათან ფართოვდებოდა, იზრდებოდა მათი ნიჭის თაყვანისმცემელთა რიცხვი. სახელი იყო და პატივი, თუ 50-70-იანი წლების თბილისში გექნებოდა მათთან ყოფნის ბედნიერება. და რაოდენ დასანანია, რომ და-ძმის ღვთაებრივი სიმღერის მხოლოდ ერთი სამოყვარულო აუდიო-ჩანაწერი შემორჩა მეგობრის მიერ უჩუმრად ჩაწერილი.

საოცრად პოპულარულები იყვნენ ცისანა და მარიკა (რა თქმა უნდა ივიკოც), მაგრამ ეს პოპულარობა მარტო სიმღერით არ განისაზღვრებოდა. ასეთი საყოველთაო სიყვარულის ფონზე ორივენი საოცრად მოკრძალებულნი იყვნენ, როცა საქმე მათს ნიჭს შეეხებოდა. მშვენიერნი, ასხლეტილნი, ენამოსწრებულნი და, რაც მთავარია – კეთილგანწყობილნი. ახლა, როცა მათ ვიხსენებ, ვფიქრობ, რომ ქართული ჯიშის საუკეთესო განსხეულებას ბევრ სხვა (თუ არცთუ ბევრ?) ქართველთან ერთად ისინიც წარმოადგენდნენ. არადა, როგორ სჭირდება დღეს საქართველოს ორიენტირებად სწორედ ასეთი ადამიანები, დღეს, როცა საყოველთაო პრაგმატიზმმა (თუ უარესს არ ვიტყვით) ლამის წალეკოს ეს ქვეყანა.

მშვენება იყვნენ ისინი საზოგადოებისა, იმ ელიტარული საზოგადოების, რომელიც სამწუხაროდ ნელ-ნელა ქრება საქართველოში. ეს იყო საზოგადოება, რომელიც გამოირჩეოდა სულიერი დახვეწილობით, არისტოკრატიზმით და რომელმაც იცოდა როგორც საქვეყნო საქმის აღსრულება, ასევე თავდავიწყებული მოლხენა.

არც ცისანას, არც მარიკას არავითარი თანამდებობები და წოდებები არ ჰქონიათ. უაღრესად კრიტიკულები იყვნენ საკუთარი თავის მიმართ (ასეთი ნიჭისა და გარეგნობის პატრონები). მარიკას კრიტიციზმი საკუთარი თავის მიმართ იქამდე მივიდა (დამემოწმებიან სახელმწიფო მუზეუმის თანამშრომლები), რომ მეცნიერი მუშაკი ლაბორანტის თანამდებობაზე გადავიდა თავისი სურვილით და მისმიერი ახსნა ამისა იყო – სხვამ იმუშაოს ამ ადგილზე, მე ლაბორანტის თანამდებობაზეც შემიძლია მუშაობა. იყო ძალიან კარგი ისტორიკოსი და ჰქონდა მშვენიერი ნაშრომები შუა საუკუნეთა საქართველოს საერო კოსტიუმის შესახებ. ასევე, ცისანას, მშვენიერ გერმანისტს, მაინცდამაინც ვერაფერს ათქმევინებდი თავისი პროფესიული საქმიანობის შესახებ.

რამდენს ვუყურებთ დღეს გაყინჩულებს, გაბღენძილებს, ტელევიზიის ეკრანებზე რომ არ ეტევიან, გაზეთების ფურცლებიდან რომ არ ჩამოდიან და ფიქრობ – ნუთუ ამათი უნდა იყოს საქართველო? და გახსენდება „მშვიდობიანი სიმღერა დების” და გრძნობ, რომ სწორედ მათი ტიპია მარადიული, რომ მათი ყაიდის ადამიანების ჩვენი ქვეყნის მომავალი.

იყვნენ ბედნიერები. ღმერთმა სიყვარული უხვად დააბერტყათ თავს, და თუმცა სიცოცხლის ბოლო წლები ტრაგიკულად გაატარეს, მაგრამ წავიდნენ ამ ქვეყნიდან ღირსეულად, ადამიანის მოდგმის მოყვარულნი. განსაკუთრებით მძიმე იყო მარიკას, ამ ულამაზესი ქალბატონის ხვედრი: თავიდან ბედნიერი, ლაღი ცხოვრება მიქატაძეების ოჯახში, მეუღლესთან, ჯუნასთან ერთად, ერთადერთი შვილის ტრაგიკულად დაღუპვამ გაუსაძლისი გახადა, მაგრამ ორთავემ ღირსეულად ატარა თავისი უღელი.

რატომ ვწერ დღეს ცისანა და მარიკას შესახებ? რატომ მინდა უცნობმა მკითხველმა გაიგოს მათი სახელები? იმიტომ, რომ მომრავლდნენ, საოცრად მომრავლდნენ ცუდი ადამიანები; შესაძლოა არც თუ ცუდი, მაგრამ გზააბნეულები, ორიენტირდაკარგულები და ასეთთა ფონზე ვარსკვლავებივით კიაფობენ მარიკა და ცისანა საყვარელიძეები და თითქოს ზეციდან ჩამოგვესმის მათი ღვთაებრივი, ტკბილი გალობა.

ინგა ლორთქიფანიძე

# „მინდა ვუკ-რავდე, როგორც ნინო..." ანუ „რიხ-ტერი კაბაში"





● ნინო ფავლენიშვილი

ათ წელზე მეტია ნინო ფავლენიშვილი საფრანგეთის ქალაქ ტულუზის კონსერვატორიის პირველი კონცერტმეისტერია.

როგირი იყო გზა ახალგაზრდა პიანისტისა?

ნინო ცენტრალურ მუსიკალურ სკოლაში პედაგოგ დოდო ცინცაძესთან სწავლობდა. და მეოთხე კლასიდან ყოველ წელს სიმფონიურ ორკესტრთან ერთად გამოდიოდა ხოლმე. პირველად, დიმიტრი კაბალევსკის მიერ თბილისში გამართულ კვირეულში. პატარა ნინომ დიდი რუსი კომპოზიტორის პირველ საფორტეპიანო კონცერტი შეასრულა.

„რა საოცარი დასრულდა წლები" – ამბობს პოეტი.

დაიწყო ცხოვრების შემდეგი ეტაპი – ვანო სარაჯიშვილის სახელმწიფო კონსერვატორიაში ნინო ფავლენიშვილის პედაგოგი ნანა დიმიტრიადია. ჩვენი სახელგანთქმული მომღერლის – ნადეჟდა ხარაძისა და დიდი დირიჟორის – ოდისეი დიმიტრიადის ქალიშვილი. მას დიდი წვლილი მიუძღვის ნინოს, როგორც პიანისტის ჩამოყალიბებაში.

ნინო უაღრესად ნიჭიერი ადამიანი და არაჩვეულებრივი პიროვნებაა, გვითხრა ქალბატონმა ნანა დიმიტრიადმა. ხუთი წლის მანძილზე მასთან ყოველი გაკვეთილი, ჩემთვის სასიამოვნო გახლდათ და რაც მთავარია, იგი ყველა ჩემს მოთხოვნას პასუხობდა. ჩვენ უამრავი ნაწარმოები გავიარეთ ერთად. სხვათა შორის, მისი პედაგოგი ასპირანტურაში (კონცერტმეისტერის სპეციალობით) ირინა საბაშვილიც მუდამ დიდი სიამოვნებით იგონებს ნინოსთან მუშაობის წლებს, დასძინა ქალბატონმა ნანა დიმიტრიადმა.

ნინო ფავლენიშვილი, როგორც კონცერტმეისტერი, პირველად მიუნჰენის საერთაშორისო კონკურსზე მევიოლინეებთან ერთად გაემგზავრა. კონკურსის შემდეგ ნინომ გერმანელი კოლეგებისგან წინადადება მიიღო, დარჩენილიყო სამუშაოდ, მაგრამ დედის თხოვნით იგი სამშობლოში დაბრუნდა.

1991 წელს ნინო კვლავ ევროპაში მიემგზავრება. საფრანგეთის ქალაქ ტულუზის ვოკალისტთა საერთაშორისო კონკურსი ცნობილია მთელ მსოფლიოში. 1954 წლიდან იგი ყოველწლიურად ტარდება. სწორედ ამ კონკურსზე ერთ-ერთ მომღერალთან ერთად გაემგზავრა ნინო ფავლენიშვილი. მართალია, მომღერალმა ვერ გაიმარჯვა, მაგრამ ნინოს სამუშაოდ დარჩენა კვლავ შესთავაზეს. და 23 წლის კონცერტმეისტერი ტულუზის კონსერვატორიაში იწყებს მუშაობას.

თორმეტი წელია, რაც ნინო ფავლენიშვილი ტულუზაში მოღვაწეობს. იგი მონაწილეობს მუსიკალურ ფესტივალებში, კონცერტებს მართავს ევროპისა და ამერიკის შეერთებული შტატების სხვადასხვა ქალაქებში, იწვევენ გამოსაშვები გამოცდების ჟიურის თავმჯდომარედ. 1997 წელს დიდი წარმატებებისთვის აკომპანიმენტის დარგში ნინოს მიენიჭა დიპლომი და სერტიფიკატი.

მოვიყვანთ რამდენიმე ციტატას ფრანგული პრესიდან, რომელშიც საოცარია, მაგრამ ფაქტია, მეტ ადგილს უთმობენ კონცერტმეისტერის ხელოვნების შეფასებას, ვიდრე იმ მომღერლებისას, რომელთაც იგი უწევს აკომპანიმენტს.

„რიხტერი კაბაში"

„ადამიანი – ორკესტრი".

„სამი ქალბატონი ძალაუფლებას იღებს" – ასეთი სათაური აქვს სტატიას, რომლის ფრაგმენტსაც გაგაცნობთ. აქედან ორი მათგანი გახლდათ მომღერლები, რომლებსაც აკომპანიმენტს ნინო უწევდა.

„ნინო ფავლენიშვილი – ნიჭიერი, დიდი ტალანტის მქონე პიანისტია, რომელმაც აგვავსო ემოციებით, იშვიათად აღწევენ ხოლმე როსინის პარტიტურაში; ხოლო შემდეგ მან გადაგვისროლა „ვესტსაიდის ისტორიის" რითმებში. იგი დიდი ვირტუოზია და გამოირჩევა დელიკატურობით, გემოვნებით და საოცარი თითებით"...

„დიდი მომავალი აქვს უდიდესი ნიჭით გამორჩეულ ქართველ პიანისტს ნინო ფავლენიშვილს"...

„ნინო ეროვნებით ქართველია. იგი მრავალი ეროვნული კონკურსის ლაურეატია როგორც საქართველოში, ისე საფრანგეთში. რა ლამაზი მუსიკალური საღამო გაიმართა ეკლესიაში. ნინომ ბრწყინვალედ დაგვანახა თავისი ნიჭი და ვირტუოზულობა. საღამო დასრულდა ყვავილების დიდი თაიგულებით და მაყურებლის ხანგრძლივი ოვაციებით..."

რაღა თქმა უნდა, ადამიანი სადაც იბადება, იქ უნდა მოღვაწეობდეს კიდეც, ემსახურებოდეს თავის სამშობლოს და ხალხს. სამწუხაროდ, ბოლო წლებმა ბევრი ქართველი დააშორა საქართველოს, მაგრამ ნინო ფავლენიშვილი შეძლებისდაგვარად ცდილობს იქიდან ემსახუროს თავის სამშობლოს. მომღერალ ომარ გაგნიძისა და ნინოს დიდი ძალისხმევით და თაოსნობით 2000 წლის ნოემბერში ტულუზაში, ოტ-გარონისა და ტარნის დეპარტამენტში გაიმართა ქართული ხელოვნებისა და სიტყვის კვირეული, რომელშიც მონაწილეობდნენ საქართველოს ელჩი საფრანგეთში გოჩა ჩოგოვაძე, პოეტი რევაზ ამაშუკელი (რომლის ლექსების წიგნიც ფრანგულად გამოიცა) და ვოკალური კვარტეტი „სიმი". ფრანგების თაოსნობით მოეწყო ასევე გამოფენა „საქართველო: ქრისტიანობის 16 საუკუნე კავკასიაში" და ქართველი მოქანდაკის ჯემალ ბჟალავას ნამუშევრების გამოფენა.

თბილისი-ტულუზის კულტურული ურთიერთობები გრძელდება. მალე საქართველოში, ჩვენს კონსერვატორიაში, ნანა დიმიტრიადის კლასში სასწავლებლად ჩამოვა ტულუზის კონსერვატორიის რექტორის ქალიშვილი (ნანას მოსწავლე კი გააგრძელებს სწავლას ტულუზაში). ამ გოგონამ აირჩია ჩვენი ქვეყანა და პედაგოგი ნანა დიმიტრიადი იმიტომ, რომ „მე მინდა ვუკრავდე როგორც უკრავს ნინო ფავლენიშვილი"

ირინა როზიტაშვილი

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს ეროვნული ბიბლ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

# „ცივსისხლიანი მკვლელი"

დრო არავის ელოდება. გარბის ულმობლად. გარბის და თან კრიალოსნის მარცვლებივით ჩამოყრის ჩვენი ცხოვრების წლებს.

ბობოქრობს მსოფლიო. ვნებათა ღელვაა შინ თუ გარეთ. რაც ისედაც ყოველდღიური პრობლემებით დაღლილ ადამიანებს კიდევ უფრო უმძაფრებს სიმარტოვისა და დაუცველობის გრძნობას.

დღეს, როგორც ფსიქოლოგები ამბობენ, ადამიანის სულიერმა დაძაბულობამ პიკს მიაღწია და რა იქნება პიკს იქით, მხოლოდ ღმერთმა უწყის. ცხოვრების აჩქარებული ტემპი, მოზღვავებული ინფორმაცია, მოუწყობელი ცხოვრება, მატერიალური სიდუხჭირე ადამიანის ნერვულ სისტემას მძიმე ტვირთად აწვება. როგორც გამოირკვა, მოსახლეობის 50 პროცენტზე მეტი ნევროზის სხვადასხვა ფორმით არის დაავადებული. ნევროზი, დეპრესია, შიშები ადამიანის ორგანიზმზე და ფსიქიკაზე დამანგრევლად მოქმედებს. რაც ბუნებრივია, მას არასასურველ თვისებებს ჩამოუყალიბებს.

ძნელია წონასწორობის შენარჩუნება, როცა ცუდ ხასიათზე ხარ. უხასიათობის მიზეზს კი ვინ ჩამოთვლის.

თითქმის ყველაფერი თვალსა და ხელს შუა იცვლება. ქალი საუკუნეების მანძილზე შენარჩუნებულ ქალურობას, სათნოებას, კდემამოსილებას თანდათანობით კარგავს. მამაკაცი კი დღითიდღე „იძარცვება" ვაჟკაცური თვისებებისაგან და შესაბამისად კარგავს ლიდერის პოზიციას ოჯახშიც და საზოგადოებაშიც.

დღეს იშვიათად თუ შეხვდებით მშვიდ, გაწონასწორებულ ადამიანს. სამწუხაროდ, ყველას თავისი „ჭია ღრღნის".

და მაინც, ფსიქოლოგების დაკვირვებების მიხედვით, ათასწლეულების „გაყრის" ორომტრიალში ქალები უფრო ძლიერები აღმოჩნდნენ სულიერად. თურმე ისინი უფრო იტანენ და ეგუებიან ნებისმიერ გაჭირვებას. ალბათ ამის გამოცაა, რომ ჩვენთან ოჯახის მთელი სიმძიმე კაცის ძლიერი ზურგიდან ქალის სუსტ მხრებზე გადავიდა.

ქვეყანაში არსებული მძიმე მდგომარეობით თავგზააბნეული ადამიანები ცხოვრებაში საკუთარ ადგილს ეძებენ, რაც ხშირ შემთხვევაში კრახით მთავრდება. გამოუყენებელი ნიჭი, პოტენციალი, ძალა და შესაძლებლობა საბოლოოდ უარყოფით ენერგიად გროვდება და ათასგვარ მანკიერ თუ ნეგატიურ მოვლენად ყალიბდება.

ადამიანებისთვის არანაკლებ საშიში ყოფილა ყოველდღიური ქრონიკული სტრესი, რომელსაც ფსიქოლოგები „ცივსისხლიან მკვლელს" უწოდებენ. სამსახურში დაგვიანება, თანამშრომლის ირიბი გამოხედვა, მეუღლესთან წაკინკლავება, შვილის ცუდი ნიშანი, ერთი სიტყვით, ყველა ის უბრალო მიზეზი, რასაც შეუძლია მთელი დღე ჩაგიშხამოთ. თურმე ნერვულ სისტემაზე დამანგრევლად მოქმედებს და ისეთ სერიოზულ, ემოციურ დარღვევას იწვევს, როგორიცაა დეპრესია. რაც შემდგომში სხვადასხვა ფსიქიკური აშლილობის თუ დაავადების მიზეზი ხდება. დასაფიქრებლად მათი ჩამოთვლაც საკმარისია: ჰიპერტონია, კოლიტი, ბრონქიალური ასთმა, გულის იშემიური დაავადება, დიაბეტი, შაკიკი, უძილობა, ალერგიული და კანის დაავადებები. ვფიქრობ, ჩამოთვლა საკმარისია, მით უფრო, რომ ამ დაავადებების მიღმა გაცილებით დიდი საშიშროება იმალება.

ფსიქოლოგების მიერ სტრესულ საუკუნედ მონათლულმა მეოცე საუკუნემ თავისუფლება კი გვიბოძა, მაგრამ მემკვიდრეობით ათასგვარი მანკიერებაც დაგვიტოვა.

საბჭოთა რეჟიმიდან, როცა ყველაფერი ტაბუდადებული და აკრძალული იყო, ე.წ. დემოკრატიულ სახელმწიფოში ამოვყავით თავი. დემოკრატიას, სიტყვის თავისუფლებას, ყველაფრის ლეგალიზაციას სრული ქაოსი, ანარქია და უზნეობის აყვავება მოჰყვა.

მოკლედ კომუნისტური მონობიდან თავდაღწეულნი, ე.წ. თავისუფლების მონები აღმოვჩნდით.

საუკუნეების მანძილზე ქართველი ერი რწმენამ, შინაგანმა კულტურამ და მდიდარმა სულიერებამ გადაარჩინა. დღეს კი ყველაფერი წმინდა და ამაღლებული თვალსა და ხელს შუა უფასურდება და ითელება. მტერს გულში ეცინება... ასე თუ გაგრძელდა, აღარც კი იქნება აუცილებელი ქართველთა ფიზიკური განადგურება, რადგან ერის სულიერი მოკვდინება ყველანაირ სიკვდილს აღემატება.

ყოველდღიურად იზრდება განსაკუთრებული ცინიზმითა და სისასტიკით, მათ შორის მოზარდთა მიერ ჩადენილ დანაშაულებათა რიცხვი. ასევე საგანგაშოა ვენერიული დაავადებით დასნეულებულთა რიცხვი და ამ დაავადებათა „გაახალგაზრდავება". ნარკოტიკების მომხმარებელთა 80 პროცენტიც ახალგაზრდობაა. ახლა ისიც წარმოიდგინეთ, რა გზას დაადგებიან პატარა მაწანწალები, დღეს ქუჩაში მათხოვრობით რომ ირჩენენ თავს.

ადამიანის ფსიქიკა ოჯახში ყალიბდება. ოჯახებში გამეფებული და ტაბუდადებული ძალადობა ნელ-ნელა ხდება საზოგადოების პრობლემა. ოჯახების დიდი ნაწილი უხეშობის, სიძულვილისა და გაუტანლობის ბუდედ ქცეულა. მართალია, ოჯახური ძალადობის აღრიცხვა არ წარმოებს, მაგრამ ფსიქოლოგების განმარტებით, მომრავლებული ტრაგედიები, დანაშაულების რიცხვის შემაშფოთებელი ზრდა იმაზე მიუთითებს, რომ ქართულ ოჯახებში რეალურად არსებობს ძალადობა. ძალადობა კი უკვალოდ არასოდეს ჩაივლის. კონფლიქტურ ოჯახებში პოტენციური მოძალადეები, ანუ დამნაშავენი იზრდებიან. ოჯახების ორ მესამედზე მეტი თურმე სწორედ კონფლიქტურად შეიძლება ჩაითვალოს, სადაც ადამიანები უცხოდ, ზედმეტად გრძნობენ თავს. ამიტომაცაა ალბათ, რომ სოციოლოგიური გამოკვლევების მიხედვით, შექმნილი ოჯახების ნახევარი ვერ უძლებს დღევანდელი ცხოვრების მკაცრ გამოცდას და ინგრევა. ამას გარდა, კატასტროფულად იზრდება დაუქორწინებელთა რიცხვი.

მართალია, ამბობენ, ჭირს გაძლება უნდაო, მაგრამ ფსიქოლოგების აზრით, თუ დროზე არ დაესვა ზნეობრივ მოვლენებს სწორი დიაგნოზი და შემდეგ არ მოხდა მისი სწორი მკურნალობა, ადრე თუ გვიან უზნეობა იქცევა საზოგადოების ცხოვრების წესად.

შემდეგ კი... შემდეგ ალბათ მართლაც ახდება ერთი ქართველის გულისტკივილით ნათქვამი სიტყვები: საქართველო აღარ იარსებებს! იქნება მხოლოდ ქართულენოვანი ადამიანებით დასახლებული ტერიტორია. მერე ქართულ ენასაც დაივიწყებენ (სამწუხაროდ დღეს მართლაც შეინიშნება ამის ტენდენციები) და ღვთივკურთხეულ ქვეყანას გაურკვეველი ერისა და ზნეობის ადამიანები დაეპატრონებიან...

მარინე ნაკაიძე

## ფსიქოლოგის რჩევა

საყვარელ ადამიანთან დაცილება შეიძლება უმძიმესი დარტყმა აღმოჩნდეს მავანთათვის, მაგრამ ეს ჯერ კიდევ არ არის ქვეყნიერების დასასრული.

აი, რას გვირჩევენ ამ შემთხვევაში ფსიქოლოგები:

**როგორ მოვიქცეთ:**

– მიეცით თავს დრო მწუხარების გადასალახად, სასოწარკვეთა, გაბოროტება, იმედგაცრუება, განურჩევლობა სავსებით ნორმალური ემოციებია. შესანიშნავია, თუკი მათ გრძნობთ.

– გახსოვდეთ, რომ ერთად ყოფნისას ყოველთვის არ იყავით ბედნიერი. ამ მომენტში კარგი იქნება, თუ თქვენი ერთობლივი ცხოვრების ცუდ პერიოდებს გაიხსენებთ.

– გადმოიტანეთ თქვენი განცდები საკუთარი თავისა და ყოფილი ნახევრისადმი მიწერილ ბარათში, მაგრამ როგორც კი წერას დაამთავრებთ, მაშინვე დახიეთ და გადაყარეთ.

– თუ შეგიძლიათ, აკეთეთ თქვენი ყოველდღიური სამუშაო, მაგრამ თავს ბევრს ნუ მოსთხოვთ – გახსოვდეთ, რომ მკურნალობის პროცესში იმყოფებით.

– ფრთხილად ატარეთ მანქანა, ასეთ სიტუაციაში ყურადღება ყოველთვის გაფანტულია.

– ეცადეთ სხვებს დაეხმაროთ; მათზე ზრუნვა საკუთარ პრობლემებს მეტ-ნაკლებად გადაგავიწყებთ.

– დიდი დრო დაუთმეთ დასვენებას.

– გაინებივრეთ თავი – მიიღეთ ცხელი აბაზანა, გაიკეთეთ მასაჟი, ისეირნეთ.

– მიიღეთ სხვების დახმარება.

**როგორ არ უნდა მოიქცეთ:**

– არ გაატაროთ დრო უსიამოვნო ადამიანებთან.

– არ იხეტიალოთ „ძველ ადგილებში".

– ნუ ეძებთ დამნაშავეს. ეს მხოლოდ დროის უაზრო ხარჯვაა.

– ნუ მიიღებთ ისეთ სახეს, თითქოს „გესმით", რომ უსამართლოდ მოგექცნენ. იცოდეთ, ყველაფერში გასარკვევად წლები დაგჭირდებათ.

– არ ჩაუწვეთ თქვენს „ყოფილს" ძველი მეგობრობის ხათრით. ამით კიდევ უფრო დიდ ტკივილს მიაყენებთ საკუთარ თავს და გამოჯანმრთელების პროცესიც შეფერხდება.

მოამზადა მანანა იმესაშვილმა

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ქალმა რომ თავი ქალად იგრძნოს

ჟურნალ „საქართველოს ქალის" წინა ნომერში გამოქვეყნდა სტატია – „დამალვა პრობლემას ამწვავებს". სადაც ლაპარაკი იყო იმაზე. რომ ქალთა დიდი ნაწილი ფრიგიდულია და ყოველი მესამე ქორწინება კრახით მთავრდება სწორედ ქალის სიცივის მიზეზით.

ფრიგიდული ქალი. ცივი ქალი. უძლური ქალი – ეს თემა არ არის სასიამოვნო განსასჯელი. ქალები მალავენ ან არ იციან ამ სატკივარის შესახებ. სექსუალური ურთიერთობა მხოლოდ მოვალეობის მოხდას ემსგავსება და წყვილი ნელ-ნელა მიჰყავს ფსიქოფიზიკურ დაზიანებამდე.

სამედიცინო ლიტერატურიდან მოვიშველიებთ რამდენიმე მოსაზრებას, წარმოდგენა რომ გვქონდეს ამ დაავადების შესახებ.

თურმე მსოფლიოში მრავალი ქალი იტანჯება სექსისადმი გულგრილობით ანუ ფრიგიდულობით.

სპეციალისტების განმარტებით, ფრიგიდულობაში იგულისხმება ანორგაზმია, რაც განპირობებულია ქალის უუნარობით, განიცადოს ორგაზმი.

გამოხატულების მიხედვით მედიკოსები განასხვავებენ ანორგაზმიის სამ სახეს: როცა ორგაზმი არ შედგება, თუმცა სქესობრივ აქტს თან ახლავს აღგზნება; როცა სქესობრივი აქტი მიმდინარეობს გულგრილად და სიამოვნების შეგრძნებას არ იწვევს – ქალი არ არის შემზადებული ინტიმისათვის, სხვა საფიქრალით არის დაკავებული... როცა სქესობრივი აქტი უსიამოვნო, შემაწუხებელია, იწვევს ზიზღს და ქალი ყოველთვის ცდილობს, თავი აარიდოს ქმართან სიახლოვეს. და, რაც მთავარია, მამაკაცისაგან განსხვავებით, ქალზე უფრო მეტად მოქმედებს გარეშე ფაქტორები.

წლების მანძილზე ეს თემა ტაბუდადებული იყო და საერთოდ არ ლაპარაკობდნენ მასზე არც ოჯახში და არც საზოგადოებაში. ახალგაზრდა წყვილებსაც არავინ ამზადებდა მომავალი ოჯახისათვის. ამიტომ ისინი ინტიმის საიდუმლოს ყოველთვის ეძებდნენ და დღესაც ეძებენ ინტერნეტებსა და პორნოგრაფიულ ტელეფილმებში. როგორ ფიქრობთ. სწორ მიმართულებას იღებენ? რა თქმა უნდა, არა.

ამ საკითხზე სტატიის გამოქვეყნებას დიდი გამოხმაურება მოჰყვა და ნათლად გამოიკვეთა, რომ პრობლემა უფრო სერიოზულია, ვიდრე ამას სპეციალისტები გვიმტკიცებდნენ.

ჩვენ ვერ დავბეჭდავთ წერილებს, რომლებიც რედაქციაში შემოვიდა ფრიგიდულობით გაწვალებული ქალებისაგან.

სამაგიეროდ. გვინდა მკითხველს გავაცნოთ იმ ოჯახების გამოხმაურება, რომელთაც ძალზე უმტკივნეულოდ გადაჭრეს წლების მანძილზე ტაბუდადებული ეს პრობლემა.

უკვე რამდენიმე თვეა, ამერიკასა და ევროპაში, მილიონობით ოჯახი სარგებლობს უნიკალური საშუალებით – კოსმეტიკური კრემით, რომელსაც ყოველგვარი ექიმის ჩარევისა და დანიშნულების. ე.ი. ქიმიური წამლების გარეშე იყენებს.

ჩვენ გავეცანით ინტერვიუს, რომელიც დოქტორმა ტომპსონმა მასმედიის წარმომადგენლებს მისცა და ვთვლით, რომ ქართველი მკითხველისათვისაც საინტერესო იქნება.

ჟურნალი „ლაიფსთაილზი" შეხვდა კოსმეტიკური კრემის „ალურას" შემქმნელს – ამერიკელ რონალდ ჯეიმს ტომპსონს და დაუსვა რამდენიმე შეკითხვა ამ პროდუქტის შესახებ.

დოქტორი ტომპსონი ცნობილი მეან-გინეკოლოგია. მას დიდი გამოცდილება აქვს გინეკოლოგიასა და უშვილობის სფეროში. ამავე დროს არის სამედიცინო კომპანიების ქირურგი-კონსულტანტი. სწორედ მან შექმნა უნიკალური კოსმეტიკური კრემი „ალურა" ფრიგიდული ქალებისათვის.

რა არის „ალურა"? – ეს არის ნატურალური მალამო, რომელიც წაისმება გენიტალიებზე, ასტიმულირებს რბილ ქსოვილებს და იწვევს „გრილ" შეგრძნებას. კრემს აქვს სპეციალური შემადგენლობა და შეიცავს მხოლოდ ნატურალურ კომპონენტებს. „ალურა" დაპატენტებული პროდუქტია, რომელიც მზადდება და იფუთება ФОА-ს ლაბორატორიებში. კლინიკურ პირობებში „ალურა" გამოცდას გადის ქალთა სამედიცინო პერსონალზე. მისი უსაფრთხოება შემოწმებულია ლაბორატორიულად და გამოყენებისთვის არაა საჭირო ექიმის დანიშნულება. – ასკვნის დოქტორი ტომპსონი და ადასტურებს, რომ ამერიკელი ქალების 46 პროცენტი ფრიგიდულია: 18-დან 80 წლამდე ქალების დიდმა ნაწილმა არ იცის, რა არის ორგაზმი და როგორ მიიღწევა იგი.

ჩვენ საქართველოზე ვერ ვილაპარაკებთ, არა გვაქვს ცნობები, რამდენი პროცენტია ფრიგიდული ქალი. წლების მანძილზე ეს თემა მიჩუმათებული იყო, მაგრამ ახლა, როცა ჯადოსნური „ალურა" გამოჩნდა, მივიღეთ პირველი ბარათებიც.

„ეს არის სენსაციური პროდუქტი. სენსაციური შედეგით ქართველი ქალებისათვის".

**კოტე – 45 წლის.**

„მთავარია „ალურა" დროზე მოხვდეს იმ ოჯახში, სადაც ცოლ-ქმარი უკვე კარგავს ერთმანეთს. გააგებინეთ ამის შესახებ ყველას".

**ანა – 32 წლის.**

„ოთხი წლის განმავლობაში მეუღლეს ვერაფრით ვაგრძნობინე, იყოს ქალი. ჩემს შესაძლებლობებში ეჭვიც კი გამიჩნდა. ამ მალამოს საშუალებით მე დავიბრუნე მამაკაცური სიამაყე და ჩემმა მეუღლემ იგრძნო – რა არის ქალი".

**გელა – 36 წლის.**

„თოთხმეტი წელია გათხოვილი ვარ. არასოდეს მქონია სურვილი ფიზიკური სიახლოვისა და მხოლოდ იმიტომ, რომ მეუღლე სხვაგან არ წასულიყო, მე მისთვის ვიყავი მხოლოდ პარტნიორი. „ალურამ" მაგრძნობინა, რას ნიშნავს ნამდვილი პარტნიორობა. გმადლობთ".

**ნინო – 36 წლის. სამი შვილის დედა.**

„კლიმაქსის გამო გამიცივდა ურთიერთობა მეუღლესთან. ის კი მხოლოდ სითბოსა და პატივისცემას იმსახურებს, იმდენად კარგი პიროვნებაა. ძალიან ურწმუნოდ და უიმედოდ შევხვდი მისგან კრემის შემოთავაზებას. მაგრამ გავოცდი და ბედნიერი ვარ, რომ ჩვენ პრობლემები აღარ გვექნება ინტიმურ საკითხებში. ჩემს გამო ძალიან დიდი ზიანი შემეძლო მიმეყენებინა მეუღლის ფსიქიკისათვის.

**ქეთინო – 45 წლის.**

„კარგა ხნის გათხოვილი ვარ და არც კი ვიცოდი, რა დიდი სიყვარული და სიამოვნება ყოფილა ჩადებული ცოლ-ქმრულ ურთიერთობაში. ხელში ჩამივარდა ეს პროდუქტი. 3-4 გამოყენების შემდეგ შედეგი არაჩვეულებრივია".

**თამუნა – 28 წლის.**

და აი, გამოჩნდა წამალი, ყოვლად უვნებელი და სასიამოვნო მოსახმარი. აქამდე ქალს შეეძლო მთელი ცხოვრება გაეტარებინა ისე, რომ არც კი დაფიქრებულიყო, რა დამანგრეველი მოქმედება აქვს ჯანმრთელობისათვის არასრულფასოვან ურთიერთობას მეუღლესთან.

ოჯახის სიმყარე მართლაც ხშირ შემთხვევაში დამოკიდებულია ინტიმზე. მამაკაცებს ღირსებები ხშირად ელახებათ. ქალების არასწორი შეხედულებებისა და ქცევების გამო. ქალთა დიდ პროცენტს კი ნევროზი. სწორედ ამის გამო ემართებათ და თვით ექიმებიც ვერ შველიან. ჰორმონალური დარღვევები კი იწვევს იმუნიტეტის დაქვეითებას და შემდეგ ისეთ დაავადებებს ქალებში, როგორიცაა მკერდისა და საშვილოსნოს სიმსივნეები.

მისასალმებელია, რომ ეს უნიკალური მალამო საქართველოში გამოჩნდა და ბევრ წყვილს დაეხმარება ოჯახის სიმტკიცეში. იმედია, მალე მისი გამოყენება და მოხმარება ყველა მსურველისათვის იქნება ხელმისაწვდომი.

ასე რომ, თუ **„ალურას" შეძენა გსურთ, შეგიძლიათ დაუკავშირდეთ ტელეფონებზე:**

**39-79-80;**

**899 36-57-08**

ირმა ჩოფიკაშვილი



მან მხოლოდ ერთი რომანი „ქარწაღებულნი" დაწერა, რომლის საერთო ტირაჟმა 70 მილიონს გადააჭარბა და კარგა ხნის მანძილზე მესამე ადგილზე იყო „ბიბლიისა" და მაო ძე დუნის „წითელი წიგნის" შემდეგ. ჭეშმარიტად შესაშური ხვედრია, თუ გავითვალისწინებთ, რომ ამ წიგნის ავტორი ამერიკული ოცნების, ანუ იმ მითის სრული განსახიერება გახლავთ, რომლის თანახმადაც, მენაგვეც კი შეიძლება მილიონერი გახდეს, მოკრძალებული პროვინციელი დიასახლისი კი — სახელგანთქმული მწერალი.

# ამერიკული ოცნების კრახი

ამ შემთხვევაში, სიტყვა „დიასახლისი" ჩვენი გმირის მხოლოდ სოციალურ სტატუსს თუ გამოხატავს, რადგანაც პეგი მიტჩელი მეტად ექსცენტრიული ქალბატონი გახლდათ. იგი 1900 წელს დაიბადა ატლანტაში და ახალგაზრდობის წლები იმ ხანაში გაატარა, რომელსაც მისმა თანამედროვე ფრენსის სკოტ ფიტცჯერალდმა „ჯაზის საუკუნე" უწოდა. მარგარეტიც ახალგაზრდობის იმ ნაწილს მიეკუთვნებოდა, ამ ახალი მუსიკალური მიმართულების გულმხურვალე თაყვანისმცემელი რომ გახლდათ — სხვებთან ერთად დადიოდა ჯაზ-კლუბებში, დილამდე ცეკვავდა „ჩარლსტონს" და ძალიან ბევრ კოქტეილს მიირთმევდა, რითაც საგონებელში აგდებდა თავის პატივცემულ ბურჟუა მშობლებსა და მთელ მცონარა ატლანტას, რომელიც პროგრესის მიუხედავად, ჯერ ისევ XIX საუკუნის შუახანებში იყო გაჩერებული.

მაგრამ მომავალი მწერალი მხოლოდ სკანდალური ყოფაქცევით როდი გამოირჩეოდა: 1922 წელს მან გაზეთში დაიწყო მუშაობა და მალევე იქცა ადგილობრივი ჟურნალისტიკის ვარსკვლავად — მისი რეპორტაჟები შემთხვევის ადგილებიდან სიზუსტით, მახვილი გონებითა და იუმორით გამოირჩეოდა, შენიშვნები მოდის სიახლეების შესახებ კი — დახვეწილი გემოვნებითა და რადიკალიზმით. მაგრამ განსაკუთრებული პოპულარობით მაინც სახელგანთქმულ ადამიანებთან მისი ინტერვიუები სარგებლობდა და მათ შორის, ვისი გამოქვეყნებაც მარგარეტმა Journal magarine-ის ფურცლებზე მოახერხა, ამერიკის პრეზიდენტი კულიჯი, კინემატოგრაფის ვარსკვლავი რუდოლფო ვალენტინო და ინგლისური ლიტერატურის კლასიკოსი ჯორჯ ბერნარდ შოუც იყვნენ... იოლი შესაძლებელია, რომ ასეთი წარმატების შემდეგ პეგის მშობლიური პროვინციული გამომცემლობის კედლები ვიწროდ მოჩვენებოდა და დიდ სამოღვაწეო ასპარეზზე ეცადა გასვლა, მაგრამ მოულოდნელად საქმეში მისი უდიდებულესობა — იღბალი ჩაერია.

უბედური შემთხვევის — ცხენიდან ჩამოვარდნის შემდეგ, ახალგაზრდა ქალი რამდენიმე თვით მიეჯაჭვა ლოგინს და, როგორმე თავი რომ გაერთო, რომანის წერას მიჰყო ხელი. ამბობენ, ეს იდეა ქმარმა, ჟურნალისტმა ჯონ მარშმა მიაწოდაო, დროთა განმავლობაში ავადმყოფობა გაქრა, სამუშაო კი — კვლავ ჯონისვე დაჟინებით — გაგრძელდა და ამ პროცესმა მთელ ათ წელს (1925-35წწ) გასტანა. თანაც ისე, რომ მიტჩელს ერთხელაც არ უფიქრია მისი გამოქვეყნება. უნდა ითქვას, რომ განმარტოების წლებმა ძლიერ შეცვალა ახალგაზრდა ქალი და ერთ დროს თავხედი, გამომწვევი, მეამბოხე გოგონა მორცხვ, მშვიდ მორიდებულ ქალბატონად იქცა.

1935 წლის აპრილში ცხელ და მთვლემარე ატლანტას უცხო სტუმარი — ნიუ-იორკის სახელგანთქმული გამომცემლობის „მაკ-მილანის" აგენტი ჰაროლდ ლეიტემი ეწვია, რომელიც ახალი ფოლკნერის ძიებაში რამდენიმე თვის განმავლობაში უშედეგოდ დაეხეტებოდა სამხრეთის პროვინციებში. ქალაქის მცხოვრებლებმა, რომლებმაც იმ დროისათვის უკვე იცოდნენ, რომ ჯონ მარშის მეუღლე რაღაც წიგნს წერდა, მიტჩელის სახლისკენ მიუთითეს. ისე, რომ სასწაულს ნამდვილად არ ელოდა, ლეიტემმა მისის მარშს მიაკითხა და დიდად არ განაწყენებულა, როცა უარი მიიღო — რა წიგნი, რის რომანიო. ორი დღის შემდეგ კი აგენტს, რომელიც სასტუმროში უკვე გასამგზავრებლად კრავდა ბარგს, თავს თმაგაწეწილი, დაჭმუჭნილკაბიანი და წინდებჩაჩაჩული მარგარეტ მიტჩელი წაადგა და ნაჩქარევად გაუწოდა რომანი — ქაღალდის კონვერტებში ჩატენილი გაურკვეველი ხელით ნაწერი ორი ათასამდე გვერდი...

მეორე დღეს გამომცემლობიდან ატლანტაში დეპეშა მოვიდა: „გილოცავთ, მზად ვართ, გამოვაქვეყნოთ". რასაც ცოტა ხანში ჩეკიც მოჰყვა... 250 დოლარი. აბა უცნობ ავტორს მეტს ვინ გადაუხდიდა?! სამი წლის შემდეგ კი რომანმა „ქარწაღებულნი" მარგარეტ მიტჩელს 65 მილიონი დოლარი, ამერიკაში ყველაზე საპატიო პულიტცერის პრემია და ჭეშმარიტად საყოველთაო-სახალხო სიყვარული მოუტანა...

ბუნებით კარჩაკეტილი მიტჩელი სრულიად მოუმზადებელი აღმოჩნდა იმ ყურადღებისათვის, რაც საზოგადოების ინტერესსა და პოპულარობას მოჰყვება ხოლმე. ერთხელ, გულახდილობის იშვიათ წუთებში მან მეგობარ ქალს უამბო თითქოს-და უმნიშვნელო ეპიზოდი, რომელიც თავად მასთან ხდებოდა: ადრეულ ბავშვობაში ერთხელ თურმე მამამისი ხეზე აძვრალა, რათა კარგად დაენახა, საით გაემგზავრა ხანშიშესული ნათესავი და გაოცებით შეამჩნია, რომ ნახევარი მილის გავლის შემდეგ კაცმა მკვეთრად გაუხვია იმ მდელოსკენ, საითკენაც ვიწრო ბილიკი მიდიოდა. როგორც ჩანს, მას ძალიან აღიზიანებდა თუნდაც იმის გაფიქრება, რომ ვიღაცამ უკვე იცოდა მისი განზრახვის შესახებ.

„რაც უფრო მემატება წლები, მით მეტად მჯერა მემკვიდრეობისა და დიდ სიახლოვესაც ვგრძნობ იმ ხანშიშესულ ჯენტლმენთან" — თქვა მაშინ პეგიმ.

მას ეჯავრებოდა ყველაფერი, რაც ჩვეულებრივ მოკვდავთა უმრავლესობას ასე იზიდავს — ჟურნალისტთა რიგები კარებთან, უსასრულოდ რომ ეკითხებოდნენ წარსულსა და მომავალზე, თაყვანისმცემელთა გუნდები, მდიდრული წვეულებები, ფოტოაპარატთა ჩხაკუნი და კამერების ზუზუნი... იგი არასოდეს დაინტერესებულა რომანის ეკრანიზაციის პერსპექტივებით და უარს ამბობდა მსახიობებთან შეხვედრაზე, კატეგორიულად უარყო მის შესახებ დოკუმენტური ფილმის გადაღების წინადადება და აკრძალა თავისი „მხატვრული საკუთრების" რეკლამად გამოყენება, თუმცა თითოეულ გაყიდულ ნესესერს, სახელად „რეტს" და საპონ „სკარლეტს" მისი საბანკო ანგარიშების გაათმაგება მაინც შეეძლო. მაგრამ მიტჩელს არ სჭირდებოდა ფული, წიგნიდან მიღებული მილიონებიც ხომ ხელუხლებლად ეწყო ბანკში, მიუხედავად იმისა, რომ ამერიკის ერთ-ერთი უმდიდრეს ქალბატონად იქცა, ძველებურად მშვიდ, წყნარსა და ზომიერ ცხოვრებას განაგრძობდა ატლანტაში.

თუმცა ერთი არსებითი ცვლილება მაინც მოხდა მის ცხოვრებაში — წერას დაანება თავი. რატომ — დღესაც არავინ იცის, იქნებ ზოგიერთი მწერალს მხოლოდ ერთ წიგნზე ჰყოფნის ნიჭი? მარგარეტ მიტჩელმა 36 წლის ასაკში დაამთავრა რომანი, განგებამ მას შემდეგ ცხოვრების კიდევ 13 წელი არგუნა და ყოველწლიურად უფრო და უფრო უარესად გრძნობდა თავს — ყურადღებას აღარ აქცევდა საკუთარ გარეგნობას, გასუქდა, ხშირად უმიზეზოდ ტიროდა. 1949 წლის აგვისტოში მან პრაქტიკულად მთელი თავისი უზარმაზარი არქივი: „ქარწაღებულნის" შავი ხელნაწერი და მონახაზები, დღიურები და წერილები განადგურა. გადაკეთებულ ანდერძშიც მეტად თავისებური განკარგულებები გაჩნდა: სახლი, რომელშიც მარგარეტ მიტჩელი ცხოვრობდა, მთლიანად უნდა დანგრეულიყო და ღრმად ჩაფლულიყო მიწაში, რათა შემდგომში მის ადგილას სახლ-მუზეუმი არ წამოეჭიმათ. უნებლიეთ იბადება აზრი, რომ მარგარეტი სიკვდილისათვის ემზადებოდა, ან იქნებ თავად უხმობდა?

და სიკვდილიც მოვიდა ტაქსის მთვრალი მძღოლის სახით, რომელიც კაცმა არ იცის, საიდან გამოჩნდა ატმის იმ წყნარ ქუჩაზე, მწერალი ქალის მთელ ცხოვრებასა და მის უდიდეს რომანს შუაზე რომ კვეთდა. დიახ, აქ, ამ ქუჩაზე დაიბადა იგი, აქ განვლო მთელი ცხოვრება, ამ ქუჩაზე ფრიალებდა ომში მიმავალ კონფედერატთა აბრეშუმის კაშკაშა დროშები და სკარლეტ ო'ჰარაც გამომშვიდობების ნიშნად უქნევდა ცხვირსახოცს.

„ქარწაღებულიც ვარდების ამ არომატში დაიკარგა"... — ატლანტელ კონფედერატთა სიმღერა

თარგმნა მანანა იმედაშვილმა

იბეჭდება შემოკლებით



კადრი ფილმიდან „ქარწაღებულნი"

ეროვნული ბიბლიოთეკა



# აისედორა დუნკანი და სერგეი ესენინი სხვადასხვა ენაზე ლაპარაკობდნენ

„იალტა, სასტუმრო „როსია". აისედორა დუნკანს, სხვა მიყვარს, დავქორწინდი, ბედნიერი ვარ. ესენინი".

ქაღალდის ნაგლეჯი ნელ-ნელა პარკეტზე ეშვება.

„ქალბატონო დუნკან, რა დაგემართათ, ასე რომ გაფითრდით?"

„ეს ჩემი ცხოვრების სამი საუკეთესო წელი იყო" — წყნარად თქვა მან.



* * *

– ესენინ, მეგობარო, წამომყევი, ისეთ რამეს გაჩვენებ...

კოლეგას და საუკეთესო მეგობარს ტოლია მარიენგოვს ესენინი პატარა სცენისკენ მიჰყავს, სადაც სტუმრებია თავმოყრილი. ესენინს აღმოხდა: „ღვთაება" და თვალს ვერ აშორებს ქალის სხეულს, რომელიც გამჭვირვალე სამოსშია გახვეული და მოძრაობისას პლასტიკას სრულად ავლენს.

იმ ღამეს მსოფლიოს პირველი მოცეკვავე „ინტერნაციონალის" აკომპანიმენტით და წითელი შარფით თავის ცნობილ ცეკვას ასრულებს, გაოგნებულ ესენინს კი გაცნობის სურვილი კლავს.

– ამხანაგი აისედორა, ამხანაგი ესენინი...

და უცბად ნათელი ხდება, რომ ესენინმა არ იცის არც ინგლისური, არც ფრანგული, აისედორამ კი – რუსული. თარჯიმანიც არ ჩანს. ესენინს უკვე სურვილი კლავს თქვას, გამოხატოს, იყვიროს: „აისედორა, მიყვარხარ!" ის ჟესტებით უხსნის, სახეს ძაბავს, რუსულად იგინება... დუნკანი გულგრილად იჩეჩავს სათუთ მხრებს.

ესენინი ამბობს: „გაიწიეთ" და ფეხზე იხდის, შემდეგ ქალის გარშემო ველურ, წარმოუდგენელ ცეკვას იწყებს, მერე ძირს ეცემა და დუნკანის მუხლებს ეხვევა. აისედორა იღიმება, ხუჭუჭ თმაზე ეფერება და ნაზად ამბობს ნაცნობ რუსულ სიტყვას: „ანგელოზო".

სამი საათის შემდეგ სერგეი ესენინი და აისედორა დუნკანი მოსკოვიდან შემოდგომის მოქუშულ დილას გაემგზავრნენ. საზოგადოებაში მხოლოდ ორი კვირის შემდეგ გამოჩნდნენ ერთად.

თავიდან ყველაფერი კარგად მიდიოდა. აისედორამ რამდენიმე რუსული სიტყვა ისწავლა და ძვირფას ადამიანს ასე მიმართავდა: „სერგეი ალექსანდროვიჩ". ისინი დადიოდნენ მიღებებზე, ლიტერატურტულ საღამოებზე, სადაც ქალი აუცილებლად ცეკვავდა, ვაჟი კი ლექსებს კითხულობდა. შინ გამთენიისას ბრუნდებოდნენ. როცა არბატზე პატარა ეკლესიას ჩაუვლიდნენ, ესენინი იქითკენ თითს გაიშვერდა: „ხედავ, სიდორა, ჩვენ აქ ვიქორწინებთ". აისედორა უნდობლად გაიღიმებდა.

ნახევარი წლის შემდეგ გონებაარეული ესენინი აისედორას ემმაკებთან გზავნიდა და ზოგჯერ სცემდა. ის მძიმე საბჭოურ ჩექმას ესროდა, აისედორა იჭერდა და ცრემლნარევი ხმით, დამტვრეული რუსულით მიმართავდა: „სერგეი ალექსანდროვიჩ, მე თქვენ მიყვარხართ". ესენინი გარბოდა, მეგობრებთან იმალებოდა, შემდეგ ნაწამები, სინაზითა და სინდისის ქენჯნით სავსე ბრუნდებოდა... და მის მუხლებთან ჩაცუცქული ტიროდა.

აისედორამ იცოდა, რომ საყვარელ სერიოჟას მძიმე ბავშვობა ჰქონდა. ის ბაბუის ოჯახში უმშობლებოდ იზრდებოდა. ჩვიდმეტი წლისა მოსკოვში ჩამოვიდა და ნოქრად მუშაობა დაიწყო. მამას პირველად მაშინ შეხვდა. დედა კი უკანასკნელად რამდენიმე წლის წინ ნახა.

საწყალო ჩემო ბიჭო, – ფიქრობდა აისედორა. – ჩვენ არცერთს არ გვქონია ბავშვობა. შენ კი დედაც არ გყოლია. არა უშავს, მის მაგივრადაც შეგიყვარებ. მე ამას შევძლებ... რაც ჩემიანებს ვერ გავუწიე...და თვალწინ უსიხარულო სურათებმა გაუელვა:

აისედორა ექვსისაც არ იყო, უბედურება რომ ეწვია. დედა ქმარმა მიატოვა და დილიდან ღამემდე შრომობდა. ბავშვი რომ მარტო არ დაეტოვებინა, წლოვანება მოუმატა და სკოლაში მიაბარა. 13 წლისამ სკოლა მიატოვა და მუსიკამ და ცეკვამ გაიტაცა. გაუმართლა, როცა ამერიკელმა მოცეკვავემ მარია ლუი ფულერმა პუტკუნა გოგონა მოწაფედ აიყვანა.

18 წლის დუნკანი ჩიკაგოს დასაპყრობად მიემგზავრება, სადაც კინაღამ გაიხოვდა მასზე ხნიერ, ღარიბ და ცოლიან მამაკაცზე. აქედან დაიწყო წარუმატებლობანი პირად ცხოვრებაში.

სამაგიეროდ, ღმერთივით ცეკვავდა...

უკვე სრულწლოვანმა ამერიკა დატოვა და ინგლისისკენ მიმავალ იმ გემს გაჰყვა, რომელსაც საქონელი მიჰყავდა (რა თქმა უნდა, უფულობის გამო). ლონდონში კვლავ რჩეულთა საღამოებზე ცეკვავდა.

1903 წელს ის ბუდაპეშტს ეწვია. ხალხი თეატრს მიაწყდა, სადაც „ცისფერი დუნაის" თუ შოპენის სამგლოვიარო მარშის აკომპანიმენტით ნახევრადშიშველი საოცარი მოცეკვავე ცეკვავდა. ერთ-ერთი გამოსვლის შემდეგ მას ცნობილი უნგრელი მსახიობი ოსკარ ბერეჟი გაეცნო და ცოლობა სთხოვა. ქორწინებამდე რამდენიმე დღით ადრე მან დუნკანს აუწყა, რომ ძალზე მომგებიანი როლი მისცეს და გადაღებებზე ესპანეთში მიემგზავრება.

1904 წლის დეკემბერში საუკეთესო თეატრალური დამდგმელი გორდონ კრეგი გაიცნო. მასთან ერთად ორი კვირა ბერლინის სტუდიაში გაატარა, ცხრა თვის შემდეგ კი გოგონა დიდრა შეეძინა. მაგრამ მოულოდნელად კრეგი თავის მეგობარ ქალზე დაქორწინდა და დუნკანი ისევ მარტო დარჩა. მხოლოდ ცეკვავდა, ცეკვავდა, ცეკვავდა.

ცხოვრებამ იგი პარის ზინგერს შეახვედრა, ცოლად გაჰყვა და უზრუნველად ცხოვრობდა. მას მეორე შვილი, ვაჟი პატრიკი შეეძინა. თავს ბედნიერად გრძნობდა, მაგრამ ცუდი წინათგრძნობა აწუხებდა. შეშინებული ილვიძებდა და ქმარს შესჩიოდა –ორი ბავშვის კუბოს ვხედავო. ქმარმა გულისგადასაყოლებლად ბავშვებთან ერთად პარიზში გაგზავნა.

...იმ დღეს აისედორამ პატრიკი და დიდრა აღმზრდელთან ერთად ვერსალში საექსკურსიოდ გაუშვა. (თვითონ გამოსვლა ჰქონდა). გზაში მძღოლს მანქანა გაუჩერდა, ძრავის დასათვალიერებლად გადმოვიდა... უცებ მანქანა ადგილს მოსწყდა, გაქანდა და სენაში გადაეშვა. ამ კატასტროფის შემდეგ დუნკანი ველარ გამოკეთდა.

...მდგომარეობიდან გამოსვლას იგი რუსეთის რევოლუციაში ეძებდა და სწორედ ამ დროს თავად ლუნაჩარსკიმ მიიწვია მოსკოვში...

აისედორა განვლილი ცხოვრების მოგონებიდან გამოერკვა, ესენინი გაახსენდა, წამოდგა და საძებნელად წავიდა. იგი ერთ-ერთ დუქანში უზომოდ მთვრალი ნახა: იჯდა და იატაკზე ჭიქებს ამსხვრევდა. არ შეშინებია, მიეჭრა და უთხრა: „სერგეი ალექსანდროვიჩ, მოდი დავქორწინდეთ. მინდა მხოლოდ შენი ვიყო". ჭაობიდან რომ გამოეყვანა, აისედორამ იგი ევროპაში, შემდეგ კი ამერიკაში წაიყვანა. იმედი ჰქონდა, მის გამოსვლებს პირველი რუსი პოეტი დაამშვენებდა. მაგრამ საზღვარი გადალახეს და პრობლემებიც გაჩნდა. ბერლინში ესენინი გაუჩინარდა. მეორე ღამეს აისედორამ მიყრუებულ საოჯახო პანსიონში მიაკვლია, ლუდს მიირთმევდა და შაშს თამაშობდა...

აისედორა დაიღალა გაუთავებელი სკანდალებით, ქმრის ხასიათის ცვალებადობით, იმითაც, რომ ესენინი და მისი წრე ინგლისურად ვერ ლაპარაკობდნენ. ერთხელაც უთხრა: „სერგეი ალექსანდროვიჩ, პარიზში მივდივარ".

...მოგონებებისგან გამოერკვა. ფეხთან დაჭმუჭნილი ქაღალდი ეგდო, რომელზეც ეწერა: „დავქორწინდი ბედნიერი ვარ ესენინი". „არ მჯერა, არ მჯერა, როგორ მოვიქცე?" მაგრამ უკვე არაფერი იყო საჭირო. იმ საბედისწერო დეპეშის გამოგზავნიდან სულ მალე ესენინი ცოცხალი აღარ იყო. 1925 წლის 28 დეკემბერს ლენინგრადის სასტუმროში სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა.

...ისინი დროებით დაშორდნენ ერთმანეთს. 1927 წლის 14 სექტემბერს აისედორამ ავტომანქანით გასეირნება გადაწყვიტა. ჩაჯდომისას ყელზე საყვარელი წითელი შარფი შემოიხვია, მეგობრებს ხელი დაუქნია და გასძახა: „დიდებისკენ მივდივარ". მანქანა დაიძრა და უეცრად გაჩერდა – გამცილებლებმა აისედორას თავი მანქანის კართან დაინახეს. შარფი ბორბალში ჩახვეულიყო და ქალისთვის თავი წაეცლია.

საგულისხმოა ესენინის სიტყვებიც:

„მ ქალში ბედნიერებას ვეძებდი
და უნებურად სიკვდილი ვპოვე".

**იბეჭდება შემოკლებით**
**„არგუმენტი ი ფაქტი"**

# საუკუნის „ჭირი“

2002 წლის 1 ოქტომბრისათვის შიდსის და კლინიკური იმუნოლოგიის ცენტრში რეგისტრირებულია შიდსის ვირუსით ინფიცირების 348 შემთხვევა. დაავადებულთა შორის 300 მამაკაცია, 48 ქალი. პაციენტთა უმრავლესობა 18-დან 40 წლამდე ასაკისაა. 51 გარდაიცვალა. აღნიშნული 348 შემთხვევა არ ასახავს საქართველოში აივ ინფექცია – შიდსის გავრცელების რეალურ დონეს. ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაციის და ადგილობრივ ექსპერტთა ვარაუდით, დღეს საქართველოში რეალურად 1500-ზე მეტი აივ ინფიცირებული და შიდსით დაავადებულია.

რეგისტრირებულ შემთხვევათა განაწილება-გადაცემის გზების მიხედვით:

69 პროცენტი _ ინტრავენური ნარკომანია, 25 პროცენტი _ ჰეტეროსექსუალური კონტაქტით დაავადებული, 4 პროცენტი _ სისხლის რეციპიენტებით...

ამჟამად შეინიშნება შიდსის შემთხვევათა ზრდის ტენდენცია: თუ 1996 წელს რეგისტრირებული იყო მხოლოდ 8 შემთხვევა, 2000 წელს 79 შემთხვევა დაფიქსირდა, ხოლო 2002 წლის ოქტომბრისათვის სახეზეა 80 ახალი შემთხვევა.

აივ ინფექცია – შიდსის სწრაფი ზრდა განპირობებულია შემდეგი ფაქტორებით: ნარკომანიის ფართო გავრცელება; საქართველოს მეზობელ ქვეყნებში შიდსის თვალსაზრისით არასახარბიელო ეპიდსიტუაცია; მოსახლეობის მზარდი მიგრაცია და ფართო საერთაშორისო კონტაქტები; სადიაგნოსტიკო აღჭურვილობის, ტესტ-სისტემების, სამკურნალწამლო პრეპარატების, ერთჯერადი შპრიცების, ნემსების და სხვა სამედიცინო ინსტრუმენტების, სასტერილიზაციო საშუალებათა ნაკლებობა; პრეზერვატივებზე ტრადიციულად დაბალი მოთხოვნილება; შიდსის შესახებ მოსახლეობის ცოდნის დაბალი დონე.

## ინტერვიუ სს ინფექციური პათოლოგიის, შიდსის და კლინიკური იმუნოლოგიის სამეცნიერო პრაქტიკული ცენტრის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარესთან ბატონ **თენგიზ ცერცვაძესთან**

***– ახლახან ესპანეთში, ქალაქ ბარსელონაში ჩატარდა შიდსის პრობლემებისადმი მიძღვნილი მე-14 საერთაშორისო კონფერენცია, რა იყო ახალი ამ საშიში დაავადების მკურნალობაში?***

– კონფერენციის თემატიკა სამედიცინო და სამეცნიერო საკითხების გარდა, მოიცავდა პოლიტიკურ, სოციალურ და სხვა ასპექტებს. მის მუშაობაში მონაწილეობდა დაახლოებით 15 ათასი ადამიანი. პრაქტიკოსი ექიმებისა და მედიკოს-მეცნიერების გარდა მონაწილეობდნენ მსოფლიოს ამჟამინდელი და ყოფილი პოლიტიკური ლიდერები, ჯანდაცვის მინისტრები, ბიზნესმენები, მსახიობები და სპორტსმენები. კონფერენციას ესწრებოდნენ შიდსზე მაღალი რისკის ჯგუფების პირებიც, ჰომოსექსუალები, მეძავები, ნარკომანები და ასე ვთქვათ, თვით აივ ინფიცირებული პირებიც.

კონფერენციის გახსნისას სიტყვით გამოვიდნენ გაეროს შიდსის გაერთიანებული პროგრამის დირექტორი პიტერ პიოტი, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მდივნის კოფი ანანის სპეციალური წარმომადგენელი სტივენ ლუისი. კონფერენცია აშშ ყოფილი პრეზიდენტის ბილ კლინტონისა და სამხრეთ აფრიკის ყოფილი პრეზიდენტის ნელსონ მანდელას გამოსვლით დაიხურა.

კონფერენციის მთავარი თემა შიდსის პროფილაქტიკა და მისი მკურნალობის საკითხები იყო. მართალია, შიდსი კვლავ რჩება განუკურნებელ დაავადებად, მაგრამ ის უკვე ქრონიკულად გადაიქცა და მართვას ექვემდებარება; მის მკურნალობაში პროგრესია. შექმნილია 20-მდე მაღალეფექტური ანტივირუსული პრეპარატი. ამჟამად შიდსის ყველაზე საიმედოდ სამკურნალო საშუალებად ითვლება ე.წ. HAART

(მაღალაქტიური რეტროვირუსული მკურნალობა) _ სქემით მკურნალობა, რომელიც გულისხმობს მოქმედების სხვადასხვა მექანიზმის მქონე 3 ან 4 პრეპარატის კომბინირებულ გამოყენებას. მართალია, ასეთი მკურნალობა შიდსს მთლიანად ვერ განკურნავს, მაგრამ ახანგრძლივებს ავადმყოფის სიცოცხლეს და მას შეუძლია მეტ-ნაკლებად სრულფასოვანი ცხოვრებით იცხოვროს. ამ მკურნალობის ნაკლი სიძვირეა. ავადმყოფმა წამლები მუდმივად, მთელი სიცოცხლე უნდა მიიღოს. მართალია, ბოლო წლებში მისი ღირებულება გაიაფდა, და წლიწადში 10-15 ათას დოლარს შეადგენს, მაგრამ ესეც ძვირია და ხელმისაწვდომია მხოლოდ მდიდარი, ე.წ. განვითარებული ქვეყნებისათვის.

კონფერენციაზე ოფიციალურად გავრცელდა სანუგეშო ინფორმაციაც, რომ უახლოეს პერიოდში მოსალოდნელია მნიშვნელოვანი პროგრესი შიდსის დასამარცხებლად. ამას განაპირობებს, ერთის მხრივ, ახალი კლასის წამლებისა და მეორე მხრივ, ინფექციის საწინააღმდეგო ვაქცინების შექმნა და წარმოება.



თენგიზ ცერცვაძე

***– რომელ ქვეყნებს დაეთმოთ განსაკუთრებული ყურადღება შიდსთან ბრძოლაში?***

– ყველა ქვეყნის მთავრობებს ეთხოვათ თავიანთ ქვეყნებში უმნიშვნელოვანეს პრიორიტეტად გამოაცხადონ შიდსთან ბრძოლა.

განსაკუთრებული ყურადღების ცენტრში იყო ის ქვეყნები, სადაც შიდსის გავრცელებამ კატასტროფულ მასშტაბებს მიაღწია, ასეთებია: ინდოეთი, ტაილანდი, მექსიკა, ბრაზილია, და ყოფილი საბჭოთა კავშირის ზოგიერთი ქვეყანა: უკრაინა, რუ-

სეთი, ბელორუსი, მოლდოვა. საერთაშორისო ექსპერტების მონაცემებით, ეპიდემიის ზრდის ყველაზე მაღალი ტემპი ამჟამად რუსეთშია. ეს შემაშფოთებელია ჩვენთვისაც. საქმე ეხება უახლოეს მეზობელს. ექსპერტები გვაფრთხილებენ, თუ დღესვე არ იქნა მიღებული გადამჭრელი ზომები, მოსალოდნელია აივ ინფიცირების ზრდა საქართველოში.

***– შიდსის მკურნალობა საკმაოდ ძვირია, რა უნდა ქნან ისეთი ღარიბი ქვეყნის ავადმყოფებმა, როგორიც საქართველოა?***

– კონფერენციაზე დიდი ყურადღება დაეთმო „შიდსთან, მალარიასთან და ტუბერკულოზთა ბრძოლის გლობალური ფონდის" საქმიანობას. ეს ფონდი შეიქმნა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის 2001 წლის ივნისის სპეციალური სესიის გადაწყვეტილებით. მისი დანიშნულებაა, მოიზიდოს დიდი მოცულობის სახსრები და შემდეგ მოახმაროს შიდსის განკურნებას. ფონდმა მოახერხა 5 მილიარდი დოლარის მოზიდვა. წლის ბოლომდე იგი 10 მილიარდს მიაღწევს. ყოფილი საბჭოთა ქვეყნებიდან ფონდმა დახმარება მხოლოდ უკრაინასა და მოლდოვას გამოუყო.

საქართველომაც წარადგინა პროექტი, რომელიც ერთ-ერთ საუკეთესოდ შეფასდა, მაგრამ პირველი ეტაპის დაფინანსებაზე უარი გვითხრეს, რადგანაც საქართველოში შიდსის გავრცელების დონე მსოფლიოში ყველაზე დაბალია (საბედნიეროდ). მიუხედავად ამისა, პროექტი იმდენად საინტერესო და საყურადღებოა, რომ შესაძლოა ახლო მომავალში (წლის ბოლომდე) მის განხილვას კვლავ დაუბრუნდნენ და დაფინანსებაც გამოყონ. ეს დიდი საქმე იქნება ჩვენი ქვეყნისათვის.

1996 წელს რესპუბლიკაში შიდსიანი ავადმყოფი 5 იყო და პარლამენტმა მიიღო გადაწყვეტილება სახელმწიფოს ხარჯზე მათი სრულფასოვანი, ძვირადღირებული წამლებით მკურნალობის შესახებ. დღეს ისინი ცოცხლები არიან. საერთოდ, შიდსიანებს უფასოდ უტარდებათ გამოკვლევები და სიმპტომური (ფილტვების ანთება, გრიპი, გაციება) მკურნალობა.

ვინაიდან სტატია ქალების ჟურნალისათვის იწერება, მინდა რამდენიმე რჩევა მივცე მათ: მოერიდონ შემთხვევით სქესობრივ კავშირს, ფეხმძიმობის დროს აუცილებელია თავი გამოიკვლიონ შიდსზე, რადგან აივ ინფექცია პირდაპირ ნაყოფზე გადადის, ხოლო ძუძუს წოვების დროს – ბავშვზე.

ამჟამად საქართველოს თითქმის ყველა ქალაქსა და რაიონში გახსნილია შიდსის 69 ლაბორატორია, საიდანაც დადებითი და საეჭვო შემთხვევები მაშინვე თბილისში იგზავნება.

***– როდის გადაწყდება შიდსის საბოლოო განკურნების საკითხი?***

– საქმე იმაშია, რომ შიდსის ვირუსს „უნიკალური" თვისება აქვს. ადამიანის უჯრედში მოხვედრის შემდეგ მისი გენეტიკური მასალა ინტეგრირდება ანუ ჩაშენდება თავად უჯრედის გენეტიკურ მასალაში და იქ განაგრძობს არსებობას. სადღეისოდ შიდსის საწინააღმდეგო ყველა პრეპარატი ეფექტურად მოქმედებს დაავადების ვირუსზე – მისი გამრავლების სხვადასხვა სტადიაზე და ანადგურებს კიდეც, მაგრამ ისინი მოქმედებენ მხოლოდ იმ ვირუსებზე, რომლებიც თავისუფალი სახით არსებობენ ავადმყოფის სისხლში და ვეღარ სწვდებიან უჯრედში შეღწეულ ვირუსებს. ამიტომ არის შიდსი მოურჩენელი.

ახალი კლასის წამლები სწორედ უჯრედში შეღწეულ ვირუსს აბლოკირებენ, ბლოკირდება თვით ვირუსის უჯრედში შესვლაც და ამდენად სისხლში დარჩენილებსაც ადვილად ანადგურებენ. მომავალ წელს ახალი პრეპარატები გაყიდვაში გამოვა და შესაძლოა შიდსი განკურნებადი გახდეს.

შიდსის საბოლოო განკურნება გადაწყდება მას შემდეგ, როცა შეიქმნება და პრაქტიკაში დაინერგება ეფექტური ვაქცინები. ამჟამად კლინიკურ გამოცდას გადის ათამდე ვაქცინა.ვარაუდობენ, რომ 2005 წლისთვის ვაქცინები რეალურად შემოვა ხმარებაში.

ის უზარმაზარი მატერიალური და ინტელექტუალური რესურსები, რომელთაც მსოფლიო შიდსის პრობლემებზე ხარჯავდა, შედეგიანი გამოდგა. შიდსი დღეს სასიკვდილო დაავადებიდან ქრონიკულ მართვად ინფექციად გადაიქცა და თანაც ახლო მომავალში სრული განკურნების პერსპექტივით.

ირმა ჩოფიკაშვილი

დავიცვათ თუ არა დიეტა?

# მიირთვით, ღმერთმა შეგარგოთ!

ლამაზი, მოხდენილი აღნაგობის მქონე მანდილოსნები, ჩვეულებისამებრ, ასეთ რჩევას აძლევენ ხოლმე თავიანთ სიმსუქნეშეპარულ მეგობრებს: გასახდომად მიიღეთ სალათი, ხილი, ახალი ბოსტნეული, უჯრედისის შემცველი ქატო, უხეშმარცვლოვანი პური, რომლებიც სიმაძღრის შეგრძნებას იწვევს და მცირეკალორიულია.

სრული სიმართლეა და არცაა გასაკვირი, რომ ასეთი დიეტის შემდეგ წონაში ილევით, მაგრამ აქვე სახეზეა უკუეფექტიც – ნაღვლის ბუშტის ფუნქციის მოშლა და კოლიტის გაღიზიანება. ამ სიტუაციაში ორგანიზმი, გაუწყლოების გამო, იოლად იძენცება და მაშინ, კვლავ ის ენერგიული ქალბატონები, ყველაფერი რომ იციან და საკუთარ თავზეც გამოუცდიათ, რეკომენდაციას „ეტკინსის მეთოდს" უწევენ.

ნუ იჩქარებთ მის გამოყენებას, თუმც ეს დღესდღეობით ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი დიეტაა. მისი არსი კი იმაში მდგომარეობს, რომ ადამიანი იღებს ყველანაირ ცხიმს და მაინც ხდება. ერთადერთი, რასაც ეტკინსი თავის პაციენტებს უკრძალავდა, – ნახშირწყლებია. პაციენტი კი წონას იმის წყალობით კარგავდა, რომ ამ ძირითადი მკვებავი ნივთიერების გარეშე დარჩენილი ორგანიზმი უთავბოლოდ იწყებდა მასში დაგროვილი ცხიმების წვას და აი, შედეგიც: რამდენიმე წლის შემდეგ ასეთი დიეტის მომხრენი ათეროსკლეროზის და ინფარქტის მსხვერპლნი ხდებოდნენ. ექიმი ეტკინსი კი რამდენჯერმე წარსდგა სასამართლოს წინაშე და დღეს ეს დიეტა აშშ-ში მედიკოსების მიერ ოფიციალურადაა აკრძალული.

სასოწარკვეთილი პუტკუნა ქალბატონები ახლა სხვა ხერხსა და დიეტას მიმართავენ, რომლის დროსაც ყველაფრის ჭამა შეიძლება, შაქრისა და სახამებლის შემცველი პროდუქტების გარდა. მართალია, იგი ისე სახიფათო არაა, როგორც ეტკინსის დიეტა, მაგრამ მასაც აქვს გარკვეული ნაკლი: პროტეინების გახლეჩვის დროს დიდი რაოდენობით წარმოიქმნება აზოტის შემცველი ნივთიერებები, რომლებიც გროვდება კუნთებში, სახსრებში, ღვიძლში, სისხლში. შედეგი – რევმატიზმი, საჯდომი ნერვის ანთება, ნიკრისის ქარი.

არსებობს კიდევ ერთი დიეტა, როცა ჭამენ ყველაფერს, რაც სურთ, ოღონდ ერთ დღეს – ხორცს, მეორე დღეს – რძის პროდუქტებს, მესამე დღეს – ტკბილეულს და ა.შ. საკმაოდ მახვილგონივრული მეთოდია და ხშირად შედეგიანიც, რადგან ერთფეროვანი კვება აქვეითებს მადას, ხოლო პროდუქტებზე აკრძალვის ახსნა ორგანიზმს ყველა საჭირო ნივთიერებას აწვდის, მაგრამ, სამწუხაროდ, აქაც ერთ ნაკლთან გვაქვს საქმე – ასეთი დიეტის დაცვა საკმაოდ რთულია და ავიტამინოზის გამოწვევაც შეუძლია.

ყოველივე ამის შემდეგ იბადება კითხვა – იქნებ უმჯობესია, დიეტურ პროდუქტებზე გადავიდეთ? ცუდი აზრი როდია, მაგრამ ცხიმგაცლილი პროდუქტები, როგორც წესი, იმაზე მეტად ხარისხიანი როდია, ვიდრე ჩვეულებრივი. მათში უბრალოდ ნაკლები კალორიები, ცხიმები და ნახშირწყლებია. მაშ ღირს კი მათი შეძენა? რასაკვირველია, თუ დიაბეტი და ზედმეტი ქოლესტეროლი გაწუხებთ. ამ შემთხვევაში მსგავსი პროდუქტები მნიშვნელოვნად გაგიიოლებთ ცხოვრებას და რაციონსაც გაგიმრავალფეროვნებთ. მათ კი, ვისაც ასეთი დაავადებანი არა სჭირთ, მათი შეძენისას დაფიქრება მართებთ.

ხშირად ხდება ხოლმე, რომ მწარმოებლები პროდუქტებში ცხიმების შემცირების ხარჯზე ადიდებენ მარილის, ემულგატორებისა და სხვა საკვები დანამატების რაოდენობას. გამოსავალი? – დახედეთ ეტიკეტს. ცხიმების (ლიპიდების) პროცენტი 3-4 ჯერ მცირე უნდა იყოს აზოტისშემცველ ნივთიერებებზე (პროთეიდებზე).

ჩვენ კი ერთს გირჩევთ: მიიღეთ მეტი პური, კარტოფილი, ბრინჯი – ეს პროდუქტები თქვენთვის საჭირო კალორიების 50 პროცენტს უნდა შეადგენდეს და გადაივიწყეთ ყველა დიეტა: მოდა მათზე გარდამავალია, კარგი სადილი კი ყველა დროში იქნება პატივში.

ლევ ვაისმანი

მედიცინის მეცნ. დოქტორი

კულინარია

## ახალგაზრდა დიასახლისებისათვის

### ბადრიჯანი და ბულგარული წიწაკა ბრინჯის სატენით (ფარშით)

მასალა: 6 ცალი მომცრო ზომის ბადრიჯანი, 6 ცალი ბულგარული წითელი წიწაკა, 4-5 ცალი სტაფილ, 3-4 თავი ხახვი, 1 კილო პამიდორი, 1 დათლილი ჭიქით – ბრინჯი, ზეთი, თითო კონა ოხრახუში და კამა, 5-6 კბილი ნიორი, მარილი.

ბადრიჯანს და წიწაკას ამოაცალეთ თესლი, კარგად ამოასუფთავეთ გული ისე, რომ ამოივსოს სატენით, რომელიც მზადდება შემდეგნაირად:

გარეცხეთ ბრინჯი, მოხარშეთ (არ გადახარშოთ), გადაავლეთ ცივი წყალი, დაწრიტეთ და შეაზავეთ წვრილად დაჭრილი მოშუშული ხახვით, მსხვილ სახეხზე დახეხილი სტაფილოთი (სტაფილოს გულები უვარგისია), ნახევარ-ნახევარი კონა ოხრახუშით და კამით, მარილით. სატენით ამოვსებული ბოსტნეული ერთმანეთის მიჯრით ჩაალაგეთ ბრტყელძირიან ქვაბში, დაასხით ნახევარი ჭიქა ზეთი, დანაყილი ნივრით, მწვანილით, პილპილით და მარილით შეზავებული კანგაცლილი და წვრილად დაჭრილი პამიდორი, ქვაბი დადგით საშუალო სიმხურვალის ცეცხლზე და დროდადრო შეამოწმეთ, არ ჩაიშალოს. სუფრაზე მიტანის წინ, ლანგარზე მოთავსებული კერძი მორთეთ მწვანილით.

– იგივე პროდუქტებით (გარდა სტაფილოსი) შეგიძლიათ სახელდახელოდ, ძალიან მარტივად მოამზადოთ გემრიელი კერძი.

დაჭერით ბრტყლად ბადრიჯანი, ხახვი, ბულგარული წიწაკა, პამიდორი და ტაფაზე ფენა-ფენა დაალაგეთ, ჯერ ბადრიჯანი, შემდეგ ხახვი, ბულგარული წიწაკა და პამიდორი. ყოველ ფენას მოაყარეთ თითო ჩაის კოვზი მოუხარშავი ბრინჯი, მარილი და მწვანილი (თუ გსურთ წიწაკაც). მოასხით ზეთი და დადგით საშუალო სიმხურვალის ცეცხლზე. არ აურიოთ. მიაქციეთ ყურადღება რომ არ დაგეწვათ.

### ჭარხლისა და სტაფილოს სალათი

გემოვნება ყველას სხვადასხვანაირი აქვს, ამიტომ არ შეიძლება დაჟინებით ვამტკიცოთ, მაიონეზიანი სალათი უკეთესია თუ უმაიონეზო.

თუ სალათი კარტოფილით, სტაფილოთი, ხახვით, ქათმის თეთრი ხორცითა და მწვანე ბარდით არის მომზადებული, მაშინ მაიონეზისა და არაჟნის ნარევით შეზავებული სალათი ძალიან ლამაზად გამოიყურება, ხოლო თუ სალათში ჭარხალიც არის შერეული, სტაფილოს ყვითელი და ბარდის მწვანე ფერი (ორივე ძალიან უხდება თეთრ ფერს) ეკარგება და სალათი ისე მიმზიდველი აღარ ჩანს. გარდა ამისა, არიან ადამიანები, ვისაც მაიონეზის გემო არ სიამოვნებთ. ამ შემთხვევაში, შეიძლება სალათი უმაიონეზოდ და რაც მთავარია, უფრო მარტივად მოვამზადოთ, მხოლოდ ჭარხლითა და სტაფილოთი.

მასალა: 2-3 ცალი მოხარშული ჭარხალი, 5-6 ცალი უმად დახეხილი სტაფილო (გულის გარეშე), თითო კონა ქორფა მწვანე ხახვი, ოხრახუში, კამა და ქინძი.

მსხვილ სახეხზე დახეხეთ ჭარხალი და სტაფილო (თუ ჭარხალი ძალიან წვნიანია, მოათავსეთ ძუის საწურზე, რათა ცოტათი დაიწრიტოს წვენისაგან). დაჭერით ძალიან წვრილად ხახვი, ოხრახუში, კამა და ქინძი (უხეში ღერების გარეშე). ყველაფერი ერთად აურიეთ, შეაზავეთ მარილით და ზეთით. სასურველია ქართული, სურნელოვანი მზესუმზირას ზეთი.

### ბულგარული წიწაკა ტომატის პასტით

ყველა დიასახლისი ცდილობს ზამთრისათვის მოიმარაგოს ტყემლის წვენი, მოდუღებული პამიდორი, ძმრითა და ნივრით შეზავებული ბულგარული წიწაკა და პამიდორი, აჯიკის ნაირსახეობა და სხვა.

გთავაზობთ ბულგარული წიწაკითა და ბერძნული ტომატ-პასტით მომზადებულ საწებელას. მასალა: 6 კილო ბულგარული წითელი წიწაკა, 1 კილოიანი და ერთი 200 გრამიანი ბერძნული ტომატ-პასტა (თუ გნებავთ ორი ორასგრამიანიც). 300 გრამი გატარებული ნიორი, ნახევარი ჩაის ჭიქა უცხო სუნელი, ამდენივე კარგი ხმელი ქინძი (გაცრილი). თესლებგამოცლილი (გარეცხილი) ბულგარული წიწაკა გაატარეთ ხორცსაკეპ მანქანაში, მოათავსეთ შესაფერის ჭურჭელში, შედგით ცეცხლზე და ადუღდება თუ არა, გადმოდგით ცეცხლიდან.

ქილებში მოთავსებული ტომატი გადმოიღეთ თასზე, დაასხით იმდენი წყალი, რომ მიიღოთ საშუალო (არაჟნისებური) სისქის მასა. შეურიეთ დანაყილი ნიორი და ქინძი, უცხო სუნელი, წიწაკა, მარილი გემოვნებით. ეს ყველაფერი შეურიეთ წამოდუღებულ ბულგარულ წიწაკას და შედგით ცეცხლზე. ადუღეთ 15 წუთი. მზა ცხელ-ცხელი საწებელა მოათავსეთ მდუღარეგამოვლებულ ქილებში და იმავე წამს დაახურეთ პლასტმასის თავსახური. შეგიძლიათ გამოიყენოთ ისეთი ქილაც, რომელსაც ხრახნიანი თავსახური აქვს.




რედაქციის მისამართი:
280096, ქ. თბილისი,
მ. კოსტავას ქ. №14.
V სართული
რედაქტორის
ტელეფონი:
99-98-71



ჟურნალში რეკლამების განთავსების მსურველებმა დარეკეთ შემდეგ ნომრებზე:

99-98-71, 93-43-02

ეროვნული ბიბლიოთეკა



## მაღალი მოდის გრანდები

ძვირფასეულობებთან დაკავშირებულ უამრავ ისტორიას შორის, უკანასკნელი 150 წლის მანძილზე, ყველაზე საინტერესო ბულგარელი ბერძნის სოტირიო ბულგარის ამბავია, რომელიც მეცხრამეტე საუკუნის შუა ხანებში პატარა ბერძნულ სოფელ კალარიტიდან რომში ჩავიდა და 15 წლის შემდეგ იმ საიუველირო იმპერიას ჩაუყარა საფუძველი, შემდგომში მზიური იტალიის მთელი დედამიწის ზურგზე რომ გაუთქვა სახელი.



# იტალიის ბერძნული საგანძური




უნდა ითქვას, რომ ის მოულოდნელი წარმატება, რამაც ასე გააოცა ახლადგამომცხვარი იუველირის მეზობლები, თავად სენიორ სოტირიოს სულაც არ აკვირვებდა. ვინ ვინ და მან ხომ ყველაზე უკეთ უწყოდა, რომ ყოველივე მისი შორეული წინაპრების — ვერცხლის დიდებულ ოსტატთა დამსახურება იყო, რომელთა ნიჭიც მემკვიდრეობით ერგო ჭაბუკს. მოგვიანებით ბულგარიმ ვერცხლი ოქროთი შეცვალა და ამ ფილიგრანულ ხელოვნებას თავისი ორი ვაჟი კონსტანტინო და ჯორჯიო აზიარა. 1884 წელს ოსტატმა პატარა სავაჭრო ქუჩა ვია სისტონაზე მომცრო ფარდული გახსნა, ოცი წლის შემდეგ კი სენიორ სოტირიოს ამბიციებმა, ვის ნაკეთობებსაც ახლა მთელი იტალიის გრანდ-ქალბატონები ატარებენ, ვია სისტონადან რომის ყველაზე ფეშენებელურ ქუჩაზე ვია კონდოტიზე მდებარე უზარმაზარ მაღაზიაში გადაინაცვლა, რომლის დიზაინი (იმ ხანებში ამ საკითხს სათანადო ყურადღება არ ექცეოდა) და ოქროს ნაკეთობებით ზღაპრულად გაწყობილი ვიტრინები კონსტანტინოსა და ჯორჯიოს ფანტაზიის ნაყოფი იყო. მრავალი ათეული წლის შემდეგ ენდი უორჰოლმა ბულგარის ამ მაღაზიას თანამედროვე ხელოვნების უნიკალური გალერეა უწოდა, რომელსაც დღესაც ოსტატობისა და სტილის ნიმუშად მოიხსენიებენ, დროსა და ტრადიციებს რომ არ ექვემდებარება.



წარმატებული ბიზნესის გასამყარებლად სითამამე და სიახლე იყო საჭირო —ვაჟების დაჟინებული მოთხოვნით, უკვე ასაკმოძალებულმა სოტირიომ რისკზე წასვლა გადაწყვიტა და ამსტერდამში ყველაზე საუკეთესო, წმინდა წყლის ბრილიანტები შეიძინა, რომლებსაც ადრე მხოლოდ ხელსაყრელი შეკვეთების დროს იყენებდა. რისკმა მოსალოდნელზე მეტად გაამართლა: ბულგარის ოჯახის მიერ დამზადებული საიუველირო ნაკეთობათა მცირე პარტია ელვისუსწრაფესად გაიყიდა და სოტირიომ მშვიდი სინდისითა და გულით კომპანია სამართავად ვაჟებს გადასცა. რამდენიმე წელიწადში კონსტანტინომ და ჯორჯიომ Bvlgori-ის ხელწერა ჩამოაყალიბეს, რომელშიც ხმელთაშუა ზღვის საიუველირო ტრადიციები, ოსტატობა და გაბედულება ერთმანეთს ჰარმონიულად შეერწყა.

Bvlgori-ის სტილის ამჟამინდელი თაყვანისმცემლები შესანიშნავად იცნობენ ამ ფირმის არა მხოლოდ საიუველირო ნაკეთობებს, რომლებსაც ყველაზე მეტად ჰოლივუდის ვარსკვლავებმა გაუთქვეს სახელი, არამედ, საათებს, სუფრის ვერცხლეულს, ფაიფურს, პარფიუმერიას, მზის სათვალეებს, ტყავის ჩანთებს, აბრეშუმის თავსაფრებსა და ჰალსტუხებს.

„საქმე მხოლოდ მაშინ ცოცხლობს, როცა ვითარდება, სტილი კი — როცა თანამედროვეობა ისტორიას ერწყმის", — ასე თვლიდნენ სოტირიოს ვაჟები ჯორჯიო და კონსტანტინო, ასე სჯეროდა მის შვილიშვილს ჯანის, ასე სწამთ შვილთაშვილებსაც — პაოლოსა და ნიკოლოს.

N° 191/5

ინდექსი 76178

ეროვნული ბიბლიოთეკა



ფასი სახელშეკრულებო